საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№32 (550)
9 - 15 სექტემბერი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

ვიქტორ ცაავა:

## საქართველო ორი, სამი თუ მეტი ქვეყნის მიერაა ოკუპირებული და ეს სიმართლეა, სიმართლე, რომელზეც არავინ არ საუბრობს. საქართველო კოლონიაა 8



## ელჩი დეგნანი თავისი ინიციატივით განაგრძობს აშშ-ის პრეზიდენტის ცილისწამების სამარცხვინო კამპანიას




## რატომ ჩამოიხსნა ნიღაბი ამერიკის ელჩმა? 3



## ამერიკაში ღმერთი და სატანა ერთდროულად ალაპარაკდნენ 6-7

2 დიმიტრი ლორთქიფანიძე:



## ე.წ. რუსული ჩარევა მოგონილია იმისთვის, რომ არჩევნებში რაც შეიძლება ფართო სპექტრით გაამარჯვებინონ ლიბერალურ ძალებს

## თურქეთი საჯაროდ აცხადებს პრეტენზიას საქართველოს ტერიტორიებზე, საქართველოს ხელისუფლება კი დუმს 11



სოსო ცინცაძე:



## ვერანაირი რეზოლუცია და ერთხმად დამტკიცებული დოკუმენტები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივასთან ვერ მიგვაახლოებს 5




## ევროკავშირის გენდერული ტერორი 14

## «საბჭოთა ადამიანი ჩვენზე ერთი საფეხურით მაღლა იდგა»

24



„ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ დავანგრიეთ ეს ნაკრძალი. შესაძლოა, ეს ჩვენი უდიდესი დანაშაულია“

## სამარცხვინო ანომალია



10

ქართველი გულშემატკივარი იმაზე დარდობს, სტადიონზე რუსებს რომ ვერ აგინებს, რუსი გულშემატკივარი კი შეწუხებულია, თბილისში რომ ვერ ჩამოვა და მეგობრებს ვერ ჩაეხუტება

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია, მოხდეს კონსერვატიული ძალების მობილიზება და სწორედ აქედან გამომდინარე მივიღე გადაწყვეტილება, კენჭი ვიყარო თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატმა“.**



### დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# ე.ნ. რუსული ჩარევა მოგონილია იმისთვის, რომ არჩევნებში რაც შეიძლება ფართო სპექტრით გაამარჯვებინონ ლიბერალურ ძალებს

**4 სექტემბერს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით მიმდინარე ერთ-ერთი მსხვილმასშტაბიანი პროექტის პრეზენტაციაზე ქვეყნის წინაშე არსებულ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ გამოწვევებზე ითქვა, რომ დღეს საქართველოსთვის ყველაზე დიდ გამოწვევას რუსული პროპაგანდა წარმოადგენს. გამომსვლელთა აზრით, მსოფლიოში კოვიდ-19-ით გამოწვეული კრიზისის მიუხედავად, კრემლი კვლავ განაგრძობს დეზინფორმაციის კამპანიას, რომელიც მის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის ნაწილია და რომლის მიზანიც საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინსტიტუტების დისკრედიტაციაა. „მხედველობაში მაქვს ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში ვრცელდებოდა. ეს არის ინსტიტუტი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პანდემიასთან ბრძოლის კუთხით საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ეს დეზინფორმაციის კამპანია და ორი დღის წინათ განხორციელებული კიბერთავდასხმა ამ მნიშვნელოვან ინსტიტუტზე ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-თან ერთობლივი თანამშრომლობის მიმართულება იქნება...“ — ითქვა მთავარ მოხსენებაში.**

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიღწევები და სიკეთეები, რომლებიც ქვეყანას ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის გზაზე აქვს, ნათელი უნდა იყოს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის.

**ცნობისთვის:** მასშტაბურ პროექტს სახელწოდებით „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, უკვე რამდენიმე თვეა, აქტიურად ახორციელებს. ამისთვის ვაშინგტონმა დამატებით 250 ათასი აშშ დოლარის გრანტი ახლახან გამოყო. პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანიც მოსახლეობის დარწმუნებაა იმაში, რომ ქვეყნისთვის ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვას ალტერნატივა არ გააჩნია (ნებისმიერი საპირისპირო აზრი კი რუსულ პროპაგანდად უნდა აღიქმებოდეს), მთელი ქვეყნის მასშტაბით 11 საინფორმაციო ცენტრი შეიქმნა. აგრეთვე, ცენტრალური და რეგიონული საინფორმაციო საშუალებებით მომზადდა სხვადასხვა სახის ვიდეორგოლები, რომლებიც სპეციალურად შექმნილი ფეისბუკგვერდებითაც გავრცელდა და პირდაპირი კომუნიკაცია დამყარდა 20 ათასამდე მოქალაქესთან (სულ პროგრამის ფარგლებში 526 საინფორმაციო ღონისძიება ჩატარდა). როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, პროგრამა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. უახლოეს მომავალში კამპანია კიდევ უფრო ფართომასშტაბიან ხასიათს მიიღებს და კიდევ უფრო აქტიურად შეეცდება, ქვეყანას „ჰიბრიდული ომის საფრთხე ააცილოს...“

**რა ინტერესი აქვს დღეს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს საქართველოში და რისთვის ხორციელდება მრავალმილიონიანი საინფორმაციო პროექტი რეგიონებში — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა დამატებით 250 ათასი დოლარი გამოყო საქართველოში „რუსული დეზინფორმაციის“ წინააღმდეგ საბრძოლველად. ამოქმედდა შესაბამისი პროგრამაც, სახელწოდებით „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“, რომლის მეორე ფაზაც უკვე აქტიურად ხორციელდება. რა ინტერესები დგას რეალურად ამ ყველაფრის მიღმა და რა მიზნით ხარჯავს ვაშინგტონი ამხელა თანხებს ჩვენს ქვეყანაში?**

— დავიწყოთ იმით, რომ **იმ მზაკვრულ გეგმას, რომელსაც თანამედროვე ნეოლიბერალური დასავლეთი ახორციელებს რუსეთის ფედერაციის მიმდებარე რეგიონებში, როგორც აღმოსავლეთ ევროპის, ისე კავკასიის მიმართულებით, გააჩნია ორი დღის წესრიგი:** ერთი — ეს არის შორეული, რომელიც ციფრული დღის წესრიგის სახელითაა ცნობილი; და მეორე — ბაიდენის წინასაარჩევნო კამპანიის სერიოზული ნაწილი, რომელიც გულისხმობს იმ ძალების კონცენტრაციასა და მობილიზაციას, რომლებსაც „დემოკრატები“ წლების განმავლობაში აქტიურად იყენებდნენ ნეოკოლონიალიზმისთვის მათ შორის სამხრეთ კავკასიაში, უკრაინაში, მოლდოვაში და ა.შ. რაც შეეხება კონკრეტულ პროგრამასა და მის კოლოსალურ დაფინანსებას საქართველოში, რომლის მიზანიც, თურმე, რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლაა, ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ **არანაირი რუსული პროპაგანდა საქართველოში არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ანტილიბერალური განწყობების შეუქცევადი ზრდა ამით არ არის განპირობებული და ეს თემა თავიდან ბოლომდე თითიდანაა გამოწოვილი. რისთვის? იმისთვის, რომ ამ თითქოსდა პატრიოტული იდეის საფარქვეშ მოხდეს „ლიბერალური“ ბირთვის გაძლიერება და არჩევნებში მისი მაქსიმალურად ფართო სპექტრით გამარჯვება,** რაც საბოლოოდ შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ მომავალი საკანონმდებლო და არა მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლება დააკომპლექტონ ნაცებმა, ევრონაცებმა, „გირჩმა“ და ა.შ. აი, ეს არის მიზანი და არა ის, რომ ვითომ ქვეყანა რაღაც „ჰიბრიდული ომის“ საფრთხეებისგან უნდა დაიცვან; **ამიტომაა დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელი, მოხდეს კონსერვატიული ძალების მობილიზება და სწორედ აქედან გამომდინარე მივიღე გადაწყვეტილება, კენჭი ვიყარო თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში, როგორც დამოუკიდებელმა დეპუტატობის კანდიდატმა...**

**— თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ბრძოლა უთანასწორო იქნება...**

— ბრძოლა უკვე არის უთანასწორო და ეს მომავალშიც ასე გაგრძელდება, იმიტომ, რომ თუნდაც მისტიფიკაციის დონეზე კეთილი ძალები ბოროტთან ყოველთვის უთანასწორო მდგომარეობაში არიან. ეს თითქოს ბუნების კანონზომიერებაა, რომელიც არ იცვლება, მაგრამ ჩვენ ამ უთანასწორობამ არ უნდა შეგვაშინოს. არ უნდა შეგვაშინოს იქიდან გამომდინარე, რომ **ერთი საღად, ეროვნულად, ქრისტიანულად მოაზროვნე ადამიანი ათ უგუნურსა და ფსევდოლიბერალიზმის შხამით მოწამლულს გადაწონის...**

**— უთანასწორო პოლიტიკურ ბრძოლაზე ვსაუბრობთ და, როგორ ფიქრობთ, ეროვნულ ძალებს კონკრეტულად რა ბერკეტები აქვთ ამ ყველაფრის საწინააღმდეგოდ, გარდა ერთობისა და კონსოლიდაციისა? რა შეიძლება დავუპირისპიროთ, მაგალითად, იმ პროპაგანდას, რომ რუსეთთან დიალოგის ნებისმიერი ინიციატივა მაშინვე კრემლის ინტერესების მსახურებად ცხადდება?**

— ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს იმის საშუალება, რომ მედიით წარმოებულ ცრუ პროპაგანდას მედიითვე ვუპასუხოთ. ჩვენ ელემენტარულად გვბლოკავენ და არ გვიწვევენ ტელედებატებში, ეს პროპაგანდა საჯაროდ რომ არ ვამხილოთ. მაგრამ ამ ყველაფრის ფონზე არის ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელიც გვაძლევს სრული ოპტიმიზმის საფუძველს, მხედველობაში მაქვს ის, რომ მრავალწლიანმა პოლიტიკურმა გამოცდილებამ და პრაქტიკამ, სხვადასხვა ძალის მიერ ტყუილებითა და დეზინფორმაციით ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობამ საზოგადოებას ასწავლა შავის თეთრისგან გარჩევა. საბედნიეროდ, დღეს ქართველ ამომრჩეველს აქვს ერთგვარი იმუნიტეტი ყბადაღებულ წინასაარჩევნო პიარტექნოლოგიებზე, რომლებითაც ესა თუ ის გუნდი წლების განმავლობაში აღწევდა დასახულ მიზანს. აი, ეს არის რეალობა, ამიტომ ვფიქრობ, რომ ხელისუფლებისა და მით უფრო მისი მოკავშირე ნაცებისა თუ ევრონაცების სასარგებლოდ არ იმუშავებს დეზინფორმაცია ეროვნული ძალების კრემლის აგენტებად შერაცხვაზე. ამაში დარწმუნებული ვარ და ამას კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ არჩევნებზე...

**— არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა. მოკლედ რომ გვითხრათ, რა არის თქვენი, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატის, მთავარი ამოცანა იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში გაიმარჯვებთ?**

## «მჯერა, რომ ჩვენი საზოგადოება ამ არჩევნებზე სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს, პოლიტიკური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ქვეყნის გარედან მართულ მტრებს»

— ამაზე მოკლედ საუბარი რთულია და ყველაფერს ამ ინტერვიუში ვერ ჩავატევთ, მაგრამ **პირველი, რაც არის მნიშვნელოვანი, მძლავრი კონსერვატიული ბირთვის ჩამოყალიბებაა.** ამაზე ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ. მეორე — ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი ქართული, დემოკრატიული ინსტრუმენტები. რას ნიშნავს ეს: პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ უნდა შეიქმნას ისეთი ტიპის კონსტიტუციური ინსტრუმენტები, რომლებიც დემოკრატიის გამოვლინებასა და განხორციელებას შეუწყობს ხელს...

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ, მაგალითად, რეფერენდუმის გზით შეგვეძლოს კანონში პირდაპირი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ეს არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელსაც სრულიად მოკლებულია 1995 წლის კონსტიტუცია. ამიტომ, ჩვენ თუ ამ ცვლილებას განვახორციელებთ, ფაქტობრივად, ეს იქნება სახალხო მმართველობის ინსტიტუციონალიზაციის პირველი რეალური პრეცედენტი. ასევე, **მნიშვნელოვანი და აუცილებელია ცვლილებები მართლმსაჯულებაში, რომლითაც ძალაში შესული საბოლოო აქტების რევიზია უნდა მოხდეს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს მიერ.** საუბარია იმაზე, რომ, თუ ნორმატიული აქტები კონტროლდება კონსტიტუციის მიმართ, იგივე უნდა ხდებოდეს სასამართლო აქტების შემთხვევაშიც, რომ უკანონოდ მსჯავრდებული ადამიანები, იქნება ეს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული, ქონებაწართმეული თუ სხვა, არ გამოეთხოვონ სამართლიანობის აღდგენის იმედს და პერსპექტივას. აი, ამ შემთხვევაში მოხდება საზოგადოების გაერთიანება და კონსოლიდაცია და არა ყბადაღებული დაპირებებით, რომლებსაც დღეს იძლევიან „სტრატეგია-აღმაშენებლისა“ თუ მარშალის გეგმის ავტორები...

**— მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ეროვნული ძალები მეტ-ნაკლებად გამოცოცხლდნენ და არჩევნებზეც, თუნდაც თქვენი სახით, საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მისაღები არიან, მოსახლეობაში პოლიტიკური ნიჰილიზმი მაინც დიდია. რას ეტყვით იმ მოქალაქეებს, რომლებსაც გარკვეულწილად ხელი აქვთ ჩაქნეული მიმდინარე პროცესებზე და ფიქრობენ, რომ ამ არჩევნების ბედი უკვე გადაწყვეტილია?**

— უწინარესად, ვეტყვი, რომ **გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ არის ერთი იშვიათთაგანი იმ სარკმელთა შორის, რომლიდანაც შეიძლება საზოგადოების კონსოლიდაციისკენ მოწოდების სწორი ფორმულირების ამოკითხვა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და მადლობა თქვენ ამისთვის!**

მეორე — ქართველმა ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, **რომ ნებისმიერი გაბატონებული პოლიტიკური სისტემა და მით უფრო მზაკვარი ლიბერალური სისტემის ადეპტი ხელისუფლება ეცდება, რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი მივიდეს არჩევნებზე. სწორედ ამიტომ შეგხვდებათ მათ შორის ფეისბუკსივრცეშიც უამრავი მოწოდება, რომ „ქოც-ნაცურ არჩევნებში მონაწილეობას რა აზრი აქვს“, რომ „ამ არჩევნების ბედი უკვე გადაწყვეტილია“ და ა.შ.** აი, ამ ფორმულირებით ხდება ნიჰილიზმის გაღვივება ხალხში და გასაგებია, რატომ. იმიტომ, რომ მათ ყველაზე უკეთ იციან ერთი რამ: **თუკი ის ნიჰილისტურად განწყობილი 60% ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვეტს, ხელები დაიკაპიწოს და წავიდეს არჩევნებზე, ჩაწყობილი და შეთანხმებული საარჩევნო სისტემა ლიბერალებს თავზე დაენგრევათ...** ვფიქრობ, ნიჰილიზმი დღევანდელ ვითარებაში არის სოციალური, პოლიტიკური და, პირველ რიგში, იდეოლოგიური თვითმკვლელობა, რომელსაც, მჯერა, ჩვენი საზოგადოება არ დაუშვებს და ამ არჩევნებზე ის რეალურად სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს, პოლიტიკური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ქვეყნის გარედან მართულ მტრებს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

კითხვები ელჩს
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის ელჩი საქართველოში ამტკიცებს, რომ 2016 წლის 8 ნოემბერს აშშ-ის 58-ე საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა რუსეთის ფედერაციის გავლენით და დონალდ ტრამპი კრემლის ჩარევის წყალობით გახდა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი?!

**„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი მიმართავს აშშ-ის ელჩს საქართველოში, ვინაიდან მიაჩნია, რომ დემოკრატიის მსოფლიო ექსპორტიორი ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი მას აუცილებლად უპასუხებს.**

# ელჩი დეგნანი თავისი ინიციატივით განაგრძობს აშშ-ის პრეზიდენტის ცილისწამების სამარცხვინო კამპანიას

# რატომ ჩამოიხსნა ნიღაბი ამერიკის ელჩმა?

**ქალბატონო კელი დეგნან!**

რასაც ახლა გკითხავთ, საქართველოში ამას, ჩემ გარდა, ვერავინ გაბედავს. განა იმიტომ, რომ თქვენთან კითხვები არ აქვთ, უბრალოდ, ყველა, ვისთანაც თბილისში ურთიერთობთ, ასე თუ ისე, ვაშინგტონზეა დამოკიდებული, ამიტომ, საშინლად ეშინიათ თქვენი — ერთი წინდაუხედავი სიტყვა და ბრიყვის კარიერა სამუდამოდ დასრულდება! მაგრამ ჩემთვის უზენაესია თავისუფლება, რომლის ქანდაკებაც სრულიად მსოფლიოს ანათებს (Statue of Liberty Enlightening the World). ამაში ერთმანეთს ვგავართ. **1 სექტემბერს ვაზიანში ამერიკელი მედესანტეების საჩვენებელ წვრთნებზე თქვენ ისეთი თავისუფალი განცხადება გააკეთეთ, ვაშინგტონში რომ გაეგოთ, საქართველოდან გაგვიწვევდნენ!**

ბევრი თქვენი ნაბიჯი, ქალბატონო კელი, ჩემთვის ამოცანად რჩება. მაგალითად, რატომ ამთხვევთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებებს საბჭოთა კავშირში საყვარელ დღესასწაულებს? საქართველოში ხსნით ნატოს სამხედრო წვრთნებს „ღირსეული პარტნიორი – 2020“ („Noblepartner 2020“) 1 სექტემბერს, როდესაც საბჭოთა ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ, ხოლო ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს, აიძულეთ საქართველოს ხელისუფლება, ხელი მოეწერა უპრეცედენტო შეთანხმებაზე გაერთიანებულ ოპოზიციასთან და შეეცვალა საქართველოს კონსტიტუცია...

ეს განცხადება, ქალბატონო კელი, ამერიკის დროშისგან შეკერილ ნიღაბში რომ გაგეკეთებინათ, რომელშიც ყველგან ჩნდებით პანდემიის დაწყების შემდეგ, ვიფიქრებდი, რომ ნიღბის ქვეშ იღიმებით, ანუ ხუმრობთ, მაგრამ ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე რატომღაც ნიღაბი პირველად მოიხსენით და ყველამ დაინახა — აშშ-ის ელჩი აბსოლუტურად სერიოზულად ლაპარაკობს. თქვენ განაცხადეთ შემდეგი: **„რუსეთის მიერ განხორციელებული ქმედებების საფუძველზე, ჩვენ ვხედავთ, რომ არც ერთი ქვეყანა არ არის დაცული არჩევნებში მათი ჩარევისგან. ამის მაგალითია ის, რაც მოხდა აშშ-ში რამდენიმე წლის წინათ, ამიტომ ქვეყანამ და მოსახლეობამ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა საარჩევნო სისტემა მათი გავლენისგან დაიცვან“.**

თავდაპირველად ყურებს არ დავუჯერე და ჩანაწერი რამდენიმეჯერ მოვისმინე (**https://www.facebook.com/watch/?v=386438582342043**)... გამოდის, **აშშ-ის ელჩი საქართველოში ამტკიცებს, რომ 2016 წლის 8 ნოემბერს აშშ-ის 58-ე საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა რუსეთის ფედერაციის გავლენით და დონალდ ტრამპი კრემლის ჩარევის წყალობით გახდა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი?! აშშ-ის ელჩი ამტკიცებს ამას, მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქის სასამართლომ 2020 წლის 30 ივლისს დახურა დემოკრატიული პარტიის სარჩელის გამო აღძრული საქმე, რომლის მიხედვით, აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბი, WikiLeaks-ი და რუსეთი დადანაშაულებული იყო შეთქმულებასა და დემოკრატების ფოსტის ჰაკერულ გატეხვაში 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გავლენის მოხდენის მიზნით?!** (იქნებ აშშ-ის ელჩმა არ იცის ამის შესახებ, მაშინ ინგლისურ ენაზე წაიკითხეთ სასამართლო დადგენილების დედანი **(https://www.documentcloud.org/documents/6225696-DNC-Trump-7-30-19.html).**

გამოდის, რომ აშშ-ის ელჩი თავისი ინიციატივით განაგრძობს აშშ-ის ისტორიაში უპრეცედენტო, 4-წლიან სამარცხვინო კამპანიას, როდესაც ცილი დასწამეს თვითონ აშშ-ის პრეზიდენტს.

შემდგომ თქვენ აკეთებთ არანაკლებ იდუმალ და წინააღმდეგობრივ განცხადებას: **„ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველოს სხვა პარტნიორები ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამას ხალხის ცნობიერების ასამაღლებლად, რათა მათ (მოქალაქეებმა — „საქინფორმის“ რედ.) შეძლონ (ამოიცნონ —„საქინფორმის“ რედ.) და მიხვდნენ — რა არის დეზინფორმაცია და ტყუილი! პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი არიან, მოსახლეობას მიაწოდონ სწორი ინფორმაცია სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, რათა მოსახლეობა ინფორმირებული იყოს ოქტომბრის არჩევნების შესახებ და მიიღოს გადაწყვეტილება დაშინების გარეშე“.**

აქაც ჩნდება რამდენიმე კითხვა, მაგალითად:

*** რატომ უწინ არაფერი ვიცოდით აშშ-ისა და სხვა პარტნიორი ქვეყნების ქართველი ხალხის ცნობიერებაზე ზემოქმედების პროგრამების შესახებ და ამაზე მხოლოდ დღეს შევიტყვეთ აშშ-ის ელჩის განცხადებიდან?**

*** ხომ არ წარმოადგენს ეს პროგრამები უხეშ ჩარევას სახელმწიფოს საშინაო საქმეებში?**

*** ხომ არ არის ეს პროგრამები უკანონო, მოქალაქეთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით?**

*** ხომ არ წარმოადგენს ეს პროგრამები უცხოურ პროპაგანდასა და უცხოურ ჩარევას არჩევნებში, თუ საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს მხოლოდ რუსულ „რბილ ძალას“ და „ჰიბრიდულ ომს“?**

*** ვინ ახორციელებს ამ პროგრამებს — ლუგარის ლაბორატორია, ტელეკომპანია „მთავარი არხი“, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თუ სხვები? რატომ არ გამოცხადდა ტენდერი ამ დიდბიუჯეტიან პროგრამებზე, იქნებ „საქინფორმს“ რომელიმე მათგანი მოეგო?**

*** დაასახელეთ თუნდაც ერთი მაგალითი, როდესაც ეს პროგრამები დაეხმარა ქართველ ხალხს რუსული დეზინფორმაციისა და სიცრუის გამომჟღავნებაში, რადგან, თქვენ გარდა, ეს არავინ იცის. ნუთუ არ გაინტერესებთ, სად მიდის ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა ფული?**

*** როგორ შეიძლება დაევალოს პოლიტიკურ პარტიებს მოსახლეობის პოლიტგანათლება, როდესაც პოლიტიკური პარტიები ერთმანეთთან ბრძოლაში თვითონ ახდენენ მოსახლეობის დეზინფორმაციას ფანტასტიკური ფეიკებით?! განა ყველგან, მთელ მსოფლიოში, მოსახლეობის ინფორმირება მედიის (და არა პოლიტიკური პარტიების!) პრეროგატივა არ არის?**

მოუთმენლად ველი თქვენს პასუხებს დასმულ კითხვებზე.

პატივისცემით,

„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი
**არნო ხიდირბეგიშვილი**
saqinform.ge



**«ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველოს სხვა პარტნიორები ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამას ხალხის ცნობიერების ასამაღლებლად, რათა მათ (მოქალაქეებმა — «საქინფორმის» რედ.) შეძლონ (ამოიცნონ — «საქინფორმის» რედ.) და მიხვდნენ — რა არის დეზინფორმაცია და ტყუილი! პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი არიან, მოსახლეობას მიაწოდონ სწორი ინფორმაცია სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, რათა მოსახლეობა ინფორმირებული იყოს ოქტომბრის არჩევნების შესახებ და მიიღოს გადაწყვეტილება დაშინების გარეშე»**





DOCUMENT
ELECTRONICALLY FILED
DOC #:
DATE FILED:

UNITED STATES DISTRICT COURT

DEMOCRATIC NATIONAL COMMITTEE,

Plaintiff,

against

Defendants.

OPINION AND ORDER



The Court has considered all of the arguments raised by the parties. To the extent not specifically addressed, the arguments are either moot or without merit. For the reasons explained above, the DNC's Second Amended Complaint is dismissed with prejudice and the Campaign's motion for sanctions under Rule 11 is denied. The Clerk is directed to enter judgment dismissing the Second Amended Complaint with prejudice. The Clerk is also directed to close this case and to close all pending motions.

SO ORDERED.

Dated: New York, New York
July 30, 2019

John G. Koeltl
United States District Judge

ხალხი და ხელისუფლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა მოწვევის პარლამენტში იყვნენ ადამიანები, რომლებიც 4 წლის განმავლობაში ხმას არ იღებდნენ, კითხვას არ სვამდნენ და ასეთები არიან ათეულობით. რა გამოდის? მათ ხელფასს (თანაც, როგორ ხელფასს) სიჩუმეში ვუხდით?! და შინ რომ იყვნენ ჩუმად, დაშავდება რამე? თუ აუცილებლად პარლამენტარის ნიშანი უნდა უმშვენებდეთ მკერდს?! როდემდე შეიძლება პარლამენტში ადამიანი მივიყვანოთ მხოლოდ იმის გამო, რომ კარგი თამადაა და კარგად მღერის?**

# ხალხის ხარჯზე სუფრის მორიგი გაშლა 31 ოქტომბერს დაიწყება

**2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ამომრჩეველს, რომელიც რისკზე წავიდა და ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა, მალე ელოდა პირველი შოკი. იმ არჩევნების წინ „ოცნების“ აქტივისტებს აშინებდნენ — ეუბნებოდნენ, რომ დაიჭერდნენ, არ აპატიებდნენ, მაგრამ მათ ციხის, სიცოცხლის რისკის ფასად ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი მაინც მოიყვანეს. რაღა თქმა უნდა, პირველი და მთავარი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენა იყო, ანუ იმ ადამიანების დასჯა, რომლებიც მათ ატერორებდნენ, ციხეში უშვებდნენ; იმ ადამიანების სამართლიანი დასჯა, რომლებმაც ქართველი ერი კრიმინალად გამოაცხადეს, 300 ათას ადამიანს პირობითი სასჯელი გამოუტანეს, ქონება წაართვეს, მოკლეს, აწამეს. ხალხის უმრავლესობამ პირველად სწორედ მაშინ გაიგონა სიტყვა კოაბიტაცია. ის ადამიანები, რომლებიც ამომრჩეველზე ძალადობდნენ, მას „ქართული ოცნების“ დროშას თავზე ახევდნენ, ისევ ძველ ადგილებზე დარჩნენ, ზოგი უფრო დაწინაურდა, ხოლო მათ, ვინც მოკვლით იმუქრებოდა, მხოლოდ ოპოზიციონერობა აკმარეს.**




**ქართულ რეალობაში პარლამენტიც რესტორანს ჰგავს — 4 წლის განმავლობაში უსხედან სუფრას, ჭამენ, სვამენ, თვრებიან და მერე ვეღარ იგებენ, რომ შინ წასვლის დროა. როცა მაინც უწევთ «რესტორნიდან» გასვლა, ოფიციანტს ეტყვიან, — ხალხი გადაიხდისო და ასე ვიხდით წლიდან წლამდე მილიონებს ვიღაცების საკეთილდღეოდ**

კოაბიტაცია უდიდესი შეცდომა რომ იყო, ხელისუფლებაში არავინ აღიარებდა და ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. ეს თანაცხოვრება ქართულ პოლიტიკას დასავლეთმა მოახვია თავს. სწორედ მან უბრძანა ჩვენს პოლიტიკოსებს, გინდათ თუ არა, ასე უნდა იყოსო. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ სწორედ დასავლეთმა არ მისცა (და დღემდე არ აძლევს) ქართულ ხელისუფლებას **მიხეილ სააკაშვილის** დაკავების უფლება. ჰოდა, მაშინ, როცა სააკაშვილს საქართველოში რამდენიმე დანაშაულის გამო უკვე მისჯილი აქვს, ხოლო რამდენიმეზე სასამართლო კვლავ მიმდინარეობს, ის უკრაინაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს და... **უკრაინა თურმე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია.** ვიღაცამ შეიძლება თქვას, ეს მსოფლიო პოლიტიკააო. მაშინ ისიც აგვიხსენით, რატომ ვართ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე სულ უკან, სულ დაჯაბნილი და სულ ვიღაცის ნების შემსრულებელი? რატომ ვერ ვწყვეტთ დამოუკიდებლად თუნდაც იმას, ვინ უნდა იყოს ციხეში და ვინ თავისუფალი? ვინ უნდა იყოს ხელისუფლებაში? მაშინ სად იყო დასავლეთი, სააკაშვილმა ერი კრიმინალად რომ გამოაცხადა და ყოველი მეათე ადამიანი პირობითი სასჯელით დააჯილდოვა?! გამოდის, დასავლეთის მოწოდებაც ეს იყო, ეს უნდოდათ და ამ საქმის საუკეთესო შემსრულებელი სააკაშვილი არ გაიმეტეს.

მსოფლიო პოლიტიკას და იქ პაიკის როლს შევეშვათ და ის ვთქვათ, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ როგორ გააფუჭა საქმე და საკეთებელი. გარდა იმისა, **რომ 2012 წელს ის ადამიანები არ დასაჯა, რომლებიც დასასჯელი იყვნენ, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ზოგი დააწინაურა, ზოგს კი საკრებულოში ამოაყოფინა თავი, ზოგს გამგებლის სავარძელი უბოძა და ისე ათქვიფა ეს ხალხი საკუთარ აქტივში, რომ ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა.** „ოცნებამ“ არც შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზე გაითვალისწინა „ძველი ჯარისკაცების“ (ასე ეძახდნენ და დღემდე ეძახიან 2012 წლის აქტივს) აზრი და უკვე პარლამენტში შეუშვა ის ადამიანები, რომლებიც ზუსტად 4 წლის წინათ „ოცნების“ დაუძინებელი მტრები იყვნენ. შედეგად მივიღეთ ის, რომ **„ოცნების“ სიითა თუ მაჟორიტარის მანდატით პარლამენტში ყოფილი „მამალი“ ნაციონალები მოხვდნენ. შემდეგ თვითმმართველობის არჩევნებში ნაციონალები მთლიანად გაბატონდნენ და „ოცნების“ 2012 წლის შემადგენლობა ბოლომდე ჩაძირეს.** საპრეზიდენტო არჩევნებზე კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა — ძველმა გვარდიამ უარი თქვა აქტიურობაზე და „ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში არჩევნები პირველად წააგო. ოღონდ წააგო პირველი ტური და რეალური საფრთხის წინაშე დადგა, რომ მეორე ტურშიც დამარცხებულიყო. ჰოდა, **ბიძინა ივანიშვილი** დაღლილი სახითა და ჩაწითლებული თვალებით წარდგა ამომრჩევლის წინაშე, ბოდიში მოიხადა, აღიარა, ძველ აქტივს ასე არ უნდა მოვქცეოდით და, თუ ახლა მხარს დამიჭერთ, მე ვარ გარანტი იმისა, რომ მეტ ყურადღებას მოგაქცევთო. ამომრჩეველმა დაუჯერა ივანიშვილს და ისევ მოტყუვდა — **ვერ და არ დაშორდა „ოცნება“ ნაციონალებს, უფრო ახლოს მიიყვანა სუფრასთან...**

მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს უმრავლესობის ლიდერებმა — **მამუკა მდინარაძემ** და **ირაკლი კობახიძემ** ერთხმად თქვეს, რომ საპარლამენტო სია ივლისის შუა რიცხვებში იქნებოდა. შემდეგ ამ თარიღმა აგვისტოს დასაწყისისკენ გადაიწია, შემდეგ — აგვისტოს ბოლოს. მერე თქვეს, სექტემბრის დასაწყისშიო, ახლა კი ბეჭედი დაადეს: „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია დღის სინათლეს 30 სექტემბერს იხილავსო. არ არის ეს გასაკვირი, 30 სექტემბერი ხომ სიის წარდგენის ბოლო ვადაა და, ძალიანაც რომ არ უნდოდეთ, სია მაინც უნდა გამოაქვეყნონ. თქვენი აზრით, **რამ მიიყვანა მმართველი გუნდი იქამდე, რომ საარჩევნო სიას ბოლო დღეს გამოაჩენს?** — რამ და გუნდში მყოფმა „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრების ტერორმა. დიახ, სწორედ ტერორმა. ისინი კატეგორიულად მოითხოვენ სიაში შეყვანას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბოტაჟით იმუქრებიან. რამდენიმე დეპუტატმა, რომლებიც უკვე დარწმუნდნენ, რომ სიაში არ იქნებიან, ფერი ისევ იცვალეს და კვლავ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუბრუნდნენ, მათთან მემორანდუმებს აფორმებენ, კვლავ მათ გუნდში ტრიალებენ და ნაცებმაც ისე მარტივად მიიღეს, თითქოს არც არასდროს არ წასულან. ის, რასაც ამდენი წლის განმავლობაში ამომრჩეველი ამბობდა, გამართლდა — **ყოფილი ნაციონალები არ არსებობენ და ისინი „ოცნებაში“ ყოფნის პერიოდშიც კი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებად რჩებოდნენ. ამას მიხვდნენ „ოცნების“ ლიდერებიც, მაგრამ ისე არ გაიგოთ, თითქოს თავში ხელი შემოირტყეს. არა, ისინი ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებენ და, ვინც შერჩათ, ცივ ნიავს არ აკარებენ,** ანუ, ვისი ამბიციებიც დააკმაყოფილა, ისინი არსად წასულან. მარტივი მოცემულობაა: **არანაირი იდეის, ქვეყნის აღმშენებლობის, სამომავლოდ წინსვლის პერსპექტივით არ არიან ეს ადამიანები გაერთიანებულნი. ყველა, აბსოლუტურად ყველა, საკუთარ თავსა და კეთილდღეობაზე ფიქრობს.** რა ნამუსით უნდა მივიდნენ ყოფილი ნაცები ამომრჩევლებთან, 8 წელი „ოცნების“ ნავში რომ გაატარეს და ახლა გადახტნენ?! მაგრამ **სად არის ნამუსი და სინდისი, როცა საქმე ქართულ პოლიტიკას ეხება?! აქ მთავარი ყოველთვის პირადი გამორჩენა იყო, ასეა ახლაც და, ისეთი პირი უჩანს, მომავალშიც ასე იქნება.**

რამდენიმე დღის წინათ ტელეეთერში ქართული „კოკაკოლას“ მფლობელი **თემურ ჭყონია** საუბრობდა და საინტერესო ფრაზა თქვა: **„მე არ ვიცი, როგორ ვაკეთო პოლიტიკა, მაგრამ ვიცი, როგორ ვაკეთო ბიზნესი, ამიტომ ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია, და პოლიტიკაში არ მივდივარ“.** ასე, ერთ წინადადებაში ჩამოყალიბებული დევიზი თუ მიზანი, დიდი ხანია, არ მომისმენია. ყველამ თავისი საქმე რომ აკეთოს, აკეთოს ის, რაც იცის, გაცილებით წინ ვიქნებით. ეს, იცით, რას ნიშნავს? — იმას, რომ პარლამენტის მანდატი აღარ ექნებათ მსახიობებს, მომღერლებს, სპორტსმენებს, „კაი ტიპებს“, ძმაკაცებს, დაქალებს... **ყველა მოწვევის პარლამენტში იყვნენ ადამიანები, რომლებიც 4 წლის განმავლობაში ხმას არ იღებდნენ, კითხვას არ სვამდნენ და ასეთები არიან ათეულობით.** რა გამოდის? მათ ხელფასს (თანაც, როგორ ხელფასს) **სიჩუმეში ვუხდით?! და შინ რომ იყვნენ ჩუმად, დაშავდება რამე?** თუ აუცილებლად **პარლამენტარის ნიშანი უნდა უმშვენებდეთ მკერდს?!** როდემდე შეიძლება პარლამენტში ადამიანი მივიყვანოთ მხოლოდ იმის გამო, რომ კარგი თამადაა და კარგად მღერის? სიმღერა და თამადობა რესტორანში, ბატონებო, და არა საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ **ქართულ რეალობაში პარლამენტიც რესტორანს ჰგავს. 4 წლის განმავლობაში უსხედან სუფრას, ჭამენ, სვამენ, თვრებიან და მერე ვეღარ იგებენ, რომ შინ წასვლის დროა. როცა მაინც უწევთ „რესტორნიდან“ გასვლა, ოფიციანტს ეტყვიან, — ხალხი გადაიხდისო და ასე ვიხდით წლიდან წლამდე მილიონებს ვიღაცების საკეთილდღეოდ.**

**დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ «ოცნების» საპარლამენტო სიაში «ნაციონალური მოძრაობის» ყოფილი წევრები ისევ იქნებიან; იქნებიან ისეთებიც, რომლებსაც პოლიტიკასთან შეხება არასდროს ჰქონიათ; იქნებიან ვიღაცის დაქალები (გაგახსენებთ ამას აუცილებლად), ვიღაცის ძმაკაცები (ამასაც) და ქართული პარლამენტი კვლავ დაემსგავსება ხალხის ხარჯზე გაშლილ იმ სუფრას, რომელზეც ღვინის მაგივრად ამომრჩევლის სისხლს სვამენ და ასე გრძელდება დაუსრულებლად**

დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ „ოცნების“ საპარლამენტო სიაში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრები ისევ იქნებიან; იქნებიან ისეთებიც, რომლებსაც პოლიტიკასთან შეხება არასდროს ჰქონიათ; იქნებიან ვიღაცის დაქალები (გაგახსენებთ ამას აუცილებლად), ვიღაცის ძმაკაცები (ამასაც) და ქართული პარლამენტი კვლავ დაემსგავსება ხალხის ხარჯზე გაშლილ იმ სუფრას, რომელზეც ღვინის მაგივრად ამომრჩევლის სისხლს სვამენ და ასე გრძელდება დაუსრულებლად.

ხალხის ხარჯზე სუფრის მორიგი გაშლა 31 ოქტომბერს დაიწყება.

**ბესო ბარბაქაძე**

„ჰკითხეთ ნებისმიერ ქართველ დიპლომატს ან მოქმედ თუ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, რამდენი რეზოლუცია მიიღო გაერომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე და რა შედეგი მოჰყვა მათ. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანი დარჩა ფარატინა ქაღალდად, რადგან კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით მცირე წინსვლაც არ გვქონია და, რაც მთავარია, ამ დოკუმენტებს არ მოჰყოლია ჩვენი დევნილი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“.

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სოსო ცინცაძე: ვერანაირი რეზოლუცია და ერთხმად დამტკიცებული დოკუმენტები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივასთან ვერ მიგვაახლოებს

**საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ რამდენიმე დღის წინათ რეგიონში გამართულ შეხვედრაზე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ მიღებულ რეზოლუციას ქართული დიპლომატიის გამარჯვება უწოდა. მისი აზრით, მსგავს წარმატებას როგორც საშინაო, ისე საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე სწორი, თანმიმდევრული პოლიტიკა განაპირობებს. მისი თქმით, ის, რომ ასამბლეამ პანდემიის შემდგომ ფიზიკურად ჩატარებულ პირველივე სესიაზე ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ხმების უპრეცედენტო რაოდენობით მიიღო (საუბარია 84 ხმაზე), ცხადყოფს, რომ საქართველოს მიმართ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა იზრდება.**

რეზოლუციას პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** და პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძე** ერთობ ოპტიმისტური შეფასებებით გამოეხმაურნენ. კერძოდ, პირველმა პირმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ დაწერა, რომ დოკუმენტი ცხადყოფს, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველო საერთაშორისო დღის წესრიგისთვის; (პოსტში ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს რეზოლუცია უპრეცედენტო მხარდაჭერაა). თალაკვაძის შეფასებით კი, რეზოლუცია კიდევ ერთი მკაფიო სიგნალია ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ცივილიზებული სამყარო არ ეგუება ოკუპაციას. მეტიც, მსგავსი გზავნილები საბოლოოდ მიგვიყვანს იქამდე, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვაცა და ტერიტორიული პრობლემების მოგვარების პერსპექტივაც რეალურად ხელშესახები გახდება...

**ცნობისთვის:** ბოლო 15-20 წლის განმავლობაში გაეროს გენერალურ ასამბლეას საქართველოში აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირების უფლებრივ მდგომარეობაზე დაახლოებით ათამდე რეზოლუცია აქვს მიღებული. ყოველ მათგანს საქართველოს ყოველი ხელისუფლება უპრეცენდენტო წარმატებად და წინგადადგმულ ნაბიჯად აცხადებდა, მაგრამ არც ერთი რეზოლუცია არ შესრულებულა და დევნილების მდგომარეობა არც სოციალურად, არც ეკონომიკურად და არც სხვა თვალსაზრისით არ გაუმჯობესებულა.

**რას ნიშნავს დღევანდელ ვითარებაში გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია და რითია ის უკეთესი აქამდე მიღებულ სხვა უთვალავ მსგავს დოკუმენტზე? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.**

**— ბატონო სოსო, რამდენიმე დღეა, ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ვისმენთ აღტაცებულ შეფასებებს, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ საქართველოს კონფლიქტური რეგიონებიდან იძულებით გადადგილებული პირების სტატუსზე მიღებული რეზოლუცია უპრეცენდენტო წარმატებაა. მეტიც, პრემიერმა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი ქართული დიპლომატიის გამარჯვებაცაა. რას ფიქრობთ ამ შეფასებებზე, ადეკვატურია ამ შემთხვევაში მმართველი გუნდი და რას მოგვცემს სინამდვილეში ეს რეზოლუცია?**

— თავისთავად ის ფაქტი, რომ მხარდამჭერი დოკუმენტი მიიღეს და ამით რაღაც სოლიდარობა გამოიხატა ქვეყნისადმი, წმინდა მორალური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ არის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც, უბრალოდ, გვერდს ვერ ავუვლით. **ჰკითხეთ ნებისმიერ ქართველ დიპლომატს ან მოქმედ თუ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, რამდენი რეზოლუცია მიიღო გაერომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე და რა შედეგი მოჰყვა მათ. გადაჭარბების გარეშე შეიძლება, ითქვას, რომ თითოეული მათგანი დარჩა ფარატინა ქაღალდად, რადგან კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით მცირე წინსვლაც არ გვქონია და, რაც მთავარია, ამ დოკუმენტებს არ მოჰყოლია ჩვენი დევნილი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება,** ეს არის სტატისტიკა, რომელსაც ვერავინ უარყოფს, მათ შორის ვერც ხელისუფლება.

რაც შეეხება იმას, რომ ეს რეზოლუცია ჩვენი დიპლომატიის გამარჯვებაა და ა.შ., ვფიქრობ, **დიპლომატიის გამარჯვებად არ შეიძლება ჩაითვალოს ქაღალდი, რომლის მატერიალიზაციაც რეალურ პოლიტიკაში არ ხდება. ეს, როგორც ორჯერ ორი ოთხია და, ვისაც ელემენტარული წარმოდგენა მაინც აქვს დიპლომატიაზე, მის ისტორიაზე არაფერს ვამბობ, ამაში ნამდვილად დაგვეთანხმება.** მესმის, რა თქმა უნდა, ისიც, რომ ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ სჭირდება პიარი და ამ თვალსაზრისით ეს ყველაფერი, ალბათ, ლოგიკურია. ისე, ცნობისთვის: გაეროს რეზოლუციები ბოლო პერიოდში ხშირად რჩება შეუსრულებელი სხვადასხვა საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზეც. მაგალითად, გავიხსენოთ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ლიბიაში იარაღის ემბარგოს შესახებ. დოკუმენტი არსებობს, შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ რეალურად პრობლემა გადაუჭრელია. რატომ? იმიტომ, რომ, შეთანხმების მიუხედავად, ზოგიერთი ქვეყნის მხრიდან იარაღის მიწოდება გრძელდება...

**— ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ გაერო, როგორც ორგანიზაცია, უკვე ქმედუუნაროა?**

— არა მხოლოდ გაერო, დღევანდელი მსოფლიოს, განსაკუთრებით დასავლეთის, უსაფრთხოების სისტემა გადასახედია. ამაზე უკვე დაუფარავად საუბრობენ საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი**, აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** და სხვა წამყვანი სახელმწიფოების პირველი პირები. სხვათა შორის, ჯერ კიდევ წლების წინათ, საუბარია 20-25 წლის წინანდელ ამბავზე, **ედუარდ შევარდნაძე** პროტესტის ნიშნად არ წავიდა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, იმიტომ, რომ ის კატეგორიულად ითხოვდა ამ ორგანიზაციის რეფორმას. შემდეგ **ალექსანდრე ჩიკვაიძე** გაგზავნა... წარმოიდგინეთ, იმ პერიოდიდან იყო მომწიფებული რეფორმის აუცილებლობა, რომელიც არ გატარებულა; და დღეს უკვე, რა თქმა უნდა, ეს ორგანიზაცია ვერანაირად ვერ პასუხობს თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებულ გამოწვევებს.

რაც შეეხება ისევ კონკრეტულ რეზოლუციას, მე ერთი რამ ვიცი და ამის თქმის საშუალებას ჩვენი გამოცდილება მაძლევს, რომ **ვერანაირი რეზოლუციები და ერთხმად მიღებული თუ დამტკიცებული დოკუმენტები ჩვენი უმთავრესი სახელმწიფოებრივი პრობლემის — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის — პერსპექტივასთან ვერ მიგვაახლოებს.** ეს ძალიან მარტივია, იმიტომ, რომ საქმე გვაქვს მსოფლიოს ერთ-ერთ უმძლავრეს სახელმწიფოსთან — რუსეთთან, მორჩა... ახლა რამდენიც უნდა ილაპარაკოს ვინმემ იმაზე, რომ რუსეთს სანქციები დაასუსტებს და ჩვენ ცივილიზებული მსოფლიოს მხარდაჭერა გაგვაძლიერებსო, ეს არის ზღაპარი. რუსეთი არც დაიშლება და არც სანქციების შიშით არ დაიხევს უკან, ეს მათ უკვე გამოსცადეს, ამიტომ ყველაფერი არის ძალიან მარტივი — **მორალური თვალსაზრისით, რეზოლუციებიც კარგია, მხარდაჭერაც და თანადგომაც, მაგრამ ამ პრობლემების რეალური გასაღები კრემლშია. სწორად გამიგეთ, ეს არ არის ვიღაცის არჩევანსა და პირად სიმპათიებზე დამოკიდებული, ეს არის წმინდა პოლიტიკური მოცემულობა, რომელიც ობიექტურად არსებობს...**

**— თქვენი აზრით, დღევანდელ ვითარებაში ოფიციალურ მოსკოვთან დიალოგის დაწყების რა პესპექტივა არსებობს? საიდან შეიძლება დაიწყოს პირველი ნაბიჯების გადადგმა?**

— დავიწყოთ იმით, რომ დიპლომატია ურთულესი ხელოვნებაა, რომელიც ყველაზე მეტად ვერ იტანს უვიცობას, ამიტომ, როდესაც ამ საქმეს ხელს ჰკიდებენ დილეტანტები, ყოველთვის დგება უკუშედეგი. სამწუხაროდ, ჩვენ ამის უამრავი მაგალითი გვაქვს და განსაკუთრებით ბევრია მსგავსი ფაქტები რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მცდელობის კუთხით...

**— მაგალითად?**

— მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში ჩავიდა ერთ-ერთი ჩვენი ოპოზიციური პარტია, რომლის საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს, და იქ შეხვედრები გამართა დსთ-ის (ეს-ენ-გეს) — დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის კომიტეტში. ჩნდება მარტივი შეკითხვა: რა უნდა დსთ-ის კომიტეტში დსთ-ის არაწევრ ქვეყანას? სწორად გამიგეთ, არავის არ ვაკრიტიკებ და ვლანძღავ, მაგრამ წმინდა დიპლომატიური თვალსაზრისით ეს იყო აბსოლუტურად ამოვარდნილი ყველანაირი კონტექსტიდან. ჩვენ შეხვედრები უნდა გავმართოთ დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში და არა სადმე სხვაგან. მოკლედ, ეს იყო საქმისადმი დილეტანტური მიდგომის შედეგი.

რაც შეეხება პირველ ნაბიჯებს, რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ, როგორც კი ჩვენგან იქნება რაღაც პოლიტიკური ნება და ინიციატივა პირდაპირი დიალოგის, მაშინვე ყველაფერი დალაგდება, ფაქტია, **ურთიერთობების ნორმალიზება ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, ეს აუცილებლობა გლობალური პანდემიისა და მისით გამოწვეული ეკონომიკური კოლაფსის ფონზე კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა, იმიტომ, რომ დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება საქართველოს ეკონომიკას გასაღების ბაზარი...**

**— თუმცა ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი შემაფერხებელი გარემოება ისიც შეიძლება იყოს, რომ კრემლთან დიალოგის აუცილებლობაზე საუბარი მას პოლიტიკურ ქულებს დააკარგვინებს. ყოველ შემთხვევაში მათ ასე სჯერათ.**

— არ ვიცი, რას გულისხმობთ ქულების დაკარგვაში. თუ გულისხმობთ, რომ პოლიტიკური ოპონენტები მას რაღაც შავ პიარს აუგორებენ, გეთანხმებით. ეს აუცილებლად იქნება, მაგრამ საზოგადოების განწყობას რაც შეეხება, **ეჭვი მეპარება, რომ დღეს ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა წინააღმდეგი იყოს მოსკოვთან დიალოგის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ვერ წარმომიდგენია, 140-მილიონიან მეზობელს გაებუტო და თანაც მისი ბაზრის იმედზე იყო. დღეს ნახევარი საქართველო, მეტი თუ არა, სწორედ რუსული ბაზრის იმედზეა. ახლა ვიღაც იტყვის, რომ ეს არის ხელოვნური თემა და რუსული პროპაგანდის შედეგი. რუსეთს რა ინტერესებიც გააჩნია, საქართველოში, ყველამ ვიცით, მაგრამ წადით, აბა, და ჰკითხეთ კახელ მევენახეს, ნებისმიერ მეურნეს, ფერმერს, რა აზრისაა ამ ყველაფერზე.** იქ სხვა თემა არ არის, გარდა იმისა, გავა თუ არა ღვინო რუსეთში, გავა თუ არა ყურძენი, ატამი, ბოსტნეული და ა.შ. დიალოგი, რა თქმა უნდა, აუცილებელია და მას წინ არაფერი უდგას, თუმცა ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ **მოლაპარაკებები უნდა აწარმოონ პროფესიონალებმა — პროფესიონალმა დიპლომატებმა და არა დილეტანტებმა, როგორც ამას აქამდე აკეთებდნენ. „კეთილი სურვილებით მოკირწყლულია გზა ჯოჯოხეთისაკენ“, — წერია სახარებაში...**

რაც შეეხება ისევ გაეროს რეზოლუციას, არავის არ ვაკრიტიკებ და ვაკნინებ, მაგრამ საქართველოს მიმართ მიღებული ყველა მსგავსი დოკუმენტი რომ შევაგროვოთ, შეიძლება ერთ ოთახში ვერ დაეტიოს, შედეგი კი გვაქვს ნული. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ამ ყველაფრის იმედად ყოფნა და მით უმეტეს განცხადების განცხადებაზე კეთება: გაერო მხარს გვიჭერს, ავშენდითო, — სხვა არაფერია, თავის მოტყუების გარდა; ეს არის საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა და დაბრმავება, რაც მთლიანობაში იაფფასიანი პოლიტიკური პიარისა და წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია...

> **«რაც შეეხება გაეროს რეზოლუციას, არავის არ ვაკრიტიკებ და ვაკნინებ, მაგრამ საქართველოს მიმართ მიღებული ყველა მსგავსი დოკუმენტი რომ შევაგროვოთ, შეიძლება ერთ ოთახში ვერ დაეტიოს, შედეგი კი გვაქვს ნული. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ამ ყველაფრის იმედად ყოფნა და მით უმეტეს განცხადების განცხადებაზე კეთება: გაერო მხარს გვიჭერს, ავშენდითო, — სხვა არაფერია, თავის მოტყუების გარდა; ეს არის საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა და დაბრმავება, რაც მთლიანობაში იაფფასიანი პოლიტიკური პიარისა და წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია...»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგი არ გაიმართოს, არ მოხდეს ინტერესთა შეჯერება და პოზიციათა დაახლოება. დასავლეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები საქართველოსა და რუსეთს შორის მუდმივ ხერგილად დარჩეს, რათა ამ ორ ქვეყანას შორის სახმელეთო საზღვარი და კავშირები ბოლომდე თუ არ მოისპობა, მაქსიმალურად შემცირდეს და შევიწროვდეს.**

# «ოქროს კვეთა»



**ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია**

**მეცხრამეტე გადაცემა**

# ამერიკაში ღმერთი და სატანა ერთდროულად ალაპარაკდნენ



**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო, ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გაუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქართველი ჟურნალისტები სატაბელო იარაღით აღჭურვეს. საკმარისია, რომელიმე პოლიტიკოსი ან საზოგადო მოღვაწე საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის საკითხს შეეხოს, რომ მის წინ ჟურნალისტი აიტუზება, ნებადართულ სატაბელო იარაღს დააძრობს და პოლიტიკოსს პირდაპირ დაახლის:

**— არის თუ არა რუსეთი ოკუპანტი?**

შეკითხვას უცნაური ძალა აქვს. რესპონდენტს, როგორი მამაციც უნდა იყოს იგი, შეკითხვის დასმისთანავე მუხლები ეკვეთება, პირში ნერწყვი უშრება, პულსი უჩქარდება და სუნთქვა უძნელდება. იგი ცდილობს, საკუთარ სისუსტეს მოერიოს, თავი ხელში აიყვანოს და შეკითხვა როგორმე აირიდოს, მაგრამ შეუბრალებელი ჟურნალისტი დაჭრილ რესპონდენტთან უფრო ახლო მანძილზე მიდის და სულთმობრძავს მისი სატაბელო იარაღიდან მეორე ტყვიას ახლის:

**— არის თუ არა რუსეთი ოკუპანტი?**

რესპონდენტი სასიკვდილოდ დაჭრილს ემსგავსება და, შინაგანად ერთიანად აცახცახებულს, სასიკვდილო აგონია ეწყება. თუ იტყვის, რომ რუსეთი ოკუპანტია, რუსეთთან მისასვლელი პირი აღარ რჩება; თუ იტყვის, რომ რუსეთი ოკუპანტი არ არის, ქართველთა რისხვა არ ასცდება.

— იცით, რა არის... — იგი ლუღლუღს იწყებს და ცდილობს, „არც მწვადი დაწვა და არც შამფურის“ პრინციპით დაუსხლტეს მკვლელ ჟურნალისტს, მაგრამ ეს შეუძლებელია...

**— არის თუ არა რუსეთი ოკუპანტი?** — ჟურნალისტის მესამე გასროლა პირდაპირ თავშია დამიზნებული და მას საკონტროლო ფუნქცია აქვს.

ხომ ბევრჯერ ყოფილხართ ამგვარი დაკითხვისა და ჟურნალისტების მიერ პოლიტიკოსთა საჯარო დახვრეტის მოწმე?!

ყოფილხართ, რა თქმა უნდა. პირადად **მე, თქვენი მონა-მორჩილი, ბევრჯერ „დავუხვრეტივარ“ სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ და ამაყ ჟურნალისტებს.**

**მათი გაოცებული სახეებიც მახსოვს, როდესაც მშვიდად ვპასუხობდი:**

**— არა, რუსეთი არ არის ოკუპანტი!**

ახლა მცირე ხნით გადავდოთ ეს საუბარი და ვნახოთ, როგორ არის განმარტებული ტერმინი „ოკუპაცია“ ლექსიკონებში:

**ქართული ვიკიპედია:** ოკუპაცია (ლათ. occupatio) რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიების დროებით დაკავება.

**რუსული ვიკიპედია:** Оккупация (от лат. *occupatio* — „захват, занятие“) в общем случае — занятие вооружёнными силами государства не принадлежащей ему территории, не сопровождающееся обретением суверенитета над ней и осуществляющееся в отсутствие на то воли государства, обладающего суверенитетом над данной территорией, обычно временное.

ზუსტად ასევეა ეს სიტყვა განმარტებული დასავლურ ლექსიკონებშიც, ანუ **ოკუპაციის ცნება დაზუსტებულია და მასზე აზრთა სხვადასხვაობა არ არის. ეს ტერმინი ერთნაირად ესმით მთელ მსოფლიოში.**

ახლა ვნახოთ, როგორ შეესაბამება ეს ტერმინი იმას, რაც რუსეთმა გააკეთა საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

**საქართველოს სეპარატისტული ავტონომიური წარმონაქმნები, რომლებთანაც, სამწუხაროდ, ომი გვქონდა, რუსეთმა აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. რუსეთმა ამ ტერიტორიების ოკუპაცია კი არ მოახდინა, არამედ ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. ამ განცხადებით რუსეთის ცოდვას არ ვამსუბუქებ, პირიქით, თვითგამოცხადებული სეპარატისტული რეჟიმების აღიარება უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ტერიტორიის დროებითი ოკუპაცია.** მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ოკუპაცია და დამოუკიდებლობის აღიარება ერთმანეთისგან განსხვავებული იურიდიული ტერმინებია. **ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტერმინების აღრევასთან. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ჟიუტად უწოდებენ ამ ტერიტორიების ოკუპაციას.**

რატომ აკეთებენ ამას?

**ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ეს რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგისა და შესაძლო ურთიერთობების ჩაკეტვის ყველაზე საიმედო გზა და საშუალებაა.** რუსეთს თუ ეტყვი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა გაქვს აღიარებულიო, რუსეთი გიპასუხებს, დიახ, ეს მართალიაო. ასეთ შემთხვევაში, ქართული მხარის მიერ რუსეთის ქმედებისთვის მიცემული რეალისტური შეფასება რუსეთის მხრიდან ყრუ კედელს არ აწყდება. მოვლენის ამგვარ შეფასებაზე რუსეთი ვერც იტყვის და არც ამბობს უარს, მაგრამ, როდესაც ქართული მხარე ამბობს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულიაო, რუსეთი მას იმავე წამს ზურგს აქცევს და დიალოგიც მყისვე მთავრდება, უფრო სწორად, არც იწყება.

ვინ აკეთებს ამას?

ამას **დასავლეთი** აკეთებს, რადგან **დასავლეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგი არ გაიმართოს, არ მოხდეს ინტერესთა შეჯერება და პოზიციათა დაახლოება. დასავლეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები საქართველოსა და რუსეთს შორის მუდმივ ხერგილად დარჩეს, რათა ამ ორ ქვეყანას შორის სახმელეთო საზღვარი და კავშირები ბოლომდე თუ არ მოისპობა, მაქსიმალურად შემცირდეს და შევიწროვდეს.** ერთმანეთის მტრად ქცეული საქართველო და რუსეთი დასავლეთისთვის იმისი წინაპირობა და მტკიცე გარანტი ხდება, რომ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ფეხი ერთხელ და სამუდამოდ მოიკიდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოწყვეტა რუსეთის ინტერესებზე მეტად (გაცილებით მეტად) აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთის ინტერესებში შედის. რუსეთისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკუთარი პროტექტორატის ქვეშ მოქცევა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ტაქტიკური აუცილებლობა თუ იყო, აშშ-ისთვის მის მიერვე პროვოცირებულ ამავე ფაქტს (საქართველოსა და რუსეთს შორის დაუძლეველი წინააღმდეგობისა და მტრობის წარმოშობას) სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ეჭვიც არ მეპარება, ყურადღებას მიაქცევდით, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკუთარ პროტექტორატქვეშ მოქცევას, ანუ მათი დამოუკიდებლობის აღიარებას აშშ-ის მიერ დაგეგმილი და პროვოცირებული ვუწოდე. სიტუაციის ამგვარი შეფასება, ალბათ, გაგიკვირდათ და მკითხავთ კიდეც, თუ რაზე დაყრდნობით ვაკეთებ ასე თამამ ვარაუდებს.

**ამერიკელებმა შესანიშნავად იციან, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ისტორიული მიზიდულობის ძალა მოქმედებს — არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ სულიერი და კულტურული მიზიდულობის ძალა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ყველა იმ ხელოვნურ ჯებირს, რომელიც დასავლეთის პოლიტიკურმა წრეებმა, სპეცსამსახურებმა და საინფორმაციო საშუალებებმა წლების მანძილზე აშენეს და აღმართეს, აუცილებლად დაანგრევს. ამიტომაც ცდილობენ, რომ ჯებირს ჯებირი მიუმატონ, წინააღმდეგობას — წინააღმდეგობა, სიძულვილს — სიძულვილი.** დაკარგული ტერიტორიები კი ის ტკივილია, ქართველი კაცი რომ ვერასოდეს დაივიწყებს და ვერც ვერასოდეს შეეგუება. იმიტომაც დააწყებინეს სააკაშვილს 2008 წლის ომი სამხრეთ ოსეთში, რომ რუსეთს ძალმომრეობაზე ძალმომრეობით პასუხის გაცემის გარდა სხვა გზა არ დარჩენოდა. შედეგი ზუსტად იყო გათვლილი — საქართველოსა და რუსეთს შორის დაუძლეველი და საუკუნო მტრობის ჩამოვარდნა, რომელიც ამერიკელებს დანარჩენ საქართველოში სრულ კარტბლანშსა და განუკითხავი თარეშის საშუალებას მისცემდა. **ამერიკის „მეხუთე კოლონა“ ყბედობს, ბრიყვები კი იმეორებენ, — ამერიკელები სააკაშვილს აფრთხილებდნენ, არ შეცდე და ცხინვალში ომი არ დაიწყოო. სააკაშვილი გიჟი კი არის, მაგრამ არა ისეთი, რომ ომი ამერიკელებთან შეუთანხმებლად დაეწყო. სიტყვა „შეთანხმება“ მთლად ზუსტი არ არის. უფრო სწორი სიტყვა „დავალებაა“. სააკაშვილმა ამერიკელებისგან დავალება მიიღო, რომ ცხინვალში ომი დაეწყო. მათ არ იცოდნენ, რით უპასუხებდა რუსეთი ამ ბინ-**

**ერთმანეთის მტრად ქცეული საქართველო და რუსეთი დასავლეთისთვის იმის წინაპირობა და მტკიცე გარანტი ხდება, რომ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ფეხი ერთხელ და სამუდამოდ მოიკიდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოწყვეტა რუსეთის ინტერესებზე მეტად (გაცილებით მეტად) აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთის ინტერესებში შედის. რუსეთისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკუთარ პროტექტორატქვეშ მოქცევა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ტაქტიკური აუცილებლობა თუ იყო, აშშ-ისთვის მის მიერვე პროვოცირებულ ამავე ფაქტს (საქართველოსა და რუსეთს შორის დაუძლეველი წინააღმდეგობისა და მტრობის წარმოშობას) სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა**

**ამერიკის „მეხუთე კოლონა“ ყბედობს, ბრიყვები კი იმეორებენ, — ამერიკელები სააკაშვილს აფრთხილებდნენ, არ შეცდე და ცხინვალში ომი არ დაიწყოო. სააკაშვილი გიჟი კი არის, მაგრამ არა ისეთი, რომ ომი ამერიკელებთან შეუთანხმებლად დაეწყო. სიტყვა „შეთანხმება“ მთლად ზუსტი არ არის. უფრო სწორი სიტყვა „დავალებაა“. სააკაშვილმა ამერიკელებისგან დავალება მიიღო, რომ ცხინვალში ომი დაეწყო. მათ არ იცოდნენ, რით უპასუხებდა რუსეთი ამ ბინძურ ავანტიურას, მაგრამ სურვილი ჰქონდათ, რომ პასუხი უმკაცრესი ყოფილიყო. სწორედ ამ გათვლით დააზოცინეს სააკაშვილს საერთაშორისო მანდატით აღჭურვილი რუსი სამშვიდობოები ცხინვალის მისადგომებთან.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელების მიერ საქართველოს ცალკეული ტერიტორიები კი არა, სრულიად საქართველოა ოკუპირებული; მათ მიერ ოკუპირებულია საქართველოს ხელისუფლება და თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი; ოკუპირებულია საინფორმაციო საშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციოლოგიური კვლევის სამსახურები; ოკუპირებულია არმია, პოლიცია, სპეცსამსახურები; ოკუპირებულია სასამართლო სისტემა; ოკუპირებულია საზოგადოებრივი ცნობიერება; ოკუპირებულია მოსახლეობის დიდი ნაწილის სული, გული, გონება, აზრი, განსჯა, განცდა და რწმენა; ოკუპირებულია არსებული რეალობა და სტატუს-კვო; ოკუპირებულია ისტორია და მომავალი; ოკუპირებულია მომდევნო თაობები!**

◀ **ძურ ავანტიურას, მაგრამ სურვილი ჰქონდათ, რომ პასუხი უმკაცრესი ყოფილიყო. სწორედ ამ გათვლით დაახოცინეს სააკაშვილს საერთაშორისო მანდატით აღჭურვილი რუსი სამშვიდობოები ცხინვალის მისადგომებთან.** მოკლედ, ამერიკელებმა ყველაფერი ზუსტად გათვალეს. მათ არაფერში სჭირდებოდათ ცხინვალში სააკაშვილის გამარჯვება, მათ სხვა რამ სჭირდებოდათ — რუსეთის მიერ საქართველოს მკაცრად დასჯა, რათა ქართველი და რუსი ხალხისთვის ერთმანეთთან მისასვლელი ხიდები დაენგრიათ და შემაკავშირებელი ძაფები ჩაეჭრათ. სამწუხაროდ, მათ ამ მიზანს მიაღწიეს. რუსეთი აიძულეს, გადაედგა ნაბიჯი, რომელიც კატასტროფული შედეგის მომტანია, როგორც საქართველოსთვის, ასევე რუსეთისთვისაც, მაგრამ მას სხვა გზა არ რჩებოდა. რუსეთმა გადაკვეთა წითელი ხაზი და ხელი მოაწერა საქართველოს დაშლის აქტს. ამ აქტით ამერიკელებმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსებს მიუგდეს, დანარჩენი საქართველო კი თავად გაინაღდეს, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური კოლონია და სამხედრო პლაცდარმი. ჩვენთვის მომაკვდინებელი, მაგრამ **ამერიკელებისთვის ხელსაყრელი ეს მდგომარეობა იქამდე არ შეიცვლება, სანამ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას უკან არ გაიწვევს და ამ ტერიტორიებიდან სამხედრო ბაზებს არ გაიყვანს. აი, ვის ინტერესებშია დღეს არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნება, ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის პროტექტორატქვეშ დე ფაქტო დატოვება.**

**ამერიკელებს ახლა ამ მიმართულებით მხოლოდ ერთი რამ აწუხებთ: რუსეთსა და საქართველოს ერთმანეთთან დიალოგის საშუალება არ მისცენ და საამისო პირობების შექმნას როგორმე ხელი შეუშალონ. ამიტომ აყვირებენ ისინი ასე გააფთრებით თავიანთ „მეხუთე კოლონას“ საქართველოში, რომ არ დაუშვან ქართულ-რუსული დიალოგი დასავლეთის მონაწილეობის გარეშე.**

**სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:** — დღევანდელ კონფიგურაციაში შეუძლებელია რუსეთთან მოლაპარაკებებში მარტო დარჩენა. ჩვენ გვჭირდება, რომ ახლოს ვიყოთ ჩვენს ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან, გვერდით გვყავდნენ ისინი.

**ვალერი კვარაცხელია:** — საქართველოს პრეზიდენტს და მასთან ერთად მთელ პოლიტიკურ სპექტრს დასავლეთი ჩასჩიჩინებს, — ასე უნდა თქვათო. ეშინიათ დასავლეთში, რუსეთმა და საქართველომ ვაითუ მართლა გააცნობიერონ, რომ მტრობაზე უკეთესი მეგობრობა და პარტნიორობაა ორივე ქვეყნისთვის. **რუსეთს თავის სამხრეთ საზღვრებთან, რომელიც მისთვის საკმაოდ პრობლემურია, რა თქმა უნდა, პარტნიორულად და კეთილმეზობლურად განწყობილი ერთიანი საქართველო ურჩევნია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან უკანონო ქორწინებით მიღწეულ დე ფაქტო პარტნიორობას. განა, საქართველოსთვისაც გაცილებით ხელსაყრელი და ღირსეული მდგომარეობა არ იქნება რუსეთთან პარტნიორობით მიღწეული ტერიტორიული მთლიანობა, ვიდრე დაშლილდაქუცმაცებული საცოდავი ქვეყნის სტატუსით ოცდაათი წლის განმავლობაში ნატოსა და ევროკავშირის კართან მათხოვარივით ხელგაწვდილი დგომა?!** ჰოდა, ხომ გასაგებია, რა უშლის ან ვინ უშლის ხელს ამგვარი დიალოგის გამართვას? რა თქმა უნდა, აშშ და კოლექტიური დასავლეთი. ეს არამარტო ლოგიკური, არამედ ჭეშმარიტი მსჯელობაა. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, რომ მსოფლიოზე ერთპიროვნული ბატონობისკენ მიმავალი ამერიკული ზესახელმწიფო საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა განვითარებადი სტატუსის მქონე რომელიღაცა პაწაწინა ქვეყნის (ამ შემთხვევაში, საქართველოს) ტერიტორიული მთლიანობის საკითხს აყენებდეს? **სახელმწიფო, რომელიც ცეცხლითა და მახვილით (ბირთვული იარაღითაც) შედის და ანადგურებს ნებისმიერ ურჩ ქვეყანას, რაღა საქართველოსთან გამოიჩენს გულჩვილობას, თუკი მისი დაშლა რაღაცით ხელსაყრელი აღმოჩნდება მისთვის?!**

**შამილ ბასაევი** გახსოვთ? დიახ, დიახ, უკიდურესად პირსისხლიანი ჩეჩენი ტერორისტი, რომელიც აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ ომობდა და წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენდა მეომრების, ტყვეებისა თუ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. შამილ ბასაევი თუ გახსოვთ, მაშინ ისიც გემახსოვრებათ, რომ იგი ერთნაირად დაუნდობელი იყო როგორც ქართველების, ასევე რუსების მიმართ. მისი მოწყობილია რუსეთში მომხდარი მრავალი შემზარავი ტერაქტი. ქართულ-აფხაზურ ომში შამილ ბასაევის მონაწილეობის უტყუარი დასტურია მისთვის **ვლადისლავ არძინბას** მიერ 1994 წელს აფხაზეთის გმირის წოდების მინიჭება. ბასაევთან დაკავშირებული ეს ფაქტები ნუთუ არაფერს გეუბნებათ და ალაგებს თქვენს წარმოდგენაში? თუ გიჭირთ ამ „გორდიას კვანძის“ გახსნა, ისევ მე წამოგეშველებით: **ეჭვი, ალბათ, არ გეპარებათ, რომ რუსეთის დაუძინებელი მტერს, შამილ ბასაევს, ამერიკული სპეცსამსახურები მართავდნენ. ამერიკული სპეცსამსახურების მიერ მართულ ამ უზარმაზარი წონის ტერორისტს საქართველოს წინააღმდეგ ომში ვინ ჩართავდა და გამოიყენებდა თუ არა ისევ და ისევ ამერიკული სპეცსამსახურები? — ცხადია, სხვა ვერავინ. ე.ი., ამერიკელები იმ ომში საქართველოს დასამარცხებლად მოქმედებდნენ. რატომ იქცეოდნენ ამერიკელები ასე? იმიტომ, რომ აფხაზებთან ომში ქართველების დამარცხებას რუსეთსა და საქართველოს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება და მუდმივი მტრობა მოჰყვებოდა. ეს კი ამერიკელთა გეოპოლიტიკურ მიზნებში შედიოდა.** ამ რთულ საკითხში გარკვევა უფრო გაგიადვილდებათ, თუ იმასაც გაიხსენებთ, რომ ამერიკელთა მიერ ინსპირირებულ ქართულ-აფხაზური



ომის დროს **ელცინის** რუსეთსაც და **შევარდნაძის** საქართველოსაც ერთი დირექტორი ჰყავდა პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშის (უფროსი)** სახით.

ახლა, მოდი, ამ ყველაფერს ახალი გადასახედიდანაც შევხედოთ: **საქართველოში გამოჩნდა ერთი საპარლამენტო პარტია, რომელმაც გაბედა იმის თქმა, რომ რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგია საჭიროო. ეს პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ გახლავთ. მათ არა მხოლოდ თქვეს ეს ამბავი, არამედ ნათქვამს საქმეც მოაყოლეს და რუსეთის სახელმწიფო დუმასა და ფედერაციის საბჭოში დეპუტატებისგან შემდგარი დელეგაცია რამდენჯერმე მიავლინეს.** ახლახან კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ირმა ინაშვილი** და საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე **გიორგი ლომია** აფხაზეთშიც ჩავიდნენ და ილორის მართლმადიდებელ ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატი დააბრძანეს.

**ირმა ინაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, „პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი:** — მე და გიორგი ლომია ნამდვილად ვიყავით აფხაზეთში. ჩვენ ღვთისმშობლის ხატი დავაბრძანეთ ილორის ტაძარში, ილორის ღვთისმშობლის ხატი.

**ვალერი კვარაცხელია:** — ესენი არ ხუმრობენ, — გაიფიქრეს იქ, სადაც ჯერ არს და წითელი შუქიც აინთო. ამუშავდა დეზინფორმაციის ურჩხული, ერთმანეთში აირია ტყუილი, მართალი, ჭორი, სიცრუე, ცილისწამება... ამუშავდა სიბინძურისმფრქვეველი მანქანა, ცნობილი რუსი რეჟისორისა და ტელეწამყვანის — **ნიკიტა მიხალკოვის** ენით რომ ვთქვათ, დასავლური гавномет-ი, რომელიც თვალსაწიერზე დაუსვრელს არაფერს სტოვებს...

**პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი, სოციალური ქსელები:**

* „პატრიოტთა ალიანსს“ კრემლმა რვა მილიონი დოლარი გამოუყო!

* ვლადიმერ პუტინმა ირმა ინაშვილს სოჭში ორი მილიონი დოლარი გადასცა!

* აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ განაცხადა, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ მზად არის, აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს!

**ვალერი კვარაცხელია:** — მე არც „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ვარ და არც მათ საპარლამენტო სიაში ვარ წარმოდგენილი, რომ მათი ადვოკატობა გავწიო. მე, როგორც ჟურნალისტი და პოლიტიკური მიმომხილველი, ვაანალიზებ იმას, რაც ქვეყანაში ხდება. მე არ შემიძლია ვამტკიცო ის, რაც არ ვიცი, მაგალითად, გამოუყო თუ არა მათ კრემლმა ფინანსური სახსრები, მაგრამ როგორ უნდა დავუჯერო ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ განაცხადონ, რომ **ვლადიმერ პუტინი** სოჭში ჩაფრინდა ირმა ინაშვილთან შესახვედრად და მისთვის თანხის გადასაცემად. ან რა უნდა დაუჯერო ჟურნალისტებს, რომლებიც თუთიყუშებივით იმეორებენ აფხაზურ საიტზე წაკითხულ ინფორმაციას, რომ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ **ასლან ბჟანიას** თითქოს განეცხადებინოს, — „პატრიოტთა ალიანსი“ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებსო. ასეც რომ ყოფილიყო, ბატონი ბჟანია რატომ დაასწრებდა მოვლენებს და რატომ ჩაშლიდა ამ საქმეს, ვითომ წინააღმდეგი იყო ამგვარი აღიარების? ეს ხომ სრული აბსურდია.

იმ ალიაქოთიდან, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკურ საქმიანობაზე ატყდა, ორი მთავარი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

**1. აშშ ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ საფუძველშივე აღკვეთოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ნებისმიერი მცდელობა;**

**2. ამერიკელები ყველა საშუალებით აღუდგებიან წინ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზებისკენ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს და ყველანაირად შეეცდებიან, არ დაუშვან პირდაპირი დიალოგი ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის.**

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს, რომლითაც ეს გადაცემა დავიწყეთ და შევეცადოთ, ჩამოვაყალიბოთ, თუ ვის მიერ რა არის ოკუპირებული საქართველოში.

**ამერიკელების მიერ საქართველოს ცალკეული ტერიტორიები კი არა, სრულიად საქართველოა ოკუპირებული; მათ მიერ ოკუპირებულია საქართველოს ხელისუფლება და თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი; ოკუპირებულია საინფორმაციო საშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციოლოგიური კვლევის სამსახურები; ოკუპირებულია არმია, პოლიცია, სპეცსამსახურები; ოკუპირებულია სასამართლო სისტემა; ოკუპირებულია საზოგადოებრივი ცნობიერება; ოკუპირებულია მოსახლეობის დიდი ნაწილის სული, გული, გონება, აზრი, განსჯა, განცდა და რწმენა; ოკუპირებულია ეროვნული ღირსება; ოკუპირებულია არსებული რეალობა და სტატუს-კვო; ოკუპირებულია ისტორია და მომავალი; ოკუპირებულია მომდევნო თაობები!**

აი, ესაა ამერიკული ოკუპაცია — მასშტაბური, ფორსირებული, გლობალური ოკუპაცია!

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე!

**P. S. გადაცემა უთუოდ დატოვებდა უკმარისობის განცდას იმ თვალსაზრისით, რომ მასში არაფერია ნათქვამი გამოსავალზე.**

**სად არის ხსნა? სად არის გადარჩენა?**

**პირდაპირ გეტყვით: გადარჩენას მე ვერც საქართველოში ვხედავ, ვერც რუსეთში და ვერც სადმე სხვაგან, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა. იქნებ აშშ-ში მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში იყოს გადარჩენა.** არა იმიტომ, რომ არჩევნებში დონალდ ტრამპი დამარცხდება, ან — ჯოზეფ ბაიდენი, არამედ იმიტომ, რომ დიდი შანსია, ბოროტება დამარცხდეს, რომელსაც ამერიკა და მსოფლიო უპყრია ხელთ.

ამერიკაში უკვე ალაპარაკდა სატანა...

**ჰილარი კლინტონი, აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი:** — ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ ვაღიარებთ დონალდ ტრამპის გამარჯვებას!

**ვალერი კვარაცხელია:** — ამერიკაში ღმერთიც ალაპარაკდა, რომელმაც პრეზიდენტ ტრამპის პირით გასაოცარი აღიარება მოგვასმენინა...

**დონალდ ტრამპი, აშშ-ის პრეზიდენტი:** — ამერიკას ის ძალები მართავენ, რომლებიც დღის სინათლეზე არასოდეს გამოდიან და მუდმივად ბნელში რჩებიან!

**ვალერი კვარაცხელია:** — აშშ მივიდა რუბიკონთან. დედამიწის უბნელესი და უბოროტესი ძალების მიერ მართულ ამერიკულ იმპერიალიზმს ზრიალი გააქვს, რაც იმის მომასწავებელია, რომ იგი მალე დაინთქმება უფსკრულში. ამერიკელი ხალხი კი მთელ მსოფლიოსთან ერთად, ბოლოს და ბოლოს, ჩაისუნთქავს თავისუფლების ჰაერს, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ყალბად და მოსაჩვენებლად უმღეროდა...

დეპუტატობის კანდიდატი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი პატარა ქვეყანა კოლონიაა, მაგრამ ეს ლამაზადაა შეფუთული. ჩვენ გვაქვს დროშა, გერბი, კონსტიტუცია, ჰიმნი; გვყავს ჯარი, პოლიცია, მაგრამ არ ვართ თავისუფლები, რადგან ჩამოთვლილთაგან არაფერი გვაქვს ჩვენი შექმნილი, ყველაფერი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთანაა შეთანხმებული, ჩვენ ყველაფერი ვიღაცის ანალოგიური შეგვაქმნევინეს, არავის არ გაუთვალისწინებია ჩვენი იდეოლოგია, ჩვენი თვითშეგნება და ეროვნული სულისკვეთება“.**

**ვიქტორ ცაავა:**

# საქართველო ორი, სამი თუ მეტი ქვეყნის მიერაა ოკუპირებული და ეს სიმართლეა, სიმართლე, რომელზეც არავინ არ საუბრობს. საქართველო კოლონიაა



**საქართველო საპარლამენტო არჩევნების მოლოდინშია — პოლიტიკური პარტიები, მათი ლიდერები, მაჟორიტარობის კანდიდატები აქტიურ საარჩევნო კამპანიას აწარმოებენ. იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკოსების განცხადებები ამომრჩევლების ყურადღების მისაქცევად, მსუბუქად რომ ვთქვათ, ფსიქოზის ზღვარს აღწევს, ქართველი ელექტორატი მაინც ჩვეულ რეჟიმშია, ისინი ამრეზით უყურებენ ყველას და ასევე ამრეზით უსმენენ დაპირებებსაც. მოკლედ, ქართველი ამომრჩეველი კვლავ ნიჰილისტურადაა განწყობილი ამ არჩევნების მიმართაც.**

ძალიან ძნელია, ამ საპარლამენტო არჩევნებში რაიმე ფორმით მიიღო მონაწილეობა, თუნდაც უბრალო აგიტატორის როლში... ამომრჩევლის გამოყვანა და პოლიტიკოსების წინ დაყენება, რათა მათი მორიგი, არაფრისმთქმელი დაპირება მოისმინოს, ჭირს ყველა რაიონში, ჭირს დედაქალაქშიც.

თუკი ვინმეს შეხება ჰქონია არჩევნებთან, კარგად იცის, რომ ყველაზე აქტიური ამომრჩეველი სამეგრელოსა და გურიას ჰყავს.

დანარჩენი საქართველოსავით, არც მათ სჯერათ პოლიტიკოსების დაპირებებისა და უამრავი შეკითხვა და პრეტენზია აქვთ, ინტერესდებიან ყველაფრით, ასე ვთქვათ, საფლავში ჩაჰყვებიან-ხოლმე „ამოსარჩევს“...

განსაკუთრებით ძნელია მეგრელ ამომრჩეველთან საუბარი. ეროვნული მთავრობის წევრი, სულკურთხეული თემურ ქორიძე მეგრელებზე ამბობდა: „ისინი არავის არ აყვედრიან, რაც გადაიტანეს. სამეგრელოს დასაპყრობად მთელი საქართველო დაიძრა, მაგრამ მეგრელები დიდსულოვნად დუმან და მადლობა ჩვენს ძმებს ამისთვის“.

**„საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა მარტვილი-ჩხოროწყუ- წალენჯიხა-აბაშის ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატს „პატრიოტთა ალიანსიდან“ — ვიქტორ ცაავას, რომელიც არის ისტორიკოსი, ანალიტიკოსი, ბლოგერი. მისთვის უჩვეულოა ამ ამპლუაში ყოფნა, მაგრამ ის ჩვენი გაზეთისთვის საინტერესო აღმოჩნდა, რადგან იცის მეგრელი ამომრჩევლის განწყობა და არჩევნებისადმი დამოკიდებულება, ასევე კარგად იცნობს მათ პრობლემებს, წლების განმავლობაში დაგროვილს.**

— სამეგრელოს ამომრჩეველი მართლა ძალიან ფრთხილია, მას მართლაც სჭირდება სხვაგვარი მიდგომა. ყველამ კარგად იცის, რა გადაიტანეს მეგრელებმა 1990-იან წლებში. სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც დამითანხმეს, მირჩიეს — ამომრჩევლამდე ვიღაცამ სიმართლე უნდა მიიტანოს და ჯობია, ეს შენ იყოო...

ყველა პარტია, რომელიც დღეს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობს, გარკვეული კონიუნქტურის ქვეშაა, მათ არ შეუძლიათ თქვან სიმართლე, სიმართლე, რომლის უთქმელობაც დაგვღუპავს.

**— რა არის სიმართლე?**

**— საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილში უცხო ქვეყნის ჯარი დგას ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, ეს ოკუპაციაა. არის ჩვენი ქვეყნის მეორე ტერიტორიაც, იქ არ დგას ჯარი, მაგრამ ისიც ოკუპირებულია. ასე რომ, საქართველო ორი, სამი თუ მეტი ქვეყნის მიერაა ოკუპირებული და ეს სიმართლეა, რომელზეც არავინ ლაპარაკობს. საქართველო კოლონიაა.**

ჩვენი პატარა ქვეყანა კოლონიაა, მაგრამ ეს ლამაზადაა შეფუთული. ჩვენ გვაქვს დროშა, გერბი, კონსტიტუცია, ჰიმნი; გვყავს ჯარი, პოლიცია, მაგრამ არ ვართ თავისუფლები, რადგან ჩამოთვლილთაგან არაფერი გვაქვს ჩვენი შექმნილი, ყველაფერი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთანაა შეთანხმებული, ჩვენ ყველაფერი ვიღაცის ანალოგიური შეგვაქმნევინეს, არავის არ გაუთვალისწინებია ჩვენი იდეოლოგია, ჩვენი თვითშეგნება და ეროვნული სულისკვეთება... ეს, ალბათ, გასაკვირი არცაა უკვე, რადგან ჩვენი ხელით ძალდაუტანებლად მოვაწერეთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, რომელმაც უფრო მეტად შებოჭა პატარა საქართველო.

**საქართველომ ასოცირების ხელშეკრულება ევროპასთან დადო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ევროპის კი არა, ამერიკის კოლონიაცაა. საქართველო ორი ბატონის მონაა.**

ასეთ ვითარებაში მწარე სიმართლის საჯაროდ თქმა ძნელია... მართლაც დიდი რისკია ჩემი მხრიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: მეგობრებმა შემაგულიანეს და გადაწყვეტილებაც მივიღე, ახლა უკან დახევას აღარ ვაპირებ. ვიტყვი სიმართლეს ყველგან და ყველასთან; შევეცდები, თვალი ავუხილო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, თუმცა ვიცი, რომ ბევრმა მათგანმა სიმართლე ჩემზე უკეთ იცის, ყველა პოლიტიკოსზე უკეთ ხვდება, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში.

ჩემი კანდიდატურა „პატრიოტთა ალიანსმა“ წამოაყენა, მე ვიზიარებ მათ მოსაზრებას ძალიან ბევრ საკითხში. მომწონს მათი იდეები, პროგრამა, პლატფორმა, მსოფლმხედველობა და მეც მინდა, ყველაფერი, რასაც პარტია და მისი ლიდერები ფიქრობენ, მარტვილის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და აბაშის ამომრჩევლის ყურამდე მივიტანო.

**მე და ჩემს წარმდგენ პარტიას, „პატრიოტთა ალიანსს“, გვაქვს ქვეყნის გადარჩენის გეგმა, რომელსაც აუცილებლად გავაცნობთ ამომრჩეველს და რომელზეც მოგვიანებით თქვენთანაც ვისაუბრებთ.**

**— როგორ გხვდებათ ამომრჩეველი?**

— უკვე ვიყავით ყველა რაიონში, შეძლებისდაგვარად შევხვდით ამომრჩეველს. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ამომრჩევლის ქუჩაში გამოყვანა ძალიან ძნელია, მათ არ აქვთ სურვილი პოლიტიკოსებთან შეხვედრის, მაგრამ, რადგან მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, ჩვენ მათ არ შევაწუხებთ, თვითონ მივალთ მათთან, მივალთ ყველა სოფელში, ყველა გვართან, ყველა თემში.

ვფიქრობ, შევასრულო პროგრამა მაქსიმუმი, რადგან „პატრიოტთა ალიანსი“ იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩემი მოსაზრებები, ხედვები გავაცნო ამომრჩეველს, ვიმოქმედო დამოუკიდებლად და გადავდგა თამამი ნაბიჯები იმ რეგიონში, რომელსაც თქვენ რთულსა და მიუდგომელს უწოდებთ, და რომელიც ასე ახლობელია ჩემთვის.

ჩემი მიზანი სამეგრელოს აყვავებაა!

**— ძალიან ძნელია ამის შესრულებაც და ამომრჩევლის დარწმუნებაც...**

— მახსოვს, ჩემს ბავშვობაში სამეგრელოში ოჯახი არ იყო, ოცდაათკაციან სუფრას სახელდახელოდ რომ ვერ გაშლიდა. დღეს მათ ძალიან უჭირთ, და სტუმრის მიღება კი არა, თავი რით გამოიკვებონ, ის არ იციან...

**1990-იანი წლების შემდეგ სამეგრელოს ძალიან გაუჭირდა, გაუჭირდა სამეგრელოს სააკაშვილის მმართველობის პერიოდშიც. ყველას გვახსოვს, რა შიში დათესეს აქ, ყველა საშინელება, თუკი რამ ხდებოდა ქვეყანაში სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, სამეგრელოში ხდებოდა ან მეგრელების ხელით... დიდი და უსაშველო იყო შიში, რომელიც სააკაშვილმა აქ დათესა...**

**— მაინც, როგორ ხედავთ სამეგრელოში შიმშილისა და გაჭირვების აღმოფხვრის გზებს?**

— უპირველესი პრობლემა მეგრელებისთვის არის ის, რომ ჩიხში აღმოჩნდნენ. სახელმწიფო მიმართული უნდა იყოს იქით, რომ სამეგრელომ დაიბრუნოს გზა, რომელიც ჰქონდა, ის უნდა იყოს გამტარი. მიმაჩნია, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა უნდა გადაწყდეს რაიმე ფორმით. **საქართველო უნდა დაელაპარაკოს აფხაზებსა და რუსებს, ეს უპირველესი ამოცანა, უპირველესი პრობლემაა და, სანამ ამ პრობლემას თვალს არ გავუსწორებთ, არაფერი გამოვა.**

**— ყველას, ვინც ასე ფიქრობს, „რუსეთუმეს“ უწოდებენ. როგორ უყურებს თქვენი ამომრჩეველი ამ პრობლემას და როგორ აღიქვამს „რუსეთუმეს“ ტერმინს სამეგრელო?**

— ქართველი ლიბერალები ამბობენ, რომ ქართველმა საზოგადოებამ, დიდი ხანია, გადაწყვიტა ჩვენი ქვეყნის გზა და მისი პოლიტიკური ორიენტაცია. ისინი ამბობენ, რომ ჩვენი საზოგადოება მიდის დასავლეთისკენ და ეს კონსტიტუციაშიც ჩაწერეს, მაგრამ ამ ყველაფრის საპასუხოდ, მინდა, ლიბერალებს ვუთხრა, რომ ქართველი საზოგადოება არ არის პროდასავლური, ის ცოცხალი ორგანიზმია და კარგად ხვდება, საით არის სიკეთე და ქვეყნის აღმშენებლობა, სად არის რეალურად ხსნისა და განვითარების გზა.

სამწუხაროდ, **ჩვენი საზოგადოება ორად არის გახლეჩილი, თუმცა უდიდესი ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება არის ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთდერთი გზა, ოღონდ პირობა ყველას ერთი გვაქვს — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ამის გარეშე არაფერი გამოვა. მაგრამ ტერიტორიული მთლიანობა უპირობოდ არ აღდგება, ცოტა ლავირებაა საჭირო, ცოტა დათმობა, კეთილმეზობლური ურთიერთობის რეალური სურვილი...**

**— რატომ მაინცდამაინც „პატრიოტთა ალიანსი“, თქვენ დამოუკიდებლად, საინიციატივო ჯგუფის წარდგენითაც ხომ შეგეძლოთ კენჭისყრა?**

— „პატრიოტთა ალიანსს“, ყველა დანარჩენი პარტიისგან განსხვავებით, აქვს სურვილი ქვეყნის განვითარების, ტერიტორიული მთლიანობისკენ ნაბიჯების გადადგმის. ჩემი ამ პარტიიდან წარდგენის ინიციატორი იყო კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი, ამჟამად დედაქალაქის საკრებულოს წევრი **ფრიდონ ინჯია** და მადლობა მას ამისთვის, რომ ამხელა ოლქში — მარტვილში, ჩხოროწყუში, წალენჯიხასა და აბაშაში — მე ამომარჩია. არადა, დარწმუნებული ვარ, უამრავი მსურველი იქნებოდა, ალბათ, ბევრი ფულიანიც და გავლენიანიც. მათ ფსონი ჩემზე დადეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მსოფლმხედველობა ემთხვევა ერთმანეთს, ჩვენი ხედვები ქვეყნის მოწყობისა, გამთლიანებისა და ეკონომიკური განვითრებისა იდენტურია.

დიდი იმედი მაქვს, თუკი ასე მოვძებნით ერთმანეთს ის ქართველები, რომლებიც თანამოაზრეები ვართ, მალე მივაღწევთ საწადელს და შევალთ აფხაზეთში, ოსეთში; ისინიც შემოვლენ აქეთ; ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზეთს, ოსეთს, უფრო ზუსტად — აფხაზებსა და ოსებს, რადგან ჩვენ ერთნი ვართ.

საქართველოს ისტორიას ახსოვს მსგავსი კონფლიქტები, ჩვენ „დაგვიჭამია“ ერთმანეთი, ბევრი შიდა ომი გადაგვიტანია, მაგრამ მაინც ისევ ერთად ვიყავით, შევრიგდით, საერთო ენა გამოვნახეთ. ჩვენ, ყველანი, ერთად შევძლებთ ოსებისა და აფხაზების ჩვენკენ მობრუნებას, ისინი ჩვენი სხეულის ნაწილები არიან და მათთან ბევრ დათმობაზე უნდა წავიდეთ.

**— ისღა დამრჩენია, წარმატებები გისურვოთ...**

— ვფიქრობ, ჩემი წარმატება მხოლოდ ჩემი არ იქნება, ეს წარმატება წაადგება ქვეყანას, ეს წარმატება იქნება სწორედ იმ ნიჰილისტურად განწყობილი საზოგადოების წარმატება, რომელსაც სიმართლის მოსმენა სურდა და მოხარული ვიქნები, თუკი სიმართლეს, რომელსაც ვიტყვი, შესაბამისი შედეგი მოჰყვება.

**«საქართველომ ასოცირების ხელშეკრულება ევროპასთან დადო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ევროპის კი არა, ამერიკის კოლონიაცაა. საქართველო ორი ბატონის მონაა»**

**«საქართველო უნდა დაელაპარაკოს აფხაზებსა და რუსებს, ეს უპირველესი ამოცანა, უპირველესი პრობლემაა და, სანამ ამ პრობლემას თვალს არ გაუსწორებთ, არაფერი გამოვა!»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**რა იცოდა შევარდნაძის მრავალწლიანი მმართველობით დაღლილმა და სააკაშვილის ქარიზმით მოხიბლულმა საქართველოს მოსახლეობამ, რომ სააკაშვილის არჩევით ხმა მისცა სადისტი მანიაკის ერთპიროვნული მმართველობის 9-წლიან კოშმარს, დე ფაქტო დაკარგული სოხუმ-ცხინვალის დე იურე დაკარგვას აგვისტოს ომის შედეგად, ახალგორისა და კოდორის ხეობის ჩაბარებას და ა.შ.**



ახალი მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საპარლამენტო არჩევნები მართლაც საბედისწეროა საქართველოსთვის

**მართლაც საბედისწერო, რადგან აქამდე ჩატარებული თითქმის ყველა არჩევნების (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) შედეგები მხოლოდ ქვეყნის შიდა პრობლემებზე ახდენდა გავლენას — „ხალხის რჩეულ“ ბიუჯეტის ძველ ვირთხებს ახალი ვირთხები ცვლიდნენ. ეს იყო ასეთი არჩევნების „პატარა ნაკლი“, რომლის გამოც მსოფლიო პოლიტიკაში საქართველოსთვის სასიკეთო არაფერი ხდებოდა, რაც საზიანო კი იყო, მაგრამ არა ისეთი, რის გამოც შეიძლებოდა, ქვეყნის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი დამდგარიყო.**




მრავალ სუბიექტურ-ობიექტურ მიზეზთა გამო დე ფაქტო დაშლილი სსრკ 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა დე იურე, მაგრამ, თუ მკერდზე მუშტების ურა-პატრიოტული ბრაგუნისა და „ჯოს-ჯოს“ სკანდირების გარეშე გავიხსენებთ გუშინდელს, დღეს იმის აღიარება არ უნდა გაგვიჭირდეს, რომ სწორედ ამ დე ფაქტო დაშლილი სსრკ-ის გამო შეიქნა შესაძლებელი საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რომლის შედეგებიც საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსთვის.

რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტან 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების პერიპეტიებს:

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს დამფუძნებელი კრებიდან (ჩატარდა 1919 წლის 12 მარტს) 71 წლის შემდეგ, შესაძლებელი შეიქნა დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. არჩევნები, რომელშიც 14 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა, ჩატარდა შერეული სისტემით. აირჩიეს უზენაესი საბჭოს 250 (125 პროპორციული და 125 მაჟორიტარული სისტემით) დეპუტატი 5 წლის ვადით. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 3,5 მილიონი იყო, რომელთაგან არჩევნებში მონაწილეობდა 67%. 4%-იანი ბარიერი გადალახა და პროპორციული სისტემით მანდატები მიიღო მხოლოდ ორმა პარტიამ:

**1. „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“ (81 დეპუტატი);**
**2. საქართველოს კომუნისტური პარტია (44 დეპუტატი).**

მაჟორიტარული წესით კი ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

„მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველო“ (43 დეპუტატი);
კომპარტია (17 დეპუტატი);
„სახალხო ფრონტი“ (11 დეპუტატი);
„დემოკრატიული საქართველო“ (2 დეპუტატი);
რუსთაველის საზოგადოება (1 დეპუტატი).

საბოლოო ჯამში, უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი იყო 6 პარტია, რომელთაგან 5 „მრგვალების“ ოპოზიციად განიხილებოდა. არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“.

ხელისუფლებაში მოსულ „მრგვალებს“, ჯამში, 124 მანდატი ერგოთ, ხოლო მეორე ადგილზე გასულ კომუნისტებს — 61. პარლამენტში პოლიტიკური ძალების ასეთი განლაგება კომუნისტებსა და „მრგვალებს“ შორის, ქვეყნისთვის სასარგებლო კოალიციური მთავრობის შექმნის რეალურ შანსს ნიშნავდა. ასეთი კონსტრუქციულობა უდავოდ შედიოდა დამოუკიდებლობისკენ მიმავალი საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებში. „მრგვალებმა“ კი რა ჰქნეს? ერთი ხელის მოსმით გაყარეს უზენაესი საბჭოდან კომუნისტების დეპუტაცია, ხოლო თვითონ კომუნისტური პარტია კანონგარეშე გამოაცხადეს და აუკრძალეს ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა.

ეს იყო „მრგვალების“ პირველი და, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახა, საბედისწერო შეცდომა — იმჟამინდელ საქართველოში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, რომ იტყვიან, თავი არავის უსკდებოდა, მაგრამ პატარა, 5-მილიონიან საბჭოთა საქართველოში მაინც იყო კომპარტიის 400 ათასამდე წევრი, რაც მოსახლეობის ერთ სულზე, სსრკ-ის მაშტაბით, პირველი მაჩვენებელი იყო.

რატომ? იმიტომ, რომ კომუნისტური პარტიის მანდატს კარგა ხნის წინათ ჰქონდა შეძენილი კარიერის კეთების ფუნქცია, თორემ, არა მგონია, ვასილ მჟავანაძე, ჯუმბერ პატიაშვილი ან შედარებით დაბალი რანგის პარტიის წევრები იმ წერა-კითხვის უცოდინარ პრეფექტებზე ნაკლები პატრიოტი ქართველები იყვნენ, რომლებიც „მრგვალმა მაგიდამ“ ქართველ საზოგადოებას თავზე დაგვასვა, არაფერს ვიტყვი „მრგვალების“ მიერ ე.წ. წითელ ინტელიგენციად შერაცხილ მამულიშვილებსა და „მრგვალების“ მთავარ იდეოლოგად მოვლენილ **გურამ პეტრიაშვილზე...**

მოკლედ, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ **ზვიად გამსახურდიას** პირველმა ეროვნულმა ხელისუფლებამ შინ თუ გარეთ ყველას გადამტერება მოახერხა. 1991 წლის 26 მაისის პირველი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გახდა, მაგრამ მხოლოდ ის, რომ „ზვიადს საქართველო უყვარდა“, ქვეყნის სამართავად საკმარისი არ აღმოჩნდა — ვაშინგტონში ზვიად გამსახურდიას დამხობის წამმზომი უკვე ჩართული იყო.

ამ შეთქმულების წარმატებით განხორციელებამ გამოიწვია ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი, რომლის ჩასაქრობად შეთქმულებმა საქართველოს მხსნელად „უძღები შვილი“ — **ედუარდ შევარდნაძე** მოიწვიეს, რომელმაც პირველი, რაც გააკეთა, იყო იოსელიან-კიტოვანის ბანდების თარეშის ალაგმვა და საკუთარი დე იურე მმართველობის დე ფაქტოდ ქცევისთვის ბრძოლა დაიწყო. ამ მიზნით, „იქით“ აფხაზეთისა და „აქეთ“ სამოქალაქო ომის ფონზე, 1992 წლის 11 ოქტომბერს კიდევ ერთი საბედისწერო საპარლამენტო არჩევნები ჩაატარა, რომელშიც 2-პროცენტიანი ბარიერი 24-მა პარტიამ გადალახა. საბედისწერო იმიტომ, რომ ამ პოლიტიკურ დომხალში, მართალია, საგრძნობლად შეიზღუდა „მხედრიონის“ განუკითხაობა, მაგრამ სიცოცხლეს გამოესალმა ზვიად გამსახურდია და ყველაზე მთავარი — დავკარგეთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები...

შემდეგ იყო 1995 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რომელთა შედეგად 5%-იანი ბარიერი სამმა პარტიამ გადალახა (ასლან აბაშიძის „აღორძინება“, „ახალი მემარჯვენეები“ და „მოქალაქეთა კავშირი)“, ხოლო პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გახდა და საქართველოში გარკვეული დროით საბჭოური, ბრეჟნევის „უძრაობის“ მსგავსი მშვიდობიანი პერიოდი დაიწყო — უგაზობა-უშუქობის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც არავის შიოდა და სციოდა; ამუშავდა სახალხო დიპლომატია; ერგნეთის ბაზრობაზე ოსები და ქართველები ერთად ეწეოდნენ მცირე ბიზნესს; ოსებმა და ქართველებმა ნელ-ნელა განაახლეს ერთმანეთის ჭირსა და ლხინში მისვლა-მოსვლა; რაჭაში მანქანები ძველებურად ცხინვალის გავლით უშიშრად მოძრაობდნენ. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ოსებსა და ქართველებს შორის მოხდა დე ფაქტო შერიგება ყოფით დონეზე და დე იურედ შერიგების რეალური კონტურები გამოჩნდა.

„მოქკავშირ“-„აღორძინება“-„ახლების“ პოლიტიკური სამაია და, შესაბამისად, ქვეყანაში მეტ-ნაკლებად მშვიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე გაგრძელდა, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსთვის — თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **მიხეილ სააკაშვილი** გახდა. საბედისწერო, რადგან, როგორც მალე გაირკვა, მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკაში მოსვლა ლოზუნგით „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ ოკეანის გაღმა შეთანხმებული და სატანის მოციქულ **ჯორჯ სოროსის** მიერ დაფინანსებული ე.წ. ფერადი რევოლუციის (სახელმწიფო გადატრიალების) დასაწყისი იყო.

ეს „ფერადი რევოლუცია“ წარმატებით დაასრულეს სოროსის გველის წიწილებმა ჯერ 2003 წლის 23 ნოემბერს პარლამენტში შეჭრით, 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმებითა და შემდეგ 2004 წლის 4 იანვარს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებით, რომლის შედეგადაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახდა. აბა, **რა იცოდა შევარდნაძის მრავალწლიანი მმართველობით დაღლილმა და სააკაშვილის ქარიზმით მოხიბლულმა საქართველოს მოსახლეობამ, რომ სააკაშვილის არჩევით ხმა მისცა სადისტი მანიაკის ერთპიროვნული მმართველობის 9-წლიან კოშმარს, აგვისტოს ომის შედეგად დე ფაქტო დაკარგული სოხუმ-ცხინვალის დე იურე დაკარგვას, ახალგორისა და კოდორის ხეობის ჩაბარებას და ა.შ.**

**მომავალი არჩევნების შედეგებზე საქართველოს ყოფნა-არ ყოფნაა დამოკიდებული. ამ კრიტიკულ ჟამს საქართველოს მართავენ ლიბერალი სოროსისტი ქოც-ნაცები, რომლებიც იმაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ უფრო სწრაფად და უსიტყვოდ შეასრულებს აშშ-ის ბრძანებებს. არადა, საჭიროა ეროვნული პოლიტიკის გამტარებელი ხელისუფლება**

ნაცების მმართველობისდროინდელი არჩევნები **ჯორჯ ბუშის** მიერ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული და დასავლეთის მიერვე უპირობოდ მხარდაჭერილი სააკაშვილის „მეფობის“ გაძლიერება-გახანგრძლივებას ემსახურებოდა და, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, სააკაშვილი პრემიერის რანგში სამუდამოდ დასახლდებოდა ეხლანდელ საპრეზიდენტო რეზიდენციაში.

წინასაარჩევნო ბრძოლისას მმართველი „ოცნება“ სულ უფრო ხშირად ამუნათებს ხოლმე დასავლეთის მიერ მთავარ ოპოზიციურ ძალად შერაცხილ ნაცებსა და მათ განაყოფებს ხელისუფლებაში მათი ყოფნის პერიოდში ციხეებში პატიმართა წამების გამო. იმის აღნიშვნა კი „ავიწყდებათ“, რომ ე.წ. ციხის კადრები (2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაცების ტოტალური მარცხის მთავარი მიზეზი) მაშინ ე.წ. წინააღმდეგობის მოძრაობისა და დღეს „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ იყო მოპოვებული და გასაჯაროებული. და თუნდაც მხოლოდ ამიტომ ეკუთვნით „პატრიოტებს“ მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი, რომ არაფერი ვთქვათ მათ მიერ თბილისში, ბათუმსა თუ სხვა ქალაქებში გამართულ ხალხმრავალ აქციებზე.

მათ ბიძინა აფინანსებს — ერთადერთი „რკინისებური არგუმენტი“ საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციისა. „არგუმენტი“, რომლის გაბათილებას დიდი პოლიტოლოგობა არ სჭირდება — ფულის ნაკლებობას არც ევრო თუ მიშნაცები უჩივიან, მაგრამ რიხით დაანონსებულ „გადამწყვეტ“ აქციებზე 2 ათასი კაციც ვერ გამოჰყავთ.

„პატრიოტებმა“ პირველებმა გაბედეს და მოსკოვის მიმართულებით „ფანჯარა გაჭრეს“...

**ირმა ინაშვილისა** და **გიორგი ლომიას** აფხაზეთში გადასვლა და ილორის წმინდა გიორგის ტაძრისთვის ღვთისმშობლის ხატის შეწირვა იყო აფხაზებისა და ქართველების შერიგებისკენ მიმართული აქცია, რომელიც ჭკუათმყოფელ კაცს არ უნდა სწყენოდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სიხარულით გაეშუქებინათ ეს ფაქტი, ჩვენმა ტელევიზიებმა კირკიტი დაიწყეს, როგორ გადავიდნენ ოკუპანტი რუსეთის კონტროლს დაქვემდებარებულ აფხაზეთში „პატრიოტები“... რა თქმა უნდა, რუსეთის კეთილი ნების გარეშე, ირმა ინაშვილი კი არა, ჩიტი ვერ შეფრინდება აფხაზეთში და ბარაქალა „პატრიოტებს“, რომ რუსებს ეს კეთილი ნება გამოაჩენინეს.

მაგრამ, რად გინდა — **შინაურ თუ აფხაზ ანტიქართველთა ერთობლივი მეცადინეობის შედეგად ილორს შეწირული ღვთისმშობლის ხატი (ღმერთო, შემინდე ეს ნათქვამი) უკან მოგვიგდეს აფხაზებმა და უკვე ილორის ღვთისმშობლად სახელდებულმა ხატმა ბაგრატის ტაძარში ჰპოვა დროებითი თავშესაფარი.**

მიმოვიხედოთ ირგვლივ, რა პროცესები ვითარდება — ახლახან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ყოველგვარი დიპლომატიური მიეთმოეთის გარეშე განაცხადა, რომ მოსკოვი არ დაუშვებს ბელარუსის დაკარგვას. „ზომები მკაცრი იქნება!“ — განაცხადა ლავროვმა და, საერთოდაც, კრემლი უკვე ალაპარაკდა პოსტსაბჭოთა სივრცეზე ძველი გავლენის აღდგენაზე. ზემოქმულიდან გამომდინარე, ახლა „პატრიოტების“ მიერ გაცხადებული, ე.წ. სამხედრო მიუმხრობლობის კი არა, სწორედ მართლმადიდებელი რუსეთისადმი მიმხრობის (არა მხოლოდ სამხედრო) დროა.

მომავალი არჩევნების შედეგებზე საქართველოს ყოფნა-არ ყოფნაა დამოკიდებული და ამ კრიტიკულ ჟამს საქართველოს მართავენ ლიბერალი სოროსისტი ქოც-ნაცები, რომლებიც იმაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ უფრო სწრაფად და უსიტყვოდ შეასრულებს აშშ-ის ბრძანებებს. არადა, საჭიროა ეროვნული პოლიტიკის გამტარებელი ხელისუფლება.

**დავით მხეიძე**

მამები და შვილები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბედნიერი“ ბავშვების საყურადღებოდ მინდა ვთქვა: მრეწველობის მხრივ, საქართველოში საკავშირო მასშტაბის (ანუ 15-ვე რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვანი) უამრავი ქარხანა-ფაბრიკა მუშაობდა, ათიათასობით ადამიანი იყო დასაქმებული და ისინი იქ მიღებული ანაზღაურებით ზრდიდნენ თქვენს დედებსა და მამებს, ზრდიდნენ ისეთ მოქალაქეებად, როგორებიც ახლა არიან, და, თუ თქვენი მშობლები არ მოგწონთ, ეგ სხვა პრობლემაა. პრინციპში, რატომ სხვა?! სწორედ დასავლური განათლების შედეგად დაკარგა ფუნქცია მშობელმა.**

# სამარცხვინო ანომალია

## ქართველი გულშემატკივარი იმაზე დარდობს, სტადიონზე რუსებს რომ ვერ აგინებს, რუსი გულშემატკივარი კი შეწუხებულია, თბილისში რომ ვერ ჩამოვა და მეგობრებს ვერ ჩაეხუტება



# «ბედნიერი» თაობა და მათი «უბედური» მშობლები

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ათიოდე დღის წინათ განაცხადა: კარგი იქნება, თუ საქართველოსა და რუსეთს შორის ფრენების აღდგენაზე დიალოგს დავიწყებთო. როგორ გგონიათ, ამ წინადადებას როგორ უპასუხეს? „ჩვენ არ გაგვიუქმებია ფრენები, რუსეთმა გააუქმა და, თუ უნდა, აღადგინოს, სასაუბრო არაფერია“-ო, — ასეთი იყო ქართული მხარის პასუხი.**

ვერ გეტყვით, მერამდენედ ვუთხარით რუსეთს უარი დიალოგზე, მაშინ, როცა ჩვენი ინტერესების დაცვა და ქართველი ხალხისთვის სასიკეთო რამის გაკეთება შეგვეძლო. ფრენების აღდგენაში კი სასიკეთო ის არის, რომ რუსეთში მცხოვრები მილიონამდე ქართველი 3-4 დღეს გზაში არ იქნება, არ იწვალებს და საქართველოში იოლად ჩამოვა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ტურისტული სეზონი სწორედ რუსი ვიზიტორების ხარჯზე ცხოვრობდა და „ბოინგს“ თბილისში ისინიც ჩამოჰყვებოდნენ. ჰო, რუსი ტურისტების ხარჯზე მუშაობდა თბილისის სასტუმროების უმრავლესობა, დღეს კი დედაქალაქის სასტუმროები მხოლოდ 4%-ით არის დატვირთული (ოფიციალური სტატისტიკაა ეს)...

ბედმა თუ უბედობამ ისე ინება, რომ ფეხბურთში ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივი“ მოსკოვის „დინამოს“ შეახვედრა. პანდემიის გამო დაპირისპირება ერთმატჩიანია და ის ერთი მატჩი თბილისში, „ლოკომოტივის“ სათადარიგო სტადიონზე გაიმართება, ოღონდ მაყურებლების გარეშე. უეფა პანდემიის გამო სტადიონებზე გულშემატკივრების დაშვებას ჯერჯერობით ვერ რისკავს. როგორ გგონიათ, რა გამოხმაურება მოჰყვებოდა ამ საფეხბურთო მატჩს რუსეთსა და საქართველოში? რუსეთით დავიწყოთ.

„საინტერესო წილისყრაა. რაც უნდა იყოს, 2008 წლის მოვლენების შემდეგ თბილისში არც ერთ ჩვენს გუნდს არ უთამაშია. მართალი გითხრათ, ეს გუნდი საერთოდ არ ვიცი, ვიცი თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“. ნებისმიერ შემთხვევაში ქართველი ფეხბურთელები ძალიან ტექნიკურები არიან. საქართველოში გულშემატკივრები ძალიან აქტიურები არიან და მხოლოდ ის გადაგვარჩენს, რომ ისინი სტადიონზე არ იქნებიან. ყველაფერი ნორმალურად უნდა იყოს! მით უმეტეს, ყურის მოკვრით კი არ ვიცი, რომ რუს და ქართველ ხალხს შორის რა ურთიერთობებიც იყო, ისევე შენარჩუნდა. ეს უბრალოდ ევროპის ლიგის კი არა, რუსეთ-საქართველოს მატჩია. მე მოსკოვის „დინამოს“ წინაშე საკითხს ასე დავსვამდი... იმედია, ასევე მოიქცევა დირექტორთა საბჭო და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლის იმედი მაქვს“, — განაცხადა მოსკოვის „დინამოს“ დირექტორთა საბჭოს წევრმა და კლუბის ფაქტობრივმა მმართველმა **სერგეი სტეპაშინმა.**

სტეპაშინი უბრალო ვინმე არ გეგონოთ, ის თავის დროზე რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის (ეფ-ეს-ბე-ს) დირექტორი, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრი და ცოტა ხანს პრემიერიც იყო.

და როგორ გამოეხმაურა სტეპაშინის განცხადებას რუსი გულშემატკივარი? ძველი დამსახურებების მიუხედავად, სოციალურ ქსელებში გულშემატკივართა 99%-მა ის კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მის განცხადებას გაემიჯნა და აღნიშნა, რომ ეს არ არის ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება, ეს არის საფეხბურთო მატჩი და დირექტორთა საბჭოს წევრი ვითარებას არ უნდა ძაბავდეს. შემდეგ ინტერვიუში კი სტეპაშინმა ისიც თქვა, — ზედმეტი მომივიდა, არასწორად გაიგეს ჩემი ნათქვამიო, ანუ პრაქტიკულად მოიბოდიშა.

და რა ხდება ამ დროს საქართველოში? **ქართულ სოციალურ ქსელებში „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ თამაშს დიდგორის ბრძოლას ადარებენ, გულშემატკივართა 99% სტადიონზე შესვლას ითხოვს, რუს ფეხბურთელებს რომ აგინოს და, რაც მთავარია, ქართული კლუბისგან მათ მხოლოდ გამარჯვება სურთ, სხვა შედეგს არც კი განიხილავენ, რადგან თურმე ეს რიგითი საფეხბურთო მატჩი კი არა, ომია.**

დავიწყოთ იმით, რომ „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში 11 ფეხბურთელიდან ერთი ხორვატია, ერთი — კამერუნელი, ერთი — უკრაინელი, ერთი — პოლონელი და ერთიც — ბოსნიელი. ე.ი. თითქმის ნახევარი გუნდი ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული და, ტრიბუნებზე გულშემატკივარი რომც ყოფილიყო, ისე გამოვიდოდა, რომ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს აგინებდნენ. **რუსი გულშემატკივარი იმას კი არ ამბობს, — ნეტავ სტადიონზე შევეშვით, ქართველებს ვაგინებდითო, არამედ იმაზე წუწუნებენ, ფრენები რომ იყოს და სტადიონზე შესვლაც შეიძლებოდეს, საქართველოში წავიდოდით, თბილისს ვნახავდით, დავისვენებდით, ძველ მეგობრებს ჩავეხუტებოდითო. ხედავთ სხვაობას?** ისინი ჩვენთან სამეგობროდ აპირებენ ჩამოსვლას, ჩვენ კი საფეხბურთო მატჩს დიდგორს ვადარებთ და მერე რა, რომ დიდგორში თურქ-სელჩუკები ვჟლიტეთ, თურქეთი ახლა ისტორიული მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი გამხდარა თურმე. რუსი გულშემატკივრები იმასაც წერენ, — ეს, უბრალოდ, საფეხბურთო მატჩია და 90 წუთში ყველაფერი დასრულდებაო. ჩვენთვის კი ეს არ არის მატჩი, ეს არის სისხლიანი დაპირისპირება...

ბოლო პერიოდში პოპულარულია ფრაზა: „ბედნიერი ვარ, რომ საბჭოთა კავშირში არ დავიბადე“. ამას, ძირითადად, ახალი თაობა ამბობს, ის თაობა, რომლის „გამოყვანაც“ 2003 წლიდან დაიწყეს ამერიკელებმა და ევროპელებმა.

**რას ნიშნავს, ბედნიერი ვარ? ის ადამიანები (მოსახლეობის დიდი უმრავლესობა), რომლებიც საბჭოთა კავშირში დაიბადნენ, უბედურები არიან? თქვენი მშობლები უბედურები არიან? ბებია-ბაბუები უბედურები იყვნენ? საზოგადოდ, იციან კი ახალგაზრდებმა, რა იყო საბჭოთა კავშირი, როგორი იყო, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები? ისე არ გაიგოთ, თითქოს იმ დროს მივტიროდეთ, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობას არასდროს უცხოვრია ისე კარგად და უზრუნველად, როგორც საბჭოეთის პერიოდში?** კიდევ ვიმეორებ: არ მივტირით საბჭოთა კავშირს, მაგრამ, მის დანგრევასთან ერთად, ყველაფერი ხელის ერთი მოსმით რომ გავანადგურეთ, ეგ არის ცუდი. რაც მთავარია, **დავანგრიეთ განათლების სისტემა. ის სისტემა, რომელიც უძლიერესი იყო მსოფლიოში და რომელმაც მსოფლიო მნიშვნელობის არაერთი ქართველი მეცნიერი თუ აკადემიკოსი აღზარდა.** ქართველი მეცნიერები მსოფლიოში წამყვან სპეციალისტებს შორის იყვნენ და ეს იმ საბჭოთა პერიოდში, რომელში დაბადებაც თურმე უბედურება იყო. მას შემდეგ პრაქტიკულად ყველა ხელისუფლება ცდილობს, განათლების სისტემა ვითომ წინ წამოწიოს, მაგრამ არაფერი გამოდის. აი, **ვინმეს რომ წამოსცდეს, ეგებ ისევ იმ მოდელს დავუბრუნდეთო, მაშინვე ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადებენ. არადა, საბჭოთა განათლების ძირითადი პრინციპები გერმანული მოდელიდან იყო აღებული. მერე იმათაც უარი თქვეს და ეხლა თავში ხელებს იცემენ, დღეს წამყვანი გერმანული კომპანიების უპირველესი თავის ტკივილი გაუნატლებელი და უვიცი ახალგაზრდა „სპეციალისტები“ არიან, გერმანული საქმიანი პრესა ამაზე სისტემატურად წერს.** ჩვენი „ბედნიერი“ ბავშვების საყურადღებოდ მინდა ვთქვა: მრეწველობის მხრივ, საქართველოში საკავშირო მასშტაბის (ე.ი. 15-ვე რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვანი) უამრავი ქარხანა-ფაბრიკა მუშაობდა, ათიათასობით ადამიანი იყო დასაქმებული და ისინი იქ მიღებული ანაზღაურებით ზრდიდნენ თქვენს დედებსა და მამებს, ზრდიდნენ ისეთ მოქალაქეებად, როგორებიც ახლა არიან და, თუ თქვენი მშობლები არ მოგწონთ, ეგ სხვა პრობლემაა. პრინციპში, რატომ სხვა?! **სწორედ დასავლური განათლების შედეგად დაკარგა ფუნქცია მშობელმა, მასწავლებელმა და ყველაფერი ან მანდატურის გადასაწყვეტია, ან არასამთავრობო ორგანიზაციის. მთავარი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დაბადებულთა უმრავლესობას სჯერა, რომ მასზე მანდატური და არასამთავრობო ორგანიზაცია უფრო იზრუნებენ, ვიდრე მშობელი და მასწავლებელი. სწორედ ეს არის მთავარი უბედურება და კიდევ ის, რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრებას მიჩვეული უფროსი თაობა უმუშევრობას ვერაფრით ეგუება.** ათეული წლები გავიდა და მაინც ვერ ეგუებიან, რომ სამუშაო არ არის და ეს მაშინ, **როცა „უბედურ საბჭოთა კავშირში“ სამსახურის შოვნა პრობლემა არ იყო, პირიქით, იმხანად უმუშევარი ადამიანის პოვნა იყო ძნელი — თუ არ მუშაობდი, შეიძლება დაეპატიმრებინეთ.**

მოკლედ, 17 სექტემბერს ევროპალიგის მატჩი გაიმართება — თბილისის „ლოკომოტივი“ მოსკოვის „დინამოს“ უმასპინძლებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ეს არ არის ღირსების მატჩი, ბატონებო. ეს არის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი სპორტული თამაში, ევროპულ საკლუბო ტურნირებში რანგით ყველაზე დაბალი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი და ისე ნუ წარმოაჩენთ, თითქოს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვიყოთ გასული. სამწუხაროდ (ჰო, სწორედ რომ სამწუხაროდ), ვერ ჩამოვა რუსი გულშემატკივარი, სტადიონზე ვერ შევა ქართველი გულშემატკივარი და მატჩი ისეთი არ იქნება, როგორიც უნდა იყოს. მათ საყურადღებოდ, ვისაც რაღაცებში ეჭვი ეპარება: ჩვენ ვის ვგულშემატკივრობთ? დაიმახსოვრეთ, ასეთი კითხვა არასდროს დასვათ, რადგან **ჩვენ ყოველთვის და ყველგან საქართველოს გულშემატკივრები ვართ.**

**ბესო ბარბაქაძე**

**რას ნიშნავს, ბედნიერი ვარ? ის ადამიანები (მოსახლეობის უმრავლესობა), რომლებიც საბჭოთა კავშირში დაიბადნენ, უბედურები არიან? ანუ, მშობლები უბედურები არიან? ბებია-ბაბუები უბედურები იყვნენ? საზოგადოდ, იციან კი ახალგაზრდებმა, რა იყო საბჭოთა კავშირი, როგორი იყო, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები? ისე არ გაიგოთ, თითქოს იმ დროს მივტიროდეთ, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობას არასდროს უცხოვრია ისე კარგად და უზრუნველად, როგორც საბჭოეთის პერიოდში?**

„თავის პროვოკაციულ ნაციონალისტურ „ტვიტერში“ რეჯეფ თაიფ ერდოღანის პარტიის წევრმა, ფაქტობრივად, განაცხადა, რომ თურქეთი მიისწრაფვის საბერძნეთის ტერიტორიების ხელში ჩაგდებისკენ. კიულიუნკი იქამდეც კი მივიდა, რომ ბერძნებს მოუწოდა, გაიხსენონ ძველი „კეთილი“ დრო, როცა თურქები და ბერძნები „ძმებივით“ ცხოვრობდნენ ოსმალეთის იმპერიაში“.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თურქეთი საჯაროდ აცხადებს პრეტენზიას საქართველოს ტერიტორიებზე, საქართველოს ხელისუფლება კი დუმს

## ერდოღანთან დაახლოებულმა პოლიტიკოსმა გამოაქვეყნა «მომავლის თურქეთის» რუკა, რომელზეც საქართველოს ტერიტორიები თურქეთის შემადგენლობაშია გამოსახული




**თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის იდეოლოგმა და მისი გეოპოლიტიკური მისწრაფებების მხარდამჭერმა პოლიტიკოსმა, მმართველი პარტია „სამართლიანობისა და განვითარების“ წევრმა მეთინ კიულიუნკმა სოციალურ ქსელებში („ინსტაგრამსა“ და „ტვიტერში“) გამოაქვეყნა „მომავალი თურქეთის“ რუკა, რომელზეც თურქეთის შემადგენლობაშია გამოსახული ბულგარეთის, საბერძნეთის, საქართველოს, ერაყის, სომხეთისა და კვიპროსის ტერიტორიების ნაწილები“, — იუწყება ბულგარული ინტერნეტრესურსი „ფაქტი“.**

„თავის პროვოკაციულ ნაციონალისტურ „ტვიტერში“ **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** პარტიის წევრმა, ფაქტობრივად, განაცხადა, რომ თურქეთი მიისწრაფვის საბერძნეთის ტერიტორიების ხელში ჩაგდებისკენ. **კიულიუნკი** იქამდეც კი მივიდა, რომ ბერძნებს მოუწოდა, გაიხსენონ ძველი „კეთილი“ დრო, როცა თურქები და ბერძნები „ძმებივით“ ცხოვრობდნენ ოსმალეთის იმპერიაში“, — წერს ბერძნული გაზეთი „ო ქრონოსი“.

რუკა, რომელიც ერთვის თურქი პოლიტიკოსის მიერ გამოქვეყნებულ მასალას, აღწერს 1925 წელს მიღებული ე.წ. ეროვნული ფიცის ტერიტორიებს, რომლებიც ლეგენდა „ცისფერ სამშობლოსთან“ ერთად თანამედროვე თურქი „ქორების“ საგარეო-პოლიტიკური მისწრაფებების დოგმად იქცა.

ანკარასა და ათენს შორის ურთიერთობის გამწვავება საბერძნეთის მცდელობის ფონზე ხდება, გააფართოოს თავისი ტერიტორიული წყლები იონიის ზღვაში 6-დან 12 მილამდე. ამის შესახებ ბერძნებმა უკვე აცნობეს იტალიასა და ალბანეთს.

**როგორც ხედავთ, თურქეთი უკვე საჯაროდ აცხადებს პრეტენზიას საქართველოს ტერიტორიებზე, საქართველოს ხელისუფლება კი დუმს.**

**topcor.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული «რადიო თავისუფლება» ათასობით ებრაელის მკვლელს აპიარებს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული „რადიო თავისუფლება“ სკანდალში გაეხვია. ამ მედიასაშუალების ჟურნალისტმა ინტერვიუ ჩამოართვა ათასობით ებრაელის მკვლელობაში ბრალდებული ნაცისტის ქალიშვილს. ეს ინფორმაცია სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა უკრაინელი ებრაელების კომიტეტის ხელმძღვანელმა ედუარდ დოლინსკიმ.**

„ნაცისტებთან მოთანამშრომლე ზოლოჩევის რაიონის (ლვოვის ოლქი) გუბერნატორ **მიკოლა ალისკევიჩის** ქალიშვილთან ინტერვიუ, რომელიც მას „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტმა ჩამოართვა, სიცრუისა და დეზინფორმაციის ნათელი მაგალითია. ამ ინტერვიუში არის ყველაფერი, იმის გარდა, რითაც დაკავებული იყო რესპონდენტის მამა ჰოლოკოსტის პერიოდში“, — წერს **დოლინსკი**.

მისი თქმით, 1944 წლის სექტემბერში სსრკ-ის უშიშროების ორგანოებმა დაიწყეს ნაცისტების მიერ ზოლოჩევში ჩადენილი დანაშაულების გამოძიება. გაირკვა, რომ ალისკევიჩი იყო 1941 წლის 3-5 ივლისს ზოლოჩევში 3 ათასი ებრაელის მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მან კოლეგა-ნაციონალისტებთან ერთად ჩამოაყალიბა უკრაინის ნაციონალური კომიტეტი, რომელმაც მიმართა გერმანელებს, უფლება მიეცათ, დაერბიათ ებრაელები. ერთ-ერთ კოშკთან თავი მოუყარეს ათასობით ქალს, კაცსა და ბავშვს. ისინი აიძულეს, ამოეთხარათ ორმო, შემდეგ კი დახვრიტეს და ცხედრები ამ ორმოში ჩაყარეს.

ალისკევიჩი მონაწილეობდა 9 ათასი ებრაელის განადგურებაში. როდესაც წითელი არმია ლვოვის ოლქს მიუახლოვდა, ალისკევიჩი ოჯახთან ერთად გერმანიაში გაიქცა, მაგრამ მალე დაჭრეს და გარდაიცვალა. მისი ქალიშვილი **ირენა** კი უკრაინელ ნაციონალისტს გაჰყვა ცოლად და აშშ-ში გადასახლდა. ნაცისტი მკვლელის ქალიშვილს ინტერვიუ რადიო „სვობოდას“ ჟურნალისტმა **გალინა ტერეშჩუკმა ჩამოართვა.**

**politnavigator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**






# «გასაკვირი არ არის, რომ ამერიკელები არ ენდობიან მედიასაშუალებებს»

**„ცოტა ხნის წინათ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკაში ამჟამად თითქმის არავინ ენდობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს“, — წერს The Hill-ის მიმომხილველი ბერნარდ გოლდბერგი. მისი თქმით, ეს გასაკვირი არ არის, რადგან ბევრი ამერიკელი, უკვე დიდი ხანია, მიხვდა, რომ ჟურნალისტების უმრავლესობას მერკანტილური პოლიტიკური მიზნები ამოძრავებს.**

Gallup-ისა და Knight Foundation-ის ცოტა ხნის წინათ ჩატარებულმა ერთობლივმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამჟამად თითქმის არავინ ენდობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

„მესმის, ამას არ შეიძლება ეწოდოს „ახალი ამბავი“, რადგან ბევრმა ჩვენგანმა, უკვე დიდი ხანია, გაათვითცნობიერა, რომ ჟურნალისტების უმრავლესობას მერკანტილური პოლიტიკური მიზნები აქვს“, — აღნიშნავს მიმომხილველი. ბოლო მონაცემების თანახმად, **ამერიკელების 86% ამბობს, რომ ჟურნალისტები ახალ ამბებს აშუქებენ „დიდი“ ან „ძალიან დიდი“ მიკერძოებულობით.** „ეს გამაოგნებელია. 10-დან 9 ამერიკელი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტები ამახინჯებენ ახალ ამბებს“, — აღნიშნულია Hill-ის სტატიაში.

ამასთანავე, რესპუბლიკელთა 71%-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მასმედიის მიმართ, დემოკრატებში კი ასეთი მხოლოდ 22%-ია. „ეს გასაკვირი არ არის, — წერს სტატიის ავტორი, — რადგან დემოკრატების ძალიან ცოტა ნაწილი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტები მიკერძოებულნი არიან. მათ მოსწონთ ის ახალი ამბები, რომლებსაც ძირითადი მედიასაშუალებებისგან იღებენ“.

„და, მართლაც, რატომ უნდა იფიქრონ სხვაგვარად? ლიბერალურად განწყობილი ჟურნალისტები ხომ დემოკრატებს ისეთ ამბებს აწვდიან, როგორიც სჭირდებათ“, — წერს The Hill-ის მიმომხილველი.

მაგალითად, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიიდან — **ჯო ბაიდენმა** ვიცეპრეზიდენტად **კამალა ჰარისი** დაასახელა, გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ ქალბატონი ჰარისი მყისვე შეამკო ეპითეტით — „ზომიერი პრაგმატიკოსი“.

„ნიუ-იორკ თაიმსს“ მხარი აუბეს „ასოშიეიტედ პრესმა“ და „ლოს-ანჯელეს თაიმსმა“, რომლებმაც ჰარისს „ცენტრისტი“ უწოდეს. ანალოგიურად მოიქცა ABC News-იც.

ლიბერალური ჟურნალისტებისთვის ჰარისი, შესაძლოა, მართლაც ზომიერი ან ცენტრისტი პოლიტიკოსია, მაგრამ პოლიტიკურად ნეიტრალური პორტალი GovTrack-ი, რომელიც აშშ-ის კონგრესის კანონპროექტებს აანალიზებს, სხვაგვარად მიიჩნევს. ხსენებული პორტალის მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, 2019 წელს აშშ-ის 100 სენატორიდან ჰარისი ყველაზე ლიბერალური იყო იმ კანონპროექტებიდან გამომდინარე, რომლებსაც მან ხელი მოაწერა. ამის მიუხედავად, ძირითადი მედიასაშუალებები მას „ზომიერსა“ და „ცენტრისტულს“ უწოდებენ.

„როდესაც ჩემს პირველ წიგნში დავწერე ახალ ამბებში ლიბერალური მიდგომების მიკერძოებულობაზე, კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ მიკერძოებულობა, დამკვირვებლის თვალსაზრისით, გამოიხატება შემდეგში: თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჟურნალისტები მიკერძოებულები არიან, ეს ნიშნავს, რომ სინამდვილეში თქვენ ხართ მიკერძოებული“, — აღნიშნავს სტატიის ავტორი. სახელდობრ, ასე მსჯელობს ბევრი თანამედროვე ჟურნალისტი: როცა მათ აკრიტიკებენ, თავს იცავენ, უარყოფენ ბრალდებას, მერე კი თვითონ გადმოდიან შეტევაზე.

**„ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ, 10-დან 9 ამერიკელის აზრით, ჟურნალისტები პოლიტიკურად მიკერძოებულები არიან. ამასთანავე, არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელმაც ჩვენი შეშფოთება უნდა გამოიწვიოს: ამჟამად ძალიან ბევრია არაკომპეტენტური ჟურნალისტი“,** — ასკვნის The Hill-ის მიმომხილველი ბერნარდ გოლდბერგი.

**Russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იმპერიალიზმის ვირთხებმა 1975 წელს ჰელსინკში დაგებულ კაკანათში შეიტყუეს საბჭოეთისა და დემოკრატიული ქვეყნების ლიდერები და უფასო ყველის ნაჭერზე მიიპატიჟეს, ბოლოს კარი გამოუხურეს, მათი ქვეყნები კი ატლანტის მგლების სათარეშოდ აქციეს. მშვიდობის საბჭოური ბურჯი და მსოფლიოს ჩარგრულ ხალხთა მხსნელის სოციალური სამართლიანობისა და ადამიანთა თანასწორუფლებისათვის ბრძოლის ბაირახტარი ქვეყანა დაშალეს და კიდევ უფრო გააძლიერეს მონების მონობა და მდიდართა გამდიდრება.**

# ბელარუსში მიმდინარე პროცესების გამოძახილი

## ბელარუსის მუშათა კლასმა აჩვენა მსოფლიოს, როგორ იაფად იყიდება იგი, როგორ ადვილად ტყუვდება

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრკ-ის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და 1952-1956 წლებში გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დიმიტრი შეპილოვი იგონებს: „სტალინთან ცნობილი ისტორიკოსის წიგნი შევიტანე იმის გასაგებად, რა აზრი ჰქონდა მას წიგნისთვის სტალინური პრემიის მინიჭებაზე.**

— მე ვერ მოვასწარი წიგნის წაკითხვა. თქვენ თუ წაიკითხეთ? — მკითხა სტალინმა, მე დადებითად ვუპასუხე.

— და რას გვთავაზობთ?

მოვახსენე:

— აგიტპრომი მხარს უჭერს ამ წიგნისთვის პრემიის გადაცემას.

— ამ წიგნში არის რამე ბაქოელ კომისრებზე? — იკითხა სტალინმა.

— დიახ, არის, ამხანაგო სტალინ, — მივუგე მე.

— და მათ საქმიანობას წიგნის ავტორი დადებითად აფასებს?

— დიახ, — ვუპასუხე.

— თუ ასეა, არ შეიძლება ამ წიგნისთვის პრემიის მინიჭება, — განაცხადა სტალინმა, **— ბაქოელი კომისრები არ იმსახურებენ დადებით შეფასებას, მათ დაამხეს ხელისუფლება, ქვეყანა მტრებს უბრძოლველად ჩააბარეს, ჩასხდნენ გემში და წავიდნენ. ჩვენ ისინი შევიბრალეთ, არ ვაკრიტიკებთ. რატომ? მათ მიიღეს მოწამეობრივი სიკვდილი — დახვრიტეს ინგლისელებმა; ამიტომ ვინახავთ მათ ხსოვნას, თუმცა მათ ეკუთვნოდათ მკაცრი შეფასება. ისინი ცუდი პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ. როდესაც ისტორია იწერება, უნდა დაიწეროს სიმართლე. სხვა საქმეა, შეინახო ხსოვნა, ჩვენ ამას ვაკეთებთ; მეორე საქმეა, მოვლენის სწორი შეფასება“** („ენციკლოპედია სტალინი“, 2007 წ. გვ. 50-51).

* მოსკოვი, 1941 წლის 28 ნოემბერი. **გიორგი ჟუკოვი** გადაჭრით სთხოვს გენერალურ შტაბს ფრონტის შტაბის გადატანას პერხუშკოვოდან (სოფელი მოსკოვის ოლქში — გ.ო.) მოსკოვის ბელორუსიის ვაგზალზე.

გენერალური შტაბის უფროსმა **სერგეი შტემენკომ** დაუყოვნებლივ მოახსენა სტალინს ჟუკოვის მოთხოვნა. სტალინი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და დინჯი, მაგრამ ფოლადივით მტკიცე ხმით თქვა:

— გადაეცით ჟუკოვს: მას საკმარისი ძალები ჰყავს იმისთვის, რათა აღკვეთოს მტრის წინსვლა და ვუბრძანებ, შეასრულოს ჩემი დავალება, რადაც უნდა დაუჯდეს. რაც შეეხება ჟუკოვის წინადადებას ფრონტის შტაბის პერხუშკოვოდან ზურგში ევაკუაციის შესახებ, ეს უკვე მოსკოვის დათმობას ნიშნავს. წუთიერი დუმილის შემდეგ მომესმა სტალინის მეორე ბრძანება. მან იქვე მჯდომ **ვასილევსკის** მიმართა: გადაეცით დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს — თუ ჟუკოვი გადავა პერხუშკოვოდან ბელორუსიის ვაგზალზე, მის ადგილს სტალინი დაიკავებს“ („გენერალური შტაბი დიდ სამამულო ომში“, შტემენკოს მოგონებებიდან).

* მოსკოვი, 1941 წლის 1 დეკემბერი. „გერმანელები ჩემს გვამზე გადაივლიან და მოსკოვში ისე შევლენ“ („გენერალური შტაბი დიდ სამამულო ომში“, შტემენკოს მოგონებებიდან).

* მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 28 მარტი. „სლავების ცხოვრების ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენ კავშირი გვჭირდება სლავების დასაცავად. აი, თუნდაც ბოლო ორი მსოფლიო ომი, რატომ დაიწყო ეს ომები? — სლავების გამო. გერმანელებს სლავების დამონება სურდათ. ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად ამ ომებში? — როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად დაზარალდნენ სლავი ხალხები: **რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სერბები, ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები.** ესე იგი, გერმანელებისგან ყველაზე მეტად სლავები იტანჯებოდნენ და ახლა **ჩვენ ძლიერად ვურტყამთ გერმანელებს და ბევრს ჰგონია, რომ ისინი ველარასოდეს დაგვემუქრებიან. არა, ეს ასე არ არის. მე მძულს გერმანელები, მაგრამ სიძულვილმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი მათ ობიექტურ შეფასებაში. გერმანელები დიდი ერია, ძალიან კარგი ტექნიკოსები და ორგანიზატორები არიან, დაბადებიდანვე მამაცი ჯარისკაცები. გერმანელების განადგურება შეუძლებელია. ისინი დარჩებიან.** ჩვენ ვურტყამთ გერმანელებს და საქმე დასასრულისკენ მიდის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოკავშირეები ეცდებიან, გადაარჩინონ გერმანელები და მოელაპარაკონ მათ. ჩვენ დაუნდობლები ვიქნებით გერმანელთა მიმართ, ხოლო მოკავშირეები შეეცდებიან, რბილად მოექცნენ, ამიტომ ჩვენ, სლავები, მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ გერმანელები, შესაძლოა, ისევ დადგნენ ფეხზე და გამოვიდნენ სლავთა წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ — ახალი სლავიანოფილები, მედგრად მოგიწოდებთ სლავი ხალხების კავშირისკენ“ (ვ. მალიშევი, „დღიური“).

* „მე მაქვს წერილი იმის შესახებ, რომ ჩვენ, კომუნისტები, ბელორუსთა ეროვნებას ვითომ ხელოვნურად ვნერგავთ. ეს არ არის მართალი, იმიტომ, რომ არსებობს ბელორუსი ერი, რომელსაც აქვს თავისი, რუსულისგან განსხვავებული ენა, რომლის გამოც ბელორუსი ხალხის კულტურის ამაღლება მხოლოდ მის დედა ენაზე შეიძლება. ასეთივე სიტყვები ისმოდა ხუთი წლის წინათ უკრაინაზეც, უკრაინელ ერზე, ხოლო ცოტა ხნის წინათ კიდევ ამბობდნენ, უკრაინის რესპუბლიკა და უკრაინელი ერი გერმანელების გამონაგონიაო. სინამდვილეში უკრაინელი ერი არსებობს და მისი კულტურის განვითარება კომუნისტების მოვალეობას შეადგენს. არ შეიძლება ისტორიის წინააღმდეგ წასვლა. ცხადია, თუ უკრაინის ქალაქებში აქამდე კიდევ ჭარბობენ რუსული ელემენტები, დროთა განმავლობაში აუცილებლად მოხდება ამ ქალაქების უკრაინიზაცია.

40 წლის წინათ რიგა გერმანული ქალაქი იყო, მაგრამ, რადგან ქალაქები სოფლების ხარჯზე იზრდება, ხოლო სოფელი ეროვნების შემნახველია, დღეს რიგა ლატვიური ქალაქია. იგივე დაემართება ბელორუსიასაც, რომლის ქალაქებში ჯერ კიდევ ჭარბობენ არაბელორუსები“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ.52).

* „უეჭველად მცდარად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, **სემიჩის** ცდა — განიხილოს ნაციონალური საკითხი იუგოსლავიაში საერთაშორისო ვითარებისა და ევროპის მოსალოდნელი პერსპექტივების გაუთვალისწინებლად. სემიჩი ეყრდნობა იმას, რომ ამჟამად ხორვატებსა და სლოვენიელებში არ არსებობს სერიოზული სახალხო მოძრაობა დამოუკიდებლობისთვის და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხი აკადემიური საკითხია. ყოველ შემთხვევაში, აქტუალური არ არის. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია. კიდევაც რომ დავეთანხმოთ, რომ ეს საკითხი ამჟამად აქტუალური არ არის, იგი შეიძლება აქტუალური გახდეს, თუ ომი დაიწყო ან, როცა ომი დაიწყება, თუ ევროპაში რევოლუცია მოხდა ან როცა იგი მოხდება, ხოლო ომი აუცილებლად რომ დაიწყება და ისინი წაეკიდებიან ერთმანეთს, უეჭველია, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმპერიალიზმის ბუნებასა და განვითარებას“ (სტალინი, თხზულებანი, ტ.7, გვ. 79).

* „ზედმეტი არ იქნება, მოკლედ განვიხილოთ ომის ის გეგმები, რომლებსაც ახლა ამუშავებენ ბურჟუაზიული პოლიტიკოსების წრეებში. ერთნი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოეწყოს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ; ფიქრობენ, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ მას და გამოასწორონ თავიანთი საქმეები მის ხარჯზე. დავუშვათ, მათ მოაწყვეს ასეთი ომი. რა შეიძლება მოჰყვეს მას? როგორც ვიცით, **პირველი იმპერიალისტური ომის დროსაც უნდოდათ, მოესპოთ ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო — გერმანია და ხელი მოეთბოთ მის ხარჯზე. მერე რა გამოვიდა აქედან? გერმანია მათ ვერ მოსპეს, მაგრამ დათესეს ისეთი სიძულვილი გამარჯვებულთა მიმართ და შექმნეს ისეთი მდიდარი ნიადაგი რევანშისთვის, რომ ჯერ კიდევ აქამდე ვერ შეძლეს და, ალბათ, ვერც შეძლებენ, მალე გამოასწორონ მათ მიერვე შეთითხნილი საზიზღარი საქმე.** სამაგიეროდ, მათ მიიღეს კაპიტალიზმის განადგურება რუსეთში, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება რუსეთში და ცხადია, საბჭოთა კავშირი. სად არის გარანტია, რომ მეორე იმპერიალისტური ომი მათ მისცემს უკეთეს შედეგებს, ვიდრე მისცა პირველმა? განა უფრო სწორი არ იქნება, ველოდოთ საწინააღმდეგო შედეგს (სტალინის შორსმხედველობა ნათლად დაადასტურა მეორე მსოფლიო ომმა, რომელმაც გამოიწვია ნახევარი ევროპის გაწითლება — გრ. ონიანი)?

**მეორენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა დაიწყოს ერთ-ერთი ისეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც სუსტია სამხედრო თავდაცვის მხრივ, მაგრამ ფართოა, როგორც ბაზარი, მაგალითად, ჩინეთის წინააღმდეგ, რომელიც, თურმე, არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოდ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არამედ წარმოადგენს მხოლოდ „არაორგანიზებულ ტერიტორიას“, რომლისთვისაც საჭიროა, რომ იგი დაიპყრონ ძლიერმა სახელმწიფოებმა, მათ, როგორც ჩანს, უნდათ ამ ქვეყნის საბოლოოდ დაყოფა და თავიანთი საქმეების გამოსწორება მის ხარჯზე.** დავუშვათ, მოაწყვეს ასეთი ომი. რა შეიძლება მოჰყვეს ყველაფერს ამას? ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის დამდეგს სწორედ ასე უყურებდნენ იტალიასა და გერმანიას, როგორც ამჟამად უყურებენ ჩინეთს, ესე იგი, ამ ქვეყნებს თვლიდნენ „არაორგანიზებულ ტერიტორიებად“, არასახლემწიფოებად და იმონებდნენ. მერე რა გამოვიდა აქედან? — როგორც ვიცით, გერმანიისა და იტალიის ომი დამოუკიდებლობისთვის. ამას მოჰყვა ამ ქვეყნების ხალხთა გულში გამარჯვებულებისადმი სიძულვილის გაძლიერება, რომლის შედეგების ლიკვიდაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა და, ალბათ, კარგა ხანს არ მოხდება.

**მესამენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოაწყოს „უმაღლესმა რასამ“, ვთქვათ, გერმანულმა „რასამ“, „დაბალი რასის“, პირველ ყოვლისა — სლავების წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ასეთ ომს შეუძლია მდგომარეობიდან გამოყვანა, რადგან „უმაღლესი რასა“ მოწოდებულია, გაანაყოფიეროს „დაბალი რასა“ და იბატონოს მასზე.** დავუშვათ, რომ ეს უცნაური თეორია, რომელიც ისეა დაშორებული მეცნიერებას, როგორც ცა დედამიწას, განახორციელეს პრაქტიკულად. რა შეიძლება მოჰყვეს მას? ცნობილია, რომ ძველი რომი სწორედ ისე უყურებდა ახლანდელი გერმანელებისა და ფრანგების წინაპრებს, როგორც ამჟამად „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლები უყურებენ სლავურ ტომებს. ცნობილია, რომ ძველი რომი დაცინვით უწოდებდა მათ დაბალ რასას, ბარბაროსებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან, მუდამ ემორჩილებოდნენ უმაღლეს რასას, თანაც ძველ რომს ამისთვის ჰქონდა ერთგვარი საფუძველი, რაც არ შეიძლება ითქვას ახლანდელი უმაღლესი რასის წარმომადგენლებზე. მერე რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა ის, რომ არარომაელები, ე.ი., ყველა „ბარბაროსი“ გაერთიანდა საერთო მტრის წინააღმდეგ და დაამხო რომი. ჩნდება კითხვა — **სად არის გარანტია, რომ ამჟამინდელი „უმაღლესი რასის“ წარ-** ▶




**«სლავების ცხოვრების ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენ კავშირი გვჭირდება სლავების დასაცავად. აი, თუნდაც ბოლო ორი მსოფლიო ომი, რატომ დაიწყო ეს ომები? — სლავების გამო. გერმანელებს სლავების დამონება სურდათ. ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად ამ ომებში? — როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად დაზარალდნენ სლავი ხალხები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სერბები, ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები. ესე იგი, გერმანელებისგან ყველაზე მეტად სლავები იტანჯებოდნენ»**

გრიგოლ ოხიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ახლა ჩვენ ძლიერ ვურტყამთ გერმანელებს და ბევრს ჰგონია, რომ ისინი ვეღარასოდეს დაგვემუქრებიან. არა, ეს ასე არ არის. მე მძულს გერმანელები, მაგრამ სიძულვილმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი მათ ობიექტურ შეფასებაში. გერმანელები დიდი ერია, ძალიან კარგი ტექნიკოსები და ორგანიზატორები არიან, დაბადებიდანვე მამაცი ჯარისკაცები. გერმანელების განადგურება შეუძლებელია. ისინი დარჩებიან. ჩვენ ვურტყამთ გერმანელებს და საქმე დასასრულისაკენ მიდის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოკავშირეები ეცდებიან, გადაარჩინონ გერმანელები და მოელაპარაკონ მათ“.

◀ **მომადგენელთა პრეტენზიები არ მიიყვანს მათ ანალოგიურ სავალალო შედეგებამდე? სად არის გარანტია, რომ ფაშისტი პოლიტიკოსები ბერლინში უფრო ბედნიერი აღმოჩნდებიან, ვიდრე იყვნენ ძველი და გამოცდილი დამპყრობლები რომში? განა უფრო მართებული არ იქნება, წარმოვიდგინოთ საწინააღმდეგო შედეგი?**

ბოლოს, მეოთხენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოეწყოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი **ფიქრობენ, გაანადგურონ საბჭოთა კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე. შეცდომა იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ ასე ფიქრობს მხოლოდ ზოგიერთი სამხედრო წრე იაპონიაში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე გეგმები მზადდება ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელთა წრეებში. დავუშვათ, რომ ეს ვაჟბატონები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. რა შეიძლება მოჰყვეს მას? არ მგონია, საეჭვო იყოს, რომ ომი ყველაზე საშიში იქნება ბურჟუაზიისთვის. ის იქნება ყველაზე უფრო საშიში არა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ რევოლუციის მონაპოვრებისთვის.** იგი ყველაზე საშიში იქნება ბურჟუაზიისათვის, აგრეთვე, იმიტომ, რომ ომი იწარმოებს არა მხოლოდ ფრონტზე, არამედ მოწინააღმდეგის ზურგშიც. ბურჟუაზიას შეუძლია, ეჭვი არ შეიტანოს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი მეგობრები ევროპასა და აზიაში შეეცდებიან, ზურგიდან დაჰკრან მჩაგვრელებს, რომლებმაც დაიწყეს დანაშაულებრივი ომი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სამშობლოს წინააღმდეგ. და ჩვენ ნუღარ გვისაყვედურებენ ბატონი ბურჟუები, თუ მათ ასეთი ომის მეორე დღეს სათვალავში დააკლდებათ მათთვის ახლობელი მთავრობები, რომლებიც ამჟამად განცხრომით მეფობენ „წყალობითა ღვთისათა“ (ი. სტალინი, საანგარიშო მოხსენება, პარტიის XVII ყრილობა).

ყველა ზემოთ მოყვანილი მასალა მიგვანიშნებს, რომ შექმნილ სახელმწიფოს დაცვა და შენარჩუნება სჭირდება. მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკური სისუსტისა, სტალინის მიერ შექმნილი სახელმწიფო სისტემა დაცული იყო გარეშე პოლიტიკური ინტრიგებისგან. პოლიტიკური ბუნტი საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ეწყობოდა ქვეყნის ტერიტორიის გარეთ, პოლიტიკური ბრძოლის მოედანზე, საიდანაც დისტანციური მართვის წყალობით ყველა პოლიტიკური ორთაბრძოლა საბჭოთა კავშირის გამარჯვებით მთავრდებოდა (ეს ხომ სტალინის პოლიტიკური ჯადოქრობა გახლდათ).

სტალინმა კარგად იცოდა ცამდე აწვდენილი გოდოლის მშენებლობის შეწყვეტის ლეგენდის ამბავი, რომ ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი მწყობრად და ტემპში აშენებდა გოდოლს და მის ბოლომდე აშენებას ვერაფერი შეაჩერებდა გარდა იმისა, რომ მშენებლებს სხვადასხვა ენაზე ელაპარაკათ.

**იმპერიალიზმის ვირთხებმა 1975 წელს ჰელსინკში დაგებულ კაკანათში შეიტყუეს საბჭოეთისა და დემოკრატიული ქვეყნების ლიდერები და უფასო ყველის ნაჭერზე მიიპატიჟეს, ბოლოს კარი გამოუხურეს, მათი ქვეყნები კი ატლანტის მგლების სათარეშოდ აქციეს. მშვიდობის საბჭოური ბურჯი და მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა მხსნელის, სოციალური სამართლიანობისა და ადამიანთა თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის ბაირახტარი ქვეყანა დაშალეს და კიდევ უფრო გააძლიერეს მონების მონობა და მდიდართა გამდიდრება.**

მაშინაც კი, როდესაც კორონავირუსის გამო პლანეტა თითქმის გააჩერეს და კვამლი არსაიდან არ ამოდიოდა, რაც პირველი ცდა იყო კონტინენტური ერთიანი მმართველობისა, მსოფლიოს 26-მა მილიარდერმა კაცმა 500 მილიარდით გაამდიდრა თავისი კაპიტალი და ვინ დათვლის, რამდენით დააზარალეს მსოფლიოს მოსახლეობა.

დედამიწის მოსახლეობა დღეს კოლიზეუმში ზის და უყურებს ცხოველისა და ათლეტის ბრძოლას. გამძვინვარებულ პროლეტარიატს წითელ ნაჭერს უფრიალებენ თვალწინ, რითაც უფრო ღიზიანდება თავისუფლების მოყვარე, თავისუფლება შეზღუდული ცხოველი და გაშმაგებით უტევს ყველაფრით დაცულ ათლეტ მეომარს.

ასეა დღეს მსოფლიოს ფარული ხელი, ჩაგრულ ხალხებს მათ აღსასრულს ტაშისცემით რომ აყურებინებს.

სტალინი და სლავების გაერთიანების პოლიტიკური წინასწარხედვა იმიტომ მოვიყვანე მაგალითად, რომ სლავებს რუსეთის დანგრევით ხერხემალი გადაუტეხეს. ოლიგარქიაზე გამობმული **ვლადიმერ პუტინი** აღარ არის მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი. ის „მე-20 საუკუნის გეოპოლიტიკური კატასტროფის“ მომწყობთა ბელადია, რომლებიც საიმედოდ ჰყავს დაცული.

**ალექსანდრე ლუკაშენკო** კი დღეს სწორედ ის ხარია, რომელიც ბოლოს გამოიყვანეს კოლიზეუმის არენაზე და მსოფლიოს თვალწინ უნდათ დაჰკრან, რასაც, ალბათ, ტაშით შეხვდება მაყურებელი.

## ბელარუსის მუშათა კლასის მოღალატეობრივი პოლიტიკა მით უფრო აშკარაა, რომ მათ თვალწინაა უზარმაზარი პოსტსაბჭოთა სივრცე, რომელიც დაცარიელდა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისგან. ხალხები გმინავენ უმუშევრობისა და შიმშილისგან, ბიუროკრატიისგან, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისგან. ბელარუსის მუშათა კლასი კი, რომლის ცხოვრების დონეც დღეს 50-ჯერ აღემატება ყოფილი საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკის — უკრაინის მუშათა კლასის ცხოვრების დონეს, ქარხნებს კეტავს და აჯანყების მოსაწყობად ქუჩაში გადის


ალექსანდრე ლუკაშენკო

## გამოთქმა «ხალხი ბრძენია» ეშმაკის შემოგდებულია. ეშმაკი ხალხის სახელით ეშმაკობს და ხალხებს ხაფანგში აბამს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რასაც ბელარუსში მოგუგუნე მძიმე თუ მსუბუქი ინდუსტრიის მუშათა კლასი სჩადის, რასაც აკეთებს ამ ქვეყნის აგრარული სექტორი




**გამოთქმა „ხალხი ბრძენია“ ეშმაკის შემოგდებულია. ეშმაკი ხალხის სახელით ეშმაკობს და ხალხებს ხაფანგში აბამს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რასაც ბელარუსში მოგუგუნე მძიმე თუ მსუბუქი ინდუსტრიის მუშათა კლასი სჩადის, რასაც აკეთებს ამ ქვეყნის აგრარული სექტორი.**

არასწორად მიმაჩნია სტალინის დებულება, რომ მუშათა კლასი არის მებრძოლი კლასი, რომელმაც უნდა დაასამაროს ბურჟუაზია და მსოფლიო იმპერიალიზმი.

**ბელარუსის მუშათა კლასმა აჩვენა მსოფლიოს, როგორ იაფად იყიდება იგი, როგორ ადვილად ტყუვდება. ბელარუსის მუშათა კლასის მოღალატეობრივი პოლიტიკა მით უფრო აშკარაა, რომ მას თვალწინ ჰქონდა უზარმაზარი პოსტსაბჭოთა სივრცე, რომელიც დაცარიელდა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისგან. ხალხები გმინავენ უმუშევრობისა და შიმშილისგან, ბიუროკრატიისაგან, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისაგან. ბელარუსის მუშათა კლასი კი, რომლის ცხოვრების დონეც დღეს 50-ჯერ აღემატება ყოფილი საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკის — უკრაინის მუშათა კლასის ცხოვრების დონეს, ქარხნებს კეტავს და აჯანყების მოსაწყობად ქუჩაში გამოდის. ეს არ არის გადაგვარებისა და ადამიანთა გადაშენების წინაპირობა?**

თუმცა ბელარუსს რას ვერჩით, როდესაც საქართველოს ეროვნული მოძრაობის „უთავლსაჩინოესი მოღვაწენი“ — **ნოდარ ნათაძე** და **პაატა კოღუაშვილი** — სოფელ-სოფელ დადიოდნენ და მოუწოდებდნენ მოსახლეობას, შეჭრილიყვნენ სახელმწიფო ფერმებში და საქონელი დაეტაცათ; შესეოდნენ ვენახებს და დაეკრიფათ ყურძნის მოსავალი. სოფლად ასეთი პოლიტიკის გატარებას შეეწირა წითელწყაროს რაიონის უმდიდრესი კოლმეურნეობის ლეგენდარული თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ნიკო ყოჩიაშვილი,** რომელსაც გული გაუხეთქა ეროვნული მოძრაობის ამ ორმა წარმომადგენელმა. უფრო დიდი უბედურება ანახვეს ზემო ქედის კოლმეურნეობის სწორუპოვარ თავმჯდომარეს **არსენ კობაიძეს.**

და კიდევ რამდენი უბედურება აწევს ცოდვად ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთ წარმომადგენელს, რომლებმაც ბოროტად გამოიყენეს უპატიოსნესი ოჯახის შვილის, უაღრესად ავტორიტეტული და უანგარო ადამიანის — **ზვიად გამსახურდიას** სახელი. არადა, მას ნამდვილად შეეძლო შეექმნა ჭეშმარიტად ქრისტიანული საქართველო და იმის მაგივრად, რომ დღეს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ყოფილი მუშათა კლასი აღდგეს და სიტყვიერად მაინც მხარი დაუჭიროს ქვეყნის პატრიოტს, მშრომელ და მებრძოლ ლუკაშენკოს, ისმის მისი კრიტიკა, რომ ის დიქტატორია. დიახ, ძველ რომში დიქტატორს ხალხი ირჩევდა განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო უფსკრულის პირას იდგა.

ლუკაშენკოს მკაცრმა ხელმა გადაარჩინა ბელარუსი ხალხი და ის სამაგალითო ქვეყნად იქცა პოსტსაბჭოთა სივრცეში და, თუ ბელარუსის მაგალითს მიბაძავს პუტინი თავისი რუსეთით, მაშინ კვლავ აღდგება ზესახელმწიფო რუსეთისა...

**«ფიქრობენ, გაანადგურონ საბჭოთა კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე. შეცდომა იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ ასე ფიქრობს მხოლოდ ზოგიერთი სამხედრო წრე იაპონიაში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე გეგმები მზადდება ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელთა წრეებში. დავუშვათ, რომ ეს ვაჟბატონები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. რა შეიძლება მოჰყვეს მას? არ მგონია, საეჭვო იყოს, რომ ომი ყველაზე საშიში იქნება ბურჟუაზიისთვის. ის იქნება ყველაზე უფრო საშიში არა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ რევოლუციის მონაპოვრებისთვის»**

«დასავლური ფასეულობები»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანამედროვე ფემინისტები, სტამბოლის კონვენციის მხარდამჭერები, არც მალავენ, რომ მათი მიზანი ქალთა უფლებების დასაცავად ბრძოლა კი არ არის, არამედ განსხვავების წაშლა მამაკაცსა და ქალს შორის მამაკაცის დათრგუნვის ფონზე. მათი პოზიცია ქალთა ემანსიპაციის თავდაპირველი ჯანმრთელი იდეების ტოტალური დაკნინებაა.**

# ევროკავშირის გენდერული ტერორი

**2020 წლის ივლისის ბოლოს ევროკავშირმა დაფინანსება შეუწყვიტა პროექტ „ევროკავშირის დაძმობილებულ ქალაქებში“ მონაწილე 6 პოლონურ ქალაქს. მიზეზი იყო ის, რომ ეს ქალაქები მათმა მთავრობებმა ლგბტ-ისგან თავისუფალ ზონებად გამოაცხადეს. ზემოაღნიშნული სასჯელი, ამასთანავე, იყო რეაქცია იმაზე, რომ 2019 წელს პოლონეთის მნიშვნელოვანი ნაწილი „ლგბტ იდეოლოგიისგან თავისუფალ“ ტერიტორიად გამოაცხადეს ან ადგილობრივმა ხელისუფლებებმა მიიღეს წესდება, რომლის მიხედვით „აუცილებელია ქორწინების იდენტურობის, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირის, დაცვა“.**



რატომ გამწვავდა ურთიერთობა პოლონეთსა და ევროკავშირს შორის?

ევროკავშირი და მისი ორგანოები ახალი მემარცხენეების იდეოლოგიას ახორციელებენ. ამას მოწმობს ის, რომ ევროკავშირმა დაამტკიცა ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ — ე.წ. სტამბოლის კონვენცია.

**პოლონეთი, ისევე, როგორც ევროკავშირში შემავალი სხვა ქვეყნები, ახალი მემარცხენეების იდეების გავლენას განიცდის, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება წინა პლანზე ლგბტ თემის უფლებების, იუვენალური იუსტიციისა და ფემინიზმის წამოწევაა, რომელიც ეწინააღმდეგება პოლონელი საზოგადოების იდეოლოგიის საფუძვლებს და მის ტრადიციულ ფასეულობებს, რომელთა მეშვეობითაც პოლონელმა ეთნოსმა ბოლო 220 წლის განმავლობაში უამრავი ქარტეხილი გამოიარა და გადაურჩა გარშემო მყოფ ხალხებში ათქვეფას.** ამის ნათელი დადასტურებაა კონფლიქტი, რომელიც მიმდინარეობს ლგტ თემსა და პოლონეთის სახელმწიფოს შორის ტრანსგენდერი აქტივისტის, **მალგოჟატა (მიხეილ) შუტოვიცის,** დაპატიმრების გამო. აღსანიშნავია, რომ შუტოვიცი კონსერვატიული ფონდის — „სიცოცხლის უფლებისთვის“ წევრის კუთვნილი მანქანის დაზიანებისთვის დააპატიმრეს 2020 წლის აგვისტოში.

პოლონეთის ხელისუფლების სათავეში 2015 წელს მოსული პარტია „სამართალი და სამართლიანობა“ დაკავშირებულია კონსერვატიული მიმართულების კათოლიკურ წრეებთან. ევროკავშირით უკმაყოფილო ამომრჩევლების მოზიდვის აუცილებლობის გამო პარტიამ დაიწყო მონოგამიური ქორწინებებისა და ოჯახების დაცვა მემარცხენეთა იდეებისგან. **პოლონეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, რომელიც ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც ოდესღაც ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიების შემადგენლობაში შედიოდა (ვარშავის, კრაკოვისა და ბელოსტოკის ვოევოდის გამოკლებით), მზად არის, მხარი დაუჭიროს ამ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც გამოდიან მსგავსი პროგრამით. ეს დაადასტურა ევროპარლამენტისა და პოლონეთის სეიმის არჩევნების შედეგებმა 2019 წლის ოქტომბერში და საპრეზიდენტო არჩევნებმა 2020 წლის ივლისში.**

თავის დროზე გერმანიის იმპერიაში შემავალი ტერიტორიები — ვარშავა, კრაკოვი და ბელოსტოკის ვოევოდის ნაწილი — სხვაგვარად უყურებდნენ ევროკავშირსა და მის კულტურულ პოლიტიკას. ამის გამო 2019 წელს, ევროპარლამენტისა და სეიმის არჩევნების წინ, პოლონეთში დაიწყო დაპირისპირება.

**ოპოზიცია, უწინარესად, გეისა და ათეისტის, რობერტ ბედრონის, პარტია „ვესნა“, ქსენძებს შორის პედოფილიის შემთხვევების გამო სკანდალის აგორებით ცდილობდა პარტია „სამართალისა და სამართლიანობისა“ და „თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის კონფედერაციის“ დისკრედიტაციას. ლოგიკა იყო ასეთი: პოლონეთის კათოლიკური ეკლესია, რომელიც ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებისა და ფემინიზმის მესამე ტალღის წინააღმდეგ ილაშქრებს, ჩაფლულია პედოფილიაში, ამიტომ კონსერვატიულად განწყობილ კათოლიკებს არ აქვთ უფლება, ლგბტ დიქტატურის წინააღმდეგ გამოვიდნენ.** მეტიც — რობერტ ბედრონი, რომელიც ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებისა და ფემინიზმის გულმხურვალე მხარდამჭერია, საჯაროდ ამბობს, რომ სურს, ეკლესია განდევნოს პოლონელი საზოგადოების ცხოვრებიდან. მემარცხენე აქტივისტებმა სამიზნეში ამოიღეს კრაკოვის არქიეპისკოპოსი **მარეკ ენდრაშევსკი** — ლგბტ აქტივისტებისა და მწვანეების დაუძინებელი მტერი.

**გეისა და ათეისტის, რობერტ ბედრონის, პარტია «ვესნა» ქსენძებს შორის პედოფილიის შემთხვევების გამო სკანდალის აგორებით ცდილობდა პარტია «სამართალისა და სამართლიანობისა» და «თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის კონფედერაციის» დისკრედიტაციას. ლოგიკა იყო ასეთი: პოლონეთის კათოლიკური ეკლესია, რომელიც ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებისა და ფემინიზმის მესამე ტალღის წინააღმდეგ ილაშქრებს, ჩაფლულია პედოფილიაში, ამიტომ კონსერვატიულად განწყობილ კათოლიკებს არ აქვთ უფლება, ლგბტ დიქტატურის წინააღმდეგ გამოვიდნენ**



ზბიგნევ ზებრო

ბედრონის გამოჩენა პოლონეთში სერიოზულ ცვლილებებზე მიუთითებს. ევოლუცია განიცადა ქვეყანაში ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა პარტია „სამოქალაქო პლატფორმამ“, რომლის კანდიდატიც საპრეზიდენტო არჩევნებში **რაფალ ტშასკოვსკი** იყო. ეს კონსერვატიული ლიბერალების პარტია იქცა მემარცხენე ლიბერალურ ძალად, რომელიც თანამშრომლობს მწვანეებთან. აღსანიშნავია, რომ **ტშასკოვსკიმ, როცა ის ვარშავის მერი იყო, 2019 წლის თებერვალში ხელი მოაწერა ლგბტ-დეკლარაციას, რომლის მიხედვით სახელმწიფო სკოლებში უნდა შემოეღოთ „სექსუალური განათლების“ გაკვეთილები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებების მიხედვით და ბავშვებთან ელაპარაკათ სექსის ფორმებსა და ლგბტ-ზე.** ამომრჩევლებმა ეს ყველაფერი ტშასკოვსკის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიისას შეახსენეს.

ევროკავშირისა და მისი მომხრეების ქმედებებმა არა მხოლოდ პოლონეთში გამოიწვია საწინააღმდეგო რეაქცია.

მიმდინარე წლის თებერვალში ფრანგულმა გამოცემა „ლე მონდმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „აღმოსავლეთ ევროპაში გენდერული ომი იწყება“. **სტატიის ავტორებმა გააანალიზეს ლგბტ პირებისა და გენდერული იდეოლოგიის მდგომარეობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ევროკავშირის იმ ნაწილში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უარს ამბობს ახალი მემარცხენეების კულტურულ დღის წესრიგზე, ამასთანავე, ამის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიან კათოლიკებიც, პროტესტანტებიცა და მართლმადიდებლებიც. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპაში აღიარეს იდეოლოგიური განხეთქილების არსებობა ევროკავშირის შიგნით.** სწორედ ამან განაპირობა პოლონეთის იუსტიციის მინისტრ **ზბიგნევ ზებროს** ინიციატივა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, ევროპის საბჭოს რატიფიცირებული კონვენციიდან პოლონეთის გამოსვლის ინიციატივა.

საინტერესოა ამ ინიციატივის მიზეზები, რომლებიც ზებრომ გაასაჯაროვა:

**„ამ დებულებების მიხედვით, ბიოლოგია არ განსაზღვრავს ადამიანის არსს და ეს თითოეულის საზოგადოებრივ-კულტურული არჩევანის საკითხია. ეს დებულებები მოგვიწოდებს, შესაბამისი ცვლილებები შევიტანოთ ბავშვების განათლების სასკოლო და არასასკოლო პროგრამებში, რათა პოლონელთა ახალგაზრდა თაობამ მიიღოს ეს, ჩვენი აზრით, ყალბი დებულებები“.**

აი რა წერია ხსენებული **კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში:**

* „მხარეებს მოვუწოდებთ, კონვენცია გამოიყენონ ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლის მიმართ. მოცემული კონვენციის დებულებების განხორციელებისას მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ **გენდერული ნიშნით** ჩადენილი ძალადობის მსხვერპლ ქალებს“.

რა არის „გენდერული ნიშანი“? ამას **მე-3 მუხლის C პუნქტი** განსაზღვრავს:

* **„გენდერული“** ნიშნავს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობასა და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს;

რატომ იწვევს ეს დებულებები ზბიგნევ ზებროსა და „თავისუფლებისა და დამოუ-

# ფემინისტები და ლგბტ-აქტივისტები სპეციალურად ამბობენ „ოჯახში ძალადობას“ და არა „ძალადობას“. ისინი მიზანმიმართულად მუშაობენ იმაზე, რომ დანერგონ ოჯახის, როგორც დამღუპველი საზოგადოებრივი ინსტიტუტის, იდეა, მიაგან ის დანაშაულისა და საშინელებების ადგილს.

«დასავლური ფასეულობები»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კიდებლობისთვის კონფედერაციის“ მხრიდან კრიტიკას? ბევრი ვერ აცნობიერებს, რომ მოცემული დოკუმენტი არა იურიდიული, არამედ იდეოლოგიური ხასიათისაა. სქესების იურიდიული თანასწორობა — ეს არის კაცისა და ქალის ტოლობა კანონში „გენდერული თანასწორობა“ კი სულაც არ არის უწყინარი რამ. ინგლისურმა სიტყვა **gender**-მა შეცვალა სიტყვა **sex**-ი, რომელიც ბიოლოგიურ სქესს აღნიშნავს (კონვენციის **მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში** შემთხვევით არ არის მძიმით გამოყოფილი **„სექსუალური ორიენტაცია“** და **„გენდერული იდენტობა“**). ბუნებაში არსებობს ორი სქესი — მდედრობითი და მამრობითი, გენდერი კი — სოციოკულტურული ქცევის მოდელი — დაკავშირებული არ არის ბიოლოგიასთან. სწორედ ეს მოჰყავთ არგუმენტად ლგბტ თემის მომხრეებს, როცა მოითხოვენ, ლექსიკიდან ამოიღონ სიტყვები — „ქალი“ და „მამაკაცი“. უფრო მეტიც, **თანამედროვე ფემინისტები, სტამბოლის კონვენციის მხარდამჭერები, არც მალავენ, რომ მათი მიზანი ქალთა უფლებების დასაცავად ბრძოლა კი არ არის, არამედ განსხვავების წაშლა მამაკაცსა და ქალს შორის მამაკაცის დათრგუნვის ფონზე. მათი პოზიცია ქალთა ემანსიპაციის თავდაპირველი ჯანმრთელი იდეების ტოტალურად დაკნინებაა.** კონვენციაში თანამედროვე ფემინიზმის იდეა ჩანს **მესამე მუხლის D პუნქტში:**

„გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობა“ გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან არათანაზომიერად უარყოფითად მოქმედებს ქალებზე;

კონვენციის **მე-3 მუხლში არის პუნქტ A და პუნქტი B,** რომლებიც იწვევს კრიტიკას:

**a)** „ქალთა მიმართ ძალადობა“ აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში;

**b)** „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ, ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.

განვმარტოთ ეს დებულებები. **ფემინისტები და ლგბტ-აქტივისტები სპეციალურად ამბობენ „ოჯახში ძალადობა“-ს და არა „ძალადობას“. ისინი მიზანმიმართულად მუშაობენ იმაზე, რომ დანერგონ ოჯახის, როგორც დამღუპველი საზოგადოებრივი ინსტიტუტის, იდეა, მიაგან ის დანაშაულისა და საშინელებების ადგილს.**

პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივისა და ღირსების, სქესობრივი ხელშეუხებლობისა და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ისჯება სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით. მთავარი ამოცანაა მათი მისადაგება.

**პოლონეთი, როგორც ევროკავშირის ქვეყანა, შეეჯახა სტამბოლის კონვენციის შემქმნელთა ჭეშმარიტ ზრახვებს. ფემინისტებისთვის, ლგბტ აქტივისტებისა და იუვენალური იუსტიციის მომხრეებისთვის არ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია. საკმარისია, გაავრცელო ხმა ქმრის მიერ თითქოსდა ჩადენილ ეკონომიკურ დანაშაულზე (ცოლისთვის უარის თქმა ძვირად ღირებული ქურქის შეძენაზე შემოსავლების შემცირების მომენტში) ან მამის „ფსიქოლოგიურ ძალადობაზე“ (შვილი აიძულა, შეეწყვიტა ეზოში ფეხბურთის თამაში და გაკვეთილები მოემზადებინა, თანაც დაჰპირდა, თუ ცუდი ნიშნები ექნებოდა, ძვირად ღირებულ საკოლექციო მანქანებს აღარ უყიდდა), რომ მყისვე იწყება ადამიანის დევნა.**

ზბიგნევ ზებრომ და „კონფედერაციამ“ იციან, რომ ფემინისტებისთვის, ლგბტ აქტივისტებისა და იუვენალური იუსტიციის მომხრეებისთვის ქალებზე, ბავშვებზე, ხანდაზმულებსა და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებზე აპრიორი ძალადობს პოლონელი მამაკაცი — კათოლიკე. პოლონელი საზოგადოების ამ ნაწილისთვის მიუღებელია, რომ სტამბოლის კონვენციის მე-9 მუხლში მითითებულია ასე: „არასამთავრო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება“. მაგრამ ყველაზე ოდიოზურია **მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი:**

*** „მხარეები იღებენ ყველა საჭირო ზომას ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასანერგავად იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს“.**

ანუ, ლაპარაკია სოციალურ ინჟინერიასა და ადამიანის შეცვლაზე ცუდი მხრივ.

ამაზე ლაპარაკია **მე-14 მუხლის 1-ელ პუნქტშიც:**

*** „მხარეები იღებენ, სადაც ეს მიზანშეწონილია, ყველა საჭირო ზომას ისეთი საკითხების შესახებ პედაგოგიური მასალის ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში და განათლების ყველა დონეზე ჩასართავად, როგორიცაა, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა, არასტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა, პიროვნებათაშორის ურთიერთობებში კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარება, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება, რომლებიც გათვლილი იქნება მსმენელთა მზარდი განვითარების შესაძლებლობებზე“.**




**მიმდინარე წლის თებერვალში ფრანგულმა გამოცემა «ლე მონდმა» გამოაქვეყნა სტატია სათაურით «აღმოსავლეთ ევროპაში გენდერული ომი იწყება». სტატიის ავტორებმა გააანალიზეს ლგბტ პირებისა და გენდერული იდეოლოგიის მდგომარეობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ევროკავშირის იმ ნაწილში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უარს ამბობს ახალი მემარცხენეების კულტურულ დღის წესრიგზე, ამასთანავე, ამის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიან კათოლიკებიც, პროტესტანტებიცა და მართლმადიდებლებიც. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპაში აღიარეს იდეოლოგიური განხეთქილების არსებობა ევროკავშირის შიგნით**

პარტია „სამართალმა და სამართლიანობამ“ მხარი არ დაუჭირა ზბიგნევ ზებროს ინიციატივას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლონეთი კონვენციიდან არ გავა. მით უმეტეს, რომ ადამიანის უფლებების საკითხების ევროპის საბჭოს კომისარმა **დუნია მიატოვიჩმა** უკვე მოუწოდა პოლონეთის ხელისუფლებას, გაათავისუფლოს დაპატიმრებული 48 ლგბტ აქტივისტი, რომლებიც 2020 წლის 7 აგვისტოს თავს დაესხნენ ვარშავის პოლიციის თანამშრომლებს, როდესაც ისინი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ. **უნგრეთმა,** პოლონეთის მოკავშირემ, კანონმდებლობით დაიზღვია თავი ახალი მემარცხენეებისგან. ამა წლის ივნისში **რუმინეთმაც** მიბაძა უნგრეთს და აკრძალა „გენდერული კვლევები“ ყველა სასწავლო დაწესებულებაში. თვით პოლონეთში და მის საზღვრებს გარეთაც გამოხმაურება მოჰყვა სახელმწიფო აქტივების მინისტრის მოადგილის, **იანუშ კოვალსკის,** განცხადებას:

**„პოლონეთის მთელი ტერიტორია უნდა მოინიშნოს, როგორც ლგბტ იდეოლოგიისგან თავისუფალი ზონა, რადგან კონსტიტუცია ზუსტად განსაზღვრავს, რომ ოჯახი იქმნება ქალისა და კაცის მიერ“.**


იოანე პავლე II

ამას გარდა, ევროკავშირის შიგნით კულტურულ ომს აქვს საგარეო-პოლიტიკური განზომილებაც. პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი და ევროკავშირის სხვა ამბოხებული ქვეყნები აშშ-ისა და პირადად პრეზიდენტ **ტრამპის** მოკავშირეები არიან, ტრამპის, რომელიც გერმანიასა და ევროკავშირს ეკონომიკურ კონკურენტებად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნებში **ანჯეი დუდას** გამარჯვება ტრამპის გამარჯვებად აღიქმება.

ახლა ტრამპს შეუძლია ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ გამოიყენოს. **მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დემოკრატი და ტრამპის ბევრი თანაპარტიელიც არ ეთანხმება აღმოსავლეთევროპული ქვეყნების ხელისუფლებებს. გერმანიიასთან დაპირისპირება და „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის რეალობა აიძულებს მათ, მხარი დაუჭირონ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტ ანჯეი დუდას ოჯახური პოლიტიკა მიმართულია აშშ-ისა და პირადად ტრამპთან კავშირის მხარდაჭერის, ხოლო ბრიუსელისა და ბერლინის კრიტიკისკენ.**

ევროკავშირიდან **დიდი ბრიტანეთის** გასვლის გათვალისწინებით, ევროკავშირში განხეთქილების შეტანით მისგან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გამოყოფა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დიდი წარმატება იქნება. **მხარეების ქმედებები მიუთითებს, რომ ასეთი სცენარის განვითარება შესაძლებელია.** პოლონეთის წინააღმდეგ გენდერული ტერორი ხომ 2019 წლის ბოლოს დაიწყო, როდესაც შეწყდა თანამშრომლობა საფრანგეთსა და პოლონეთის ქალაქებს შორის და ამის ინიციატორი საფრანგეთი იყო. ამასთანავე, საფრანგეთი ფინანსური სანქციებით დაემუქრა პოლონეთს სტამბოლის კონვენციიდან შესაძლო გასვლის გამო.

ეს მოვლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლონეთის სახელმწიფოსა და მისი ეკლესიისთვის. **პირველი პოლონელი პონტიფიკოსი იოანე პავლე II, თავგადაკლული ეკუმენისტი, 1962-1965 წლების ვატიკანის მეორე საეკლესიო კრების მიერ გამოცხადებული კურსის გაგრძელების მომხრე გახლდათ. 1992 წელს მან დაამტკიცა კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო, რომელშიც არის განყოფილება „უზნეობა და ჰომოსექსუალიზმი“. ამ კატეხიზმოთი კაროლ ვოიტილამ ოვერტონის სარკმელი გახსნა დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ეკლესიებთან შედარებით კონსერვატიულ პოლონეთის კათოლიკურ ეკლესიაში,** ბოლო ათწლეულებში პოლონეთში გაჩნდნენ განახლების მომხრე ქსენძები.

**განახლების მოსურნე კათოლიკების მომრავლება განხეთქილების პროცესს ამძაფრებს პოლონელ საზოგადოებაში.** შემთხვევითი არ არის, რომ გაზეთ „ვიბორჩას“ მთავარი რედაქტორი **ადამ მიხნიკი,** აგნოსტიკოსი, ყოველთვის დადებითად მოიხსენიებს იოანე პავლე II-ის კათოლიციზმს, ანუ ასეთ მიმდინარეობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საზოგადოების განწყობაზე. 2019 წელს მიხნიკმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ სიმპათიით არის განმსჭვალული თანამედროვე ფემინიზმის მიმართ და მხარს უჭერს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებას პლებისციტის გზით.

**იოანე პავლე II-ისადმი პატივისცემის მიუხედავად, პოლონელი საზოგადოება მტრულად არის განწყობილი ახალი მემარცხენეების იდეებისადმი. პოლონეთის მიერ ევროკავშირის მემარცხენე იდეების მიუღებლობა გავლენას ახდენს ბელარუსსა და უკრაინაზე. ახლა უკრაინელებს მოუწევთ დაფიქრება, რატომ არიან პოლონელები ევროკავშირით უკმაყოფილონი და რატომ სურთ სტამბოლის კონვენციის დატოვება** (ამ კონვენციაზე ხელმოწერისკენ უბიძგებენ უკრაინასაც), ხოლო ევროკავშირის გენდერულმა ტერორმა პოლონეთის წინააღმდეგ შეიძლება გააუარესოს ისედაც ცუდი ეკონომიკური ვითარება.

**eadaily-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

საქიფათო ჩეალობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში მატულობს არეულობა, ქაოსი. მიმდინარეობს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგის ნგრევა. სსრკ-ის დაშლა იყო გლობალური არეულობების პირველი ეტაპი, შემდეგ შეიქმნა ამერიკული ერთპოლუსიანი მსოფლიო, თუმცა მან მალე დალია ჩაილურის წყალი და დაიწყო გლობალური კრიზისი — კაპიტალიზმის კრიზისი, ლიბერალური მოდელის კრიზისი, ნავთობდოლარების სისტემის კრიზისი.**

# მსოფლიოში დაძაბულობა მატულობს. კაცობრიობა ომის პირასაა



**მსოფლიო ეკონომიკა დეპრესიაშია. ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხეში ცვლილებებს ითხოვენ. ეპიდემიამ საზოგადოებრიობა ბოროტებისა და ძალადობისთვის მოამზადა. საერთოდ კი, გარკვეული ძალები მსოფლიოს დიდი ომისკენ უბიძგებენ.**

## მსოფლიოში დაძაბულობა მატულობს

გრძელდება ომი **სირიასა** და **ლიბიაში**. სისხლის სუნი დგას **აზერბაიჯანისა** და **სომხეთის** საზღვარზე. პირობებია შექმნილი **საბერძნეთისა** და **თურქეთის** შეჯახებისთვის, რომლის უკანაც დგანან **ეგვიპტე, ისრაელი** და **საფრანგეთი. ამერიკის შეერთებული შტატები** გაყოფილია ორ ხალხად და ორ ელიტად, შექმნილია წინაპირობები სასტიკი სამოქალაქო ომისთვის. დაძაბულობა წარმოიქმნა **ჩინეთისა** და **ინდოეთის** საზღვარზე. არის კიდევ ბევრი „დენთის კასრი“, რომლებიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება აფეთქდეს: **ინდოეთი** და **პაკისტანი; ჩინეთი** და **იაპონია; ჩრდილოეთი** და **სამხრეთი კორეა** და ა.შ.

მოულოდნელად განვითარდა მოვლენები **ბელარუსში,** რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილურობის ბურჯად ითვლებოდა. პერმანენტულ კრიზისშია **უკრაინა.** სსრკ-ის კრახის შემდეგ **რუსეთს** ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, გადადგას ნაბიჯი კაპიტალისა და ლიბერალიზმის სრული გამარჯვებისკენ თუ რუსული „დერჟავის“ აღორძინებისა და დამოუკიდებელი როლის შესრულებისკენ მსოფლიოში. სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობა არ აქვთ **სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებს,** მათ შორის საქართველოს, რომლის ხელისუფლებაც ევროკავშირელი და ამერიკელი მაღალჩინოსნების ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელია ქვეყნის ინტერესების ხარჯზე.

ამრიგად, **მსოფლიოში მატულობს არეულობა, ქაოსი. მიმდინარეობს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგის ნგრევა. სსრკ-ის დაშლა იყო გლობალური არეულობების პირველი ეტაპი, შემდეგ შეიქმნა ამერიკული ერთპოლუსიანი მსოფლიო, თუმცა მან მალე დალია ჩაილურის წყალი და დაიწყო გლობალური კრიზისი — კაპიტალიზმის კრიზისი, ლიბერალური მოდელის კრიზისი, ნავთობდოლარების სისტემის კრიზისი.** ეს კრიზისი ფულით ჩააცხრეს, მაგრამ დროებით. 2013 წელს ახლო აღმოსავლეთში დაიწყო მსოფლიო ჰიბრიდული ომი. ამ მომენტიდან ქაოსი სულ უფრო მატულობდა. 2014 წელს „ააფეთქეს“ უკრაინა.

## ადრინდელი სისტემის ჩამოშლა

მას შემდეგ ვითარება არ გაუმჯობესებულა, მოიმატა სახელმწიფოების ვალებმა, დაგროვდა წინააღმდეგობები, წყენა და სიძულვილი. ლიბერალურმა იდეოლოგიამ თავისი დრო მოჭამა და ისეთი აღარ არის, როგორიც იყო 1990-იან წლებში. შემდეგ რა იქნება? ქაოსში ჩაძირვა.

ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს მსოფლიოს ძველი წესრიგის ნგრევა.

ეს ხდება **ლიბიის, სირიის, იემენის, ავღანეთის** ლოკალური კონფლიქტებით, რომლებიც რეგიონულ კონფლიქტებად იქცა; ახალი ომების მომზადებით, მათ შორის **საბერძნეთსა** და **თურქეთს** შორის სადავო ტერიტორიების, ნახშირწყლებისა, საზღვაო შელფის კონფლიქტით, პანდემიის იარაღით; ევროპასა და აშშ-ში საშუალო კლასის მოხრჩობით, რომელიც სერიოზულ სოციალურ რყევებს იწვევს; ნავთობისა და ბუნებრივი აირის ბაზრის ჩამოშლით, რაც ქარიშხლის მომასწავებელი სიგნალია. ყველა ძირითადი პრობლემა კი უნდა გადაიჭრას სისხლითა და სისასტიკით. კაცობრიობას ომზე უნივერსალური და ეფექტიანი მეთოდი არ აქვს.

**როცა ბირთვული იარაღი შექმნილია, ომი სიგიჟედ ჩანს, მაგრამ სსრკ-ის დაშლაც სიგიჟედ და შეუძლებელ კოშმარად ჩანდა. სიგიჟედ ჩანდა აშშ-ის მიერ იაპონიის ატომური დაბომბვა.** 2020 წელმაც ბევრი სიურპრიზი შემოგვთავაზა. **ამერიკელი დემოკრატები (აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები) ქვეყნის მოსახლეობას სამოქალაქო დაპირისპირებისკენ უბიძგებენ. ისინი მოუწოდებენ, არ აღიარონ ტრამპის გამარჯვება არჩევნებში.** ვირუსული ფსიქოზისა და მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკების დაცემის ფონზე ეს ყველაფერი ძალიან სახიფათოა, მაგრამ ჩანს, დემოკრატები და გლობალიზაციის მომხრეები მზად არიან სამოქალაქო დაპირისპირებისთვის.

**აშშ უმძიმეს კრიზისშია და შესაძლოა, მალე ვნახოთ XXI საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა — აშშ-ის დაშლა. დემოკრატებს ასეთი პერსპექტივის არ ეშინიათ, ისინი გეგმავენ კიდეც დაპირისპირებებს, როგორც აშშ-ის დემოკრატი პრეზიდენტები გეგმავდნენ „ფერად რევოლუციებს“ პლანეტაზე.**

ამერიკელი დემოკრატები, გლობალისტები და ლიბერალები არ აპირებენ ტრამპისთვის რამის დათმობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი პროექტი პლანეტის გლობალიზაციისა ჩაიფუშება, ამიტომ **აშშ-ში კონფლიქტის რადიკალიზაცია გარდაუვალია. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში აშშ-ს მსოფლიო პრობლემებისთვის აღარ ეცლება. მსოფლიო ჟანდარმი და არბიტრი, რომელსაც უკვე აღარ აქვს ეს უფლებამოსილებები, შიდა კონფლიქტით იქნება დაკავებული.**

სხვა ქვეყნებისთვის გაჩნდება „შესაძლებლობების ფანჯარა“. მაგალითად, **ერდოღანმა** უკვე დაიწყო ახალი თურქული იმპერიის შენება, სწორედ ამითაა გამოწვეული თურქების აქტიურობა ჩრდილოეთ აფრიკაში, სირიაში, ერაყში, კავკასიაში და ბალკანეთზე, ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში და ა.შ. ჩინეთი შეეცდება ტაივანის პრობლემის მოგვარებას. პლანეტაზე იფეთქებს ძველი და ახალი კონფლიქტები. დაგროვილი ენერგიის ფონზე დაპირისპირების დასაწყისი შეიძლება სტიქიური იყოს. მაგალითად, ბერძნები არ გაატარებენ თურქების გემებს ან შემთხვევით ჩამოაგდებენ მათ თვითმფრინავს; ინდოელი მესაზღვრეები ცეცხლს გაუხსნიან ჩინელებს სადავო ტერიტორიაზე, ისინი უპასუხებენ. ძველი სისტემა საბოლოოდ დაინგრევა, სანამ ძალთა ცენტრები ახალ წესრიგს შექმნიან.

**topwar.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# THE TIMES: დასავლეთი მარცხდება აღმოსავლეთთან — დაიწყება მსოფლიო ლიდერების შეცვლა

THE TIMES



**დასავლეთის ქვეყნები ათწლეულების განმავლობაში ეტალონად მიიჩნეოდა ყველაფერში. პროპაგანდა ისე იყო აწყობილი, რომ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ევროკავშირისა და აშშ-ის ხელისუფლებები ყველაზე ბრძენი და ყველაზე ლიბერალური იყვნენ, ხოლო მათ მიერ შექმნილი სისტემა — ყველაზე მართებული, მაგრამ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ ყველა სტერეოტიპი დაანგრია.**

დღეს ბევრი ადამიანი ათვითცნობიერებს, რომ **აშშ-მა და ევროკავშირმა ვერ გაუძლეს „გამოცდას სტრესზე“. სამაგიეროდ, აზიამ მიაღწია ბევრ პოლიტიკურ წარმატებას. ამას აღიარებს თვით ბრიტანული გამოცემა The Times-ი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ნელა მოქმედი დასავლეთი აგებს კატეგორიულ აღმოსავლეთთან, რამაც მომავალში შეიძლება მსოფლიოში ლიდერების შეცვლა გამოიწვიოს.**

## მსოფლიოს მართავს გაბედულება და შეუპოვრობა

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ძალთა ბალანსის ცვლილება (თანაც არა დასავლეთის სასარგებლოდ) სულ უფრო ნათლად ჩანს. კორონავირუსით გამოწვეულმა სიკვდილიანობის მაღალმა დონემ აშშ-სა და ევროპაში აჩვენა, რომ დასავლეთის მთავრობებს სერიოზულ პრობლემებთან გამკლავება აღარ შეუძლიათ.

„კორონავირუსით მხოლოდ 7 ადამიანი გარდაიცვალა ტაივანზე, 27 — სინგაპურში და 34 — ვიეტნამში; ლონდონმა კი დაკარგა 7 ათასი ადამიანი, ნიუ-იორკმა — 23 ათასზე მეტი“, — წერენ **ჯონ მიკლტუეიტი** და **ადრიან ვულდრიჯი** წიგნში The Wake-Up Call.

თანაც ასეთი განსხვავება მონაცემებში არის არა ვირუსის სხვადასხვა შტამის, არამედ ხელისუფლებების დაბნეულობის შედეგი. პანდემიის დასაწყისში ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტი ყოყმანობდა და ვერ ხვდებოდა, საჭირო იყო თუ არა მკაცრი ზომების გატარება ვირუსთან საბრძოლველად. აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** თავდაპირველად საერთოდ არ მიაქცია ყურადღება პრობლემას.

აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ კი გაბედულად იმოქმედეს და მოასწრეს აუცილებელი ზომების გატარება მანამ, სანამ ვირუსის გავრცელება კონტროლს აღარ დაექვემდებარებოდა.

**თითქმის ყველა საკითხის მოგვარების გაჭიანურებამ გამოიწვია ის, რომ ევროპისა და ამერიკის ქვეყნები აღმოსავლეთს ჩამორჩებიან, პრაქტიკულად, ყველაფერში — განათლებით დაწყებული, ინფრასტრუქტურით დამთავრებული**

## სხვადასხვა სიჩქარის პრობლემა

პანდემია არ არის ევროკავშირისა და აშშ-ის სირთულეების კატალიზატორი. მან, უბრალოდ, წარმოაჩინა, რა ნელი შეიძლება იყოს დასავლეთი. **თითქმის ყველა საკითხის მოგვარების გაჭიანურებამ გამოიწვია ის, რომ ევროპისა და ამერიკის ქვეყნები აღმოსავლეთს ჩამორჩებიან, პრაქტიკულად, ყველაფერში — განათლებით დაწყებული, ინფრასტრუქტურით დამთავრებული.**

„სანამ დიდ ბრიტანეთში გრძელდება კამათი იმაზე, ღირს თუ არა მესამე ასაფრენ-დასაფრენი ზოლის აგება ჰიტროუში (აეროპორტი ლონდონში — გ.გ.), ჩინეთმა უკვე დაგეგმა 215 ახალი აეროპორტის აგება 2035 წლამდე“, — აღნიშნავს The Times-ი.

დასავლეთისთვის ყველაზე სამწუხარო არის ის, რომ ქვეყნები, რომლებიც მიეჩვივნენ ლიდერობას, ამჯობინებენ, არ მიიღონ აღმოსავლეთიდან წამოსული გამოწვევა. ნაცვლად ამისა, აშშ-მა და ევროპამ დაიწყეს დაგმობა ყველა წარმატებისა, რომლებსაც მიაღწიეს „დასავლური სამყაროს“ საზღვრებს გარეთ. აგრეთვე, სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ დემოკრატიაზე, რომელიც „თითქმის არ აქვთ აზიურ ქვეყნებს“.

The Times-ი მოუწოდებს დასავლურ სახელმწიფოებს, გამოფხიზლდნენ და დაიწყონ გაბედულად მოქმედება.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





## ოდესელ «ლომებს» ლაყე კვერცხები დაუშინეს

**ყროლი დადგა არნახული. შეიძლება არცთუ მაინცდამაინც ლაყე კვერცხების მიზეზით — ოდესელ „ლომებს“ (ჩვენების არ იყოს) თავიანთი სპეციფიკური „სურნელებაც“ ჰყოფნით გარემოს მოსაწამლად.**

ასაყროლებლად.

ლომები რა შუაშიაო? — იკითხავთ.

გიპასუხებთ: 30 აგვისტოს ოდესის მამათმავლებმა, ტრანსსექსუალებმა, ლესბოსელებმა და მათნაირმა ბიკინებიანმა და ტანგატრუსებიანმა „ორიგინალებმა“ ჩაატარეს თავიანთი ფესტივალი „ოდესა-პრაიდის“ სახელწოდებით. **პრაიდი ლომების ოჯახია**, ძირითადად — აფრიკული ლომების. ლომები ვართო, განგვიცხადეს ამ ფუმფულა საჯდომებიანებმა. არ მოგვჭამოთ ის, რაც არ გვაქვსო. სიმბოლურად.

არც არავინ აპირებდა!

ესროლეს ის, რაც არ გააჩნიათ. ესეც — სიმბოლურად.

ოდესის ოლქის ეროვნული პოლიციის პრესსამსახური იუწყება, რომ ლგბტ-ებს თავს დაესხნენ ორგანიზაცია „ტრადიცია და წესრიგის“ წევრები. ეს არის პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც იცავს ქრისტიანულ და ეროვნულ ღირებულებებს და ამიტომ ვერ ეწერება ევროპის ფსევდოლიბერალურ-პოლიტიკური მოძრაობის ერთიან ნაკადში.

**ცნობისთვის: ევროპაში დღეს ყველაზე გავრცელებული ლოზუნგია: „თუ არ ხარ გეი, მაშასადამე, არ ხარ დემოკრატი!“ აშშ-ში ამას პატიების დაპირისპირების კონკრეტიკის სურნელებაც ემატება.**

**...სურნელებაზე უკვე ვილაპარაკეთ.**



# ნეოლიბერალური ზნეობა

## შემდეგი გაჩერება — «ჯოჯოხეთი»



**დიდ ბრიტანეთში შექმნეს ლგბტ მატარებელი „Avanti West Coast Pride“, რომლის ეკიპაჟი დაკომპლექტებულია სექსუალური უმცირესობებით, — იუწყება Business-Live.co.uk.**

კომპანია Avanti West Coast Pride-მა 11-ვაგონიან შემადგენლობაზე გაშალა და დაამაგრა 265-მეტრიანი ლგბტ დროშა და საქვეყნოდ დაიტრაბახა, რომ ეს არის ქვეყანაში პირველი ჰომოსექსუალური შემადგენლობა.

კომპანიამ თავისი ეს ინიციატივა „ღირსების აღლუმების“ გაუქმებით ახსნა, რომელიც კორონავირუსის პანდემიით იყო გამოწვეული. ვაგონები სავსეა ლგბტ ლიტერატურით, ასევე, ინფორმაციით, რომელიც ჰომოსექსუალიზმთან არის დაკავშირებული.

მატარებლის მენეჯერმა **პოლ ოსტინმა** განაცხადა: „ბრიტანეთის ლგბტ-თემის შემადგენელ ნაწილად ყოფნა არის იმის ნიშანი, რომ ჩვენ წინ მივდივართ — უფრო ინკლუზიური, მრავალფეროვანი და თანაბარუფლებიანი საზოგადოებისკენ. მე ვამაყობ იმით, რომ დღეს ამ საქმეში ვმონაწილეობ“.

ინკლუზიურ და მრავალფეროვან ამ ლგბტ ინიციატივაში ახალი და არნახული არაფერია — პრიმიტიული პლაგიატია გასული საუკუნის 30-იანი წლების პროპაგანდისტული „აგიტმატარებლების“. ლოზუნგები იყო ოღონდ სხვა, რომელთა განზოგადებული უაზრობა ილფისა და პეტროვის ხელდასმით ოსტაპ ბენდერმა ჯერ წააწერა ადამ კოზლევიჩის ავტომობილ ანტილოპა-გნუზე დამაგრებულ ტრანსპარანტზე, ხოლო შემდეგ დახვეწა ქალაქ უდოევში გამართულ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში: „Ударим автопробегом по бездорожью и разгильдяйству!“ („ავტოგადარბენით დავცხოთ დაუდევრობასა და უგზოობას“).

ბენდერმა თავისი ის ისტორიული გამოსვლა ასეთი პასაჟით დაამთავრა: „მე ვამთავრებ, ამხანაგებო! წინასწარ წავიხემსებთ და განვაგრძობთ ჩვენს შორეულ გზას“.

გულახდილი იყო ბენდერ ბეი, წინასწარ წახემსების შესახებ რომ განაცხადა — შიოდათ გადარბენის მონაწილეებს! საუზმის ფული კი „გროშ-კაპიკი“ არ ჰქონდათ. გადარბენაც ხომ სახსრების საშოვნელად მოაწყვეს ამ მატრაკვეცა აფერისტებმა.

ისეთი რა გაუჭირდათ ბრიტანელ გეებს, მატარებლით გადარბენა რომ ჩაიფიქრეს?!

ან, იქნებ, რიტმის დაჭერა ვაგონში უფრო ადვილია?!

მატრაკვეცობაც რაღაცაზე მიანიშნებს...

## როცა სტუმარი ღვთისა არ არის



**აშშ-ის ფლორიდის შტატში სტუმრად მიწვეულმა კაცმა მასპინძელს ორი ვაჟიშვილი მოუკლა. ბოროტმოქმედი ბიჭების დეიდას ჰყვარობდა, რომელიც იმ ტრაგედიის მომენტისთვის იმ კაცისგან ორსულად იყო — მეორე საერთო შვილს ელოდა, — იუწყება Metro.**

იმ ღამეს, ოჯახმა რომ დაიძინა, 30 წლის **მარკ უილსონი** ბიჭების საწოლ ოთახში შეიპარა, თავები ჩაქუჩით დაუხეთქა და ყელი გამოსჭრა 14 წლის ყმაწვილსა და მის 12 წლის ძმას. შემდეგ დანაშაულის ჩადენის ადგილიდან გაიქცა და საკუთარი დედის სახლს თავი შეაფარა.

შტატის პროკურორმა აღიარა, რომ ასეთი მხეცური მკვლელობა მის 40-წლიან პრაქტიკაში პირველი შემთხვევა იყო.

გამოძიების დასკვნის მიხედვით, ამერიკელს ბავშვების დახოცვის არავითარი მოტივი არ ჰქონდა. ვარაუდობენ, რომ დანაშაულის ჩადენის წინ ეს ნაკაცარი ნარკოტიკით იყო გაბრუებული. ქონებრივი დანაშაულის ჩადენისთვის იგი ადრეც ყოფილა გასამართლებული, მაგრამ ძალადობაში არასოდეს შეუმჩნევიათ. მაგრამ „ეს იყო“ დღეს არაფერს ნიშნავს და არც გასამართლებელ საბუთად გამოდგება, ამიტომ სასამართლო პროცესის დროს უილსონის სასჯელად სასიკვდილო განაჩენსაც განიხილავდნენ.

რით დამთავრდა ეს გახმაურებული პროცესი, ჯერჯერობით უცნობია. სხვათა შორის, არც სხვა საზარელი მკვლელობის სასამართლო პროცესის შესახებ ქვეყნდება ინფორმაცია, რომელზეც განიხილებოდა ბრიტანელი დედაკაცის მიერ თავისი ორი შვილის მკვლელობის საქმე. ორი ხომ მოკლა, დანარჩენი ოთხის მკვლელობასაც ამზადებდა.

ნიშანდობლივია, რომ ამ ქალმა ეს ბავშვები თავისი დედინაცვლის შვილისგან გააჩინა.

ასეთი ზნეობა სჭირთ!

## «ჰარი პოტერის» ორსულმა ვარსკვლავმა აღიარა, რომ იგი 14 წლისა გააუპატიურეს

**33 წლის მსახიობმა ჯესი ქეივმა, რომელმაც „ჰარი პოტერში“ ლავანდა ბრაუნის როლი ითამაშა, აამოქმედა პოდკასტი (აუდიო იუთუბი, რეგულარული პროგრამები, სერიალები ან ბლოგები, რომელთა გადაწერა ან მოსმენა შეიძლება ონლაინ.**

ტერმინი მოიგონეს 2004 წელს. „ჩვენ ამაზე ლაპარაკი დღესვე არ შეგვიძლია“, რომელშიც თავის დასთან საუბარში სენსაციური ფაქტის შესახებ ილაპარაკა. მან განაცხადა, რომ გადაიტანა „სხვა სექსუალური გამოცდილება“: 14 წლისა იყო, როცა ჩოგბურთის მწვრთნელმა გააუპატიურა.

**„14 წლის ასაკში რომ გაგაუპატიურებენ, საშინელებაა. მით უფრო, თუ ამის ჩამდენი ჩოგბურთში შენი მწვრთნელია, რომელსაც ენდობი. მე მას ვემორჩილებოდი. კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი და საუკეთესოდ ვფლობდი ჩოგანს. მე გამომიყენეს. იგი ციხეში მიაბრძანეს“.**

მსახიობმა განაცხადა, რომ თავს გადამხდარი ამბის შედეგებს დღესაც, მრავალი წლის გასვლის შემდეგაც ვერ ივიწყებს, მაგრამ მოხარულია, რომ ეყო ძალა, არ გადამტყდარიყო, არ დაეკარგა ცხოვრების მიზანი და ოჯახიც შეექმნა.





ამჟამად ჯესი და მისი ქმარი მესამე ბავშვს ელოდებიან, — წერს Mirror. ისინი უკვე ზრდიან ორ შვილს — ბიჭსა და გოგონას.

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბევრს წყალს ჩაუვლია ქვეყანაზედ, მაგრამ, გვგონია, ადამიანს ბევრჯელ არ ენახოს ამისთანა გამოურკვეველი ყოფა... ერთობ გულდაწყვეტილია ყველა, ძალღონემიხდილია, მოდუნებული. ჰაერი გარშემო დახშულია, ადამიანს სული უგუბდება, სული გვამში ველარ მოუტრიალებია, სულით და გულით დახუთულია, გონებით დალაბრებული, გრძნობით მიცვეთილი“.

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «თითქო მთელს აგებულებაში ტყვია ჩაუსხამთო, ისე დამძიმებული, გულდაწყვეტილია დღეს ადამიანი»

## «საყოველთაო სატკივარი დღევანდელის დღისა»

სათაურად ილიას ამ სიტყვების გამოტანა წინასაარჩევნოდ ქვეყანაში შექმნილმა სიტუაციამ მაფიქრებინა. მართლაც რომ გენიოსია წმინდა ილია მართალი — როდესაც საზოგადოების, ხალხის კეთილდღეობაზე საუბრობს, კაცთა შორის უფლება-მოვალეობების განსაზღვრაზე ამახვილებს ყურადღებას; მიაჩნია, რომ „ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინცდამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ“ *(ცხოვრება და კანონი, წერილი პირველი, 1877-1881 წელი).*

**დღეს წინასაარჩევნო ორომტრიალში არავინ ფიქრობს, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა რომ არის სწორედ უპირველესი საზრუნავი და არა შთამბეჭდავი დაპირებების გაცემა, რომელთაც შესრულება არ უწერია. საკვირველიც სწორედ ის არის, რომ ეს სიცრუის გზა უკვე არაერთხელ გავლილი აქვთ ამომრჩეველსაც და ასარჩევებსაც, მაგრამ ეს უკანასკნელნი მაინც ამ გზის იმედად არიან. მრავალჯერ მოტყუებული ქართველი კაცი კი, „თითქო მთელს აგებულებაში ტყვია ჩაუსხამთო“, გულდამძიმებული და გულდაწყვეტილია. ილიას სიტყვებით თუ ვიტყვით, „გვიჭყეტია თვალები და თავ-გაბრუებულები შევყურებთ ხვალინდელს დღესა. რა იმედით? რა ნუგეშით? არვინ იცის. ეს კი ვიცით ყველამ, რომ გუშინდელი ყველას მოსწყინდა, დღევანდელი ყველას შესძაგდა, და, თუ დაგვრჩა რამე ნიშნად სიცოცხლისა, სულდგმულობისა, — ეგ ხვალინდელის ლოდინია“.**

**მაგრამ როგორი იქნება ეს ხვალინდელი დღე?**

„ბევრს წყალს ჩაუვლია ქვეყანაზედ, მაგრამ, გვგონია, ადამიანს ბევრჯელ არ ენახოს ამისთანა გამოურკვეველი ყოფა... ერთობ გულდაწყვეტილია ყველა, ძალღონემიხდილია, მოდუნებული. ჰაერი გარშემო დახშულია, ადამიანს სული უგუბდება, სული გვამში ველარ მოუტრიალებია, სულით და გულით დახუთულია, გონებით დალაბრებული, გრძნობით მიცვეთილი. თითქო მთელს აგებულებაში ტყვია ჩაუსხამთო, ისე დამძიმებული, გულდაწყვეტილია დღეს ადამიანი. ადამიანს რალაცა ჰწყურიან, რალაცა ჰშიან, რალაცას ეტანება მთელის თავის არსებითა, მაგრამ... მისაწვდომს ვერ მისწვდომია. **გვიჭყეტია თვალები და თავ-გაბრუებულები შევყურებთ ხვალინდელს დღესა. რა იმედით? რა ნუგეშით? არვინ იცის. ეს კი ვიცით ყველამ, რომ გუშინდელი ყველას მოსწყინდა, დღევანდელი ყველას შესძაგდა, და თუ დაგვრჩა რამე ნიშნად სიცოცხლისა, სულდგმულობისა, — ეგ ხვალინდელის ლოდინია**. გული ნდომით დამძიმებულია და სული მაგ ლოდინითა.

სულ ველით, რაღაცას ველით გამსუნაგებით, მაგრამ ლოდინი ლოდინად გვრჩება. ეგ ლოდინია საყოველთაო სატკივარი დღევანდელის დღისა, ეგ ლოდინია ის ახალი სენი, რომელიც დიდსა თუ პატარას დღეს აგებულებაში ჩასდგომია და რომელიც ყოველს საქმეში, ყოველ შემთხვევაში გვათქმევინებს ხოლმე: ვინ იცის, ხვალ რა იქნებაო. **ეგ ლოდინი ისე არავის სულს არ უხუთავს, როგორც იმას, ვისაც გული სხვისთვისაც ისე უცემს, როგორც თავისთვის, ვისაც სხვისი ბედი თავის ბედთან შეუერთებია, ვისაც „მე და ჩვენ“ განუყოფელად მიაჩნია, ერთ-არსებად ურწმენია, ერთის სიტყვით — ვინც მამულისშვილობის სახელის ღირსი შექმნილა...**

სული დრტვინავს, გული ჰკვნესის ამაო ლოდინის გამო. შესვა, შეჰლია მაგ ლოდინმა მთელი ჩვენი მხნეობა, ქანცი გაგვიწყდა, და — აჰა! თუ ამ დაუსრულებელს სიბნელეში ერთი მცირედი რამ შუქი აღმოჩნდეს ადამიანის ნუგეშად!... საშინელი ყოფაა ეს ყოფა ადამიანისათვის. ეგ საშინელება თითქო დაუსრულებელიაო...“ (*1881 წელი, სექტემბერი. X შინაური მიმოხილვა).*

1897 წელს ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე ილიამ საგაზეთო შენიშვნები გააკეთა და „ივერიაში“ ეს წინასაარჩევნო მიმართვა გამოაქვეყნა, რომელზეც ჩვენ ადრეც გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ ურიგო არ იქნება, წინასაარჩევნო პერიოდში კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ერის მამას და მისი რჩევები გავითვალისწინოთ. იქნებ სწორედ ამ პუბლიკაციებშია ის მცირედი შუქი, რომელიც ამ დაუსრულებელ სიბნელეს გაარღვევს და სწორ გზას დაგვანახვებს; იმ მთავარ კითხვაზე პასუხს გვაპოვნინებს, მივიდეთ არჩევნებზე თუ არა, რადგან დღეს ბევრისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ხელისუფლებაში — ხალხს „მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ძაღლი“. ილიას წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ოპტიმიზმითაა განმსჭვალული:

„ხვალ, 18 მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღეა იმისი თუ, ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულისტკივილითა და გულმოდგინებით ჩვენის კეთილდღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის.

**აქამდე თუ ხმოსნების ამორჩევას საბჭოსათვის ყურს არ ვათხოვებდით და გულგრილად ვეკიდებოდით, დიდი შეცოდება იყო ჩვენ მიერ ტფილისისა და მისთა მკვიდრთა წინაშე. ახლა სულ სხვა დროა. ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანი, ვინც აქა ვშობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ, რა მილეთისაც გინდ იყოს კაცი, მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთნაირის გულისცემითა, ერთნაირის ნატვრითა, რომ ჩვენი დედაქალაქი გამოკეთდეს, გამოფაქიზდეს, მოჯობინდეს, მოჯამრთელდეს.** ღმერთმა არა დაიშურა რა ჩვენის დედაქალაქისათვის. ჰაერი, წყალი, ადგილი ყველაფერი, რითაც ბუნება მოსაწონებლად ჰქმნის ადამიანის საცხოვრებელს, იმოდენად კარგი გვაქვს, რომ ბევრი უცხოელი შემოგვნატრის. თუ რამ ცუდია აქ, და ბევრი რამაც არის ცუდი, სულ იმისი ბრალია, რომ დედაქალაქს შვილობას არ ვუწევთ, გულდადებით არ ვექცევით, სიყვარულით, სიყვარულით არ ვპატრონობთ.

**კანონმა ნება მოგვცა ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილუბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკეთილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღედადღე ემატებოდეს ჩვენს მშობელს ქალაქსა.**

ყველამ ერთად რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვიწესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო. და აი ხვალ ამისი განკითხვაა. რომ ჩაუფიქრდეთ, თქვენვე იტყვით ჩვენთან ერთად, რომ ეს სახუმარი საქმე არ არის. **ერთი გულმრუდობით აქეთ თუ იქით წასული კენჭი შემძლებელია, იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თვითონ, თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლ-შვილი თავსა და პირს იხოკდეს, ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმედელნი და დამღუპავნიო? იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ, ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა.**

**იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივრობა სულელობად არ მიაჩნია.**

**თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენის ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენს მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა.**

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, და რაც მდიდარს დააკლეს, ღარიბს არ ახდევინონ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტლაპოებისაგან არა ჰყარდეს და მარტო მდიდართა ქუჩები არა ჰლაპლაპებდეს სიფაქიზითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაგი, საჭმელ-სასმელი ქალაქის ბაზარში კარგი და სალი იყოს და თქვენ არ გახდენდნენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არა ჰხდიდნენ და ამით თქვენ და თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილუბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედაქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ▶




**დღეს წინასაარჩევნო ორომტრიალში არავინ ფიქრობს, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა რომ არის სწორედ უპირველესი საზრუნავი და არა შთამბეჭდავი დაპირებების გაცემა, რომელთაც შესრულება არ უწერია. საკვირველიც სწორედ ის არის, რომ ეს სიცრუის გზა უკვე არაერთხელ გავლილი აქვთ ამომრჩეველსაც და ასარჩევებსაც, მაგრამ ეს უკანასკნელნი მაინც ამ გზის იმედად არიან. მრავალჯერ მოტყუებული ქართველი კაცი კი, «თითქო მთელს აგებულებაში ტყვია ჩაუსხამთო», გულდამძიმებული და გულდაწყვეტილია**



**«იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივრობა სულელობად არ მიაჩნია. თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენის ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენს მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა»**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ეგ ლოდინი ისე არავის სულს არ უხუთავს, როგორც იმას, ვისაც გული სხვისთვისაც ისე უცემს, როგორც თავისთვის, ვისაც სხვისი ბედი თავის ბედთან შეუერთებია, ვისაც „მე და ჩვენ“ განუყოფელად მიაჩნია, ერთ-არსებად ურწმენია, ერთის სიტყვით — ვინც მამულისშვილობის სახელის ღირსი შექმნილა...“

◀ ოჯახს, თქვენს წვრილშვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც, რაც შეიძლება იეფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ რაკი ხორაგს თუ სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახათრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს წვრილშვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითქმის ორ მილიონამდე ყოველწლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იქსაქსებოდეს გულდაუდებლობით და უთავდარიგობითა.

ერთის სიტყვით, ბევრი სხვაც არის, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ესეც საკმაოა, თუ ღმერთმა გვაგონა, და ამაებს მაინც ხვალ შესაფერი კაცები ამოვურჩიეთ.

ამიტომა ვთქვით ზევით, რომ ხვალინდელი დღე სახუმარი დღე არ არის. სიმძიმე და სიდიდე იმ მოვალეობისა, რომელსაც ხვალ კისრად ვღებულობთ და ასე თუ ისე ავასრულებთ, წინ უნდა წაიმძღვაროს ყველამ და ისე მივიდეს კენჭის მისაცემად. აქ ვინც უმტყუვნებს და უღალატებს იმას, რასაც სინიდისი, ნამუსი, კაცური კაცობა ამხელს, იგი უმტყუვნებს, იგი უღალატებს თავის თავს, თავის ცოლ-შვილის, ოჯახის ბედნიერებას და კეთილდღეობას.

**ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელს ქალაქსა.**

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანის დიდს საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინიდისი არ გეუბნებათ“ *(ივერია № 94, გვ. 1-2. 16 მაისი, 1897 წ.).*

ილიას ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც ის, რომ ზოგიერთი დეპუტატობის კანდიდატი და მისი მომხრეები მიზნის მისაღწევად უკადრისად იქცევიან. „ჩვენ გვინდა, — წერდა იგი, — ორიოდე სიტყვა ვთქვათ მხოლოდ ამ საშუალებებზე და ღონისძიებაზე, რომელითაც ერთი ამ კანდიდატის მომხრეთაგანი ცდილობენ თავის მიზნის შესრულებას, თავის კანდიდატის გაყვანას.

ყველაზედ პირველად იმათი მოქმედება უკანასკნელს, პირველ ხარისხის ხმოსანთა ხელმეორედ არჩევანის დროს აღმოჩნდა. **ამ არჩევანის დროს იმათ დაივიწყეს უპირველესი საფუძველი ყოველ ამგვარ არჩევანისა: გამოსადეგნი, სასარგებლო იქნებოდნენ ქალაქისათვის ის პირნი, რომელთაც ისინი ხმოსნებად არჩევდნენ, თუ არა.** ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ იმით ხელმძღვანელობდნენ: მომხრე იქნებოდა ხმოსნად ამოსარჩევი პირი იმათის კანდიდატისა — თუ არა. თუ მომხრე იყო, თეთრს უგდებდნენ, თუ მოწინააღმდეგე — აშავებდნენ. ვის ჰქონდა მხედველობაში ქალაქის ინტერესი, პატიოსნად და ღირსეულად აღსრულების შეძლება კანდიდატისაგან თავის მძიმე მოვალეობისა?

აქედამ წარმოსდგა ის, რომ **ზოგიერთი ისეთი პირები იყვნენ ამორჩეულნი ამ კენჭისყრის დროს, რომელთაც საქალაქო კანონები თავის დღეში თვალითაც არ უნახავთ, რომელთაც ქალაქის ინტერესი და სარგებლობა ფეხზედ ჰკიდიათ“**.

მსგავსი ვითარება არა ერთხელ ვიხილეთ ადრეც და ამ ბოლო პარლამენტშიაც — შესაძლოა, ამ დეპუტატებს ქვეყნის ბედი ფეხებზე არ ეკიდა, მაგრამ არც ცოდნა და არც უნარი საშუალებას არ აძლევდათ თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად.

„ამას გარდა, რა არის ეს ჩუმ-ჩუმად დაძრომა მაღაზიებში და სახლებში, და რაღაც ქაღალდზე ხელისმოწერის მოგროვება? განა ქვეყანამ არ იცის — როგორ აწერინებენ ხოლმე ხელს უმეცარ ხალხს მაგგვარ ქაღალდებზე? რომ, თუნდაც ოცი-ათას კაცს მოაწერინოთ ხელი, ეგ საზოგადო აზრს არ შეადგენს და ქალაქის ხალხის სურვილს ვერ გამოხატავს?

რა მნიშვნელობა აქვს ამ სხვადასხვა დეპუტაციებს, რომელთაც დაათრევთ აქეთ-იქით, ხან ერთს მიუგზავნით და ხან მეორეს?

ის ფუჭი დაპირება რაღაა, რომელსაც ასე გულუხვად არიგებთ?“

მსგავსი ქმედება და მათგან გამომდინარე ეს კითხვები დღევანდელობაზე ისეა მორგებული, რომ, შეიძლება კაცს ეჭვიც კი შეეპაროს, ისინი საუკუნეზე მეტი ხნის წინათ რომ წამოიჭრა.

„ამ გვარის საშუალებით გინდათ, ქალაქის რჩევის ხმოსანთა ძალა დაატანოთ და უეჭველად გინდათ ზნეობითი ზედმოქმედება იქონიოთ ზოგიერთ სუსტ და გზაგაუკვლეველ ხმოსნებზედ და იმათი ხმა თქვენის კანდიდატისათვის შეიძინოთ?“

ილია დარწმუნებულია, რომ „ეს შემცდარი ანგარიშია“; რომ ამომრჩეველი „მაგით არ შეშინდება, მაგას არ მოერიდება და თავისუფლად გამოსთქვამს თავის აზრს“...

ილიას აზრით, საზოგადო საქმის სასიკეთოდ გარჯისთვის მზად მყოფი კანდიდატი თავისი კეთილშობილური მიზნის მისაღწევად კეთილშობილურ გზას აირჩევს და ფუჭი იმედებით თვალში ნაცარს არ შეაყრის მშობელ ხალხს:

**„თუ ესენი კარგის განზრახვით მოქმედებენ, თუ მხოლოდ საზოგადო სარგებლობა აქვთ მხედველობაში, რატომ, თავის კეთილშობილურ აზრის განსახორციელებლად, კეთილშობილურ საშუალებასაც არ ხმარობენ? რატომ პირდაპირ, აშკარად, საქვეყნოდ არ გამოდიან და არ აღიარებენ — ჩვენ ეს გვსურს და გვსურს იმიტომ, რომ ამა და ამ მხრით, ამა და ამ საბუთით ეს ემჯობინებაო? ქვეშ-ქვეშ, მალულად, თეატრალურ დეპუტაციებით და ფუჭ იმედების ჩაჩურჩულებით რად მოქმედებენ?“**

> **«გვიჭყეტია თვალები და თავ-გაბრუებულები შევყურებთ ხვალინდელს დღესა. რა იმედით? რა ნუგეშით? არვინ იცის. ეს კი ვიცით ყველამ, რომ გუშინდელი ყველას მოსწყინდა, დღევანდელი ყველას შესძაგდა, და თუ დაგვრჩა რამე ნიშნად სიცოცხლისა, სულდგმულობისა, — ეგ ხვალინდელის ლოდინია. გული წდომით დამძიმებულია და სული მაგ ლოდინითა»**






> **«ერთი გულმრუდობით აქეთ თუ იქით წასული კენჭი შემძლებელია, იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თვითონ, თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლ-შვილი თავსა და პირს იხოკდეს, ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმედელნი და დამღუპავნიო? იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ, ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა»**



> **«ამ უნუგეშო ყოფას ხშირად ჩავუფიქრებივართ ჩვენ და ხშირად მოგვწყურებია გამორკვევა მიზეზისა, უფრო იმიტომ, რომ ეს არევ-დარევა აზრებისა, ეს გაურჩევლობა ტყუილისა და მართლისა, ბოროტისა და კეთილისა, არსად სხვაგან ისეთის თავმომწონეებით არ გათამამებულა, არ გაკადნიერებულა, როგორც ჩვენში»**

თუ ისევ ილიას დავესესხებით, **„ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართულები მოეშალა, ან ღერძი გაუბრუნდაო. სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ვეღარავის გაურჩევია, ქვენაგრძნობანი ზენა-გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა — თავანკარად. თითქო ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა.**

**ყველანი ვხედავთ ამას, ყველას თვალ-წინ ათასი ამისი მაგალითი გვიდგა და ყველანი ვიშვნევთ და ვიწყნარებთ ამისთანა ყოფას, თითქო ამითი არავითარი რიგი ურთიერთობისა არ ირღვეოდეს, თითქო ამ არევ-დარევაში, ამ გაურჩევლობაში ვპოულობდეთ მაგარ ტვინს, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენის ბედნიერების ციხე-სიმაგრე. თითქო კეთილს, მართალს, მადლს უღონობა შეაჩნდათ, და ამის გამო ბოროტს, ტყუილს და ცოდვას-ღა მივენდენით სრულის იმედით, რომ იგი ჰქმნან კაცის ბედნიერებისათვის, რაც კეთილმა, მადლმა და მართალმა ვერ შეძლეს.**

**ამ უნუგეშო ყოფას ხშირად ჩავუფიქრებივართ ჩვენ და ხშირად მოგვწყურებია გამორკვევა მიზეზისა, უფრო იმიტომ, რომ ეს არევ-დარევა აზრებისა, ეს გაურჩევლობა ტყუილისა და მართლისა, ბოროტისა და კეთილისა, არსად სხვაგან ისეთის თავმომწონებით არ გათამამებულა, არ გაკადნიერებულა, როგორც ჩვენში.** ეს ადვილი მისახვედრიც არის:

სულელობას, ოღონდ მეცნიერების სახელით-კი გამოვიდეს მოედანზედ და ლიბერალობა მოეწეროს ქვეშ, არსად იმისთანა უვიცობის ხნული არ დახვდება ფესვის მოსაკიდებლად, როგორც ჩვენში. საცა ჭკუა და გული ადამიანისა დღეს-აქამომდე სხვისის ნასუფრალით იკვებება აუწონ-დაუწონველად.

**ჩვენში, გაიგებენ თუ არა ალია მომკვდარაო, იმას აღარ დაეძებენ, მართლა მომკვდარა თუ არა, და თუ მომკვდარა, რომელი ალიაა. საკმაოა მხოლოდ ყური მოჰკრან ჰოსა თუ არას, და გათავდა საქმე, ყოველს სასაცილობას წამოიყრანტალებენ, გამოუძიებლად, საბუთის უკითხველად, ნამეტნავად მაშინ, თუ ყურში წასჩურჩულეთ, რომ ეს უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა, ახალი მოძღვრებაა, ახალი მიმართულება და უეჭველი ნიშანია ლიბერალობისა“** *(უარმყოფელობა ჩვენში, 1888 წელი).*

პოლიტ-განათლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უმცირესობათა ავტონომიისთვის მოძრაობას აქვს დიდი „სახურავი“ და ძლიერი მხარდაჭერა, რაც უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ევროპის სახელმწიფოების ეთნორეგიონებად დანაწევრების პროცესი, რომელიც კარგად არის მართული და კოორდინირებული, გაგრძელდება და გამოიწვევს დესტაბილიზაციას, ლოკალურ კონფლიქტებს, საჭიროების შემთხვევაში — ქაოსს.**

# ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია

## გეგმები, მექანიზმები, შედეგები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №25, 26, 28-31, 2020 წ.

**ევროკავშირის ორმა დოკუმენტმა — „რეგიონული ენებისა და უმცირესობათა ენების“ ქარტიამ (1992) და „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციამ“ (1994) სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა „ახალი ეროვნული წესრიგის“ გერმანულ ვარიანტს.**

ორივე დოკუმენტი ეთნიკური ფედერალიზაციის პირობებს ქმნის იმით, რომ სახელმწიფოებს ავალდებულებს, არა მხოლოდ შეუწყონ ხელი უმცირესობებს თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, არამედ, ამასთანავე, გადაწყვიტონ რეგიონული ენების გამოყენება მოღვაწეობის ყველა სფეროში — განათლებაში, მმართველობაში, იურიდიულ, ადმინისტრაციულ, სოციალურ-ეკონომიკურ, აგრეთვე, საფინანსო და საბანკო რეგლამენტაციის სფეროებში.

ორგანიზაცია ФСЭМ აერთიანებს სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს, როგორც მსხვილი ეთნოსებისა, რომლებსაც თავიანთი სახელმწიფოებრიობა გააჩნიათ, მაგრამ, როგორც უმცირესობები ცხოვრობენ სხვა ტერიტორიებზე; ასევე, უკიდურესად მცირერიცხოვან ეთნოსებს, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოებრიობა არასოდეს ჰქონიათ. კავშირის წევრები არიან, მაგალითად, გერმანელები საქართველოში.

კავშირის ამოცანაა, მდგომარეობით ერთმანეთისგან განსხვავებული ეთნიკური გაერთიანებების უნიფიცირება და მოთხოვნათა ინტერნაციონალიზება. მათ მხარი უნდა დაუჭირონ იდენტურ მდგომარეობას და, ამასთანავე, დაიცვან თავიანთი განსხვავებულობის უფლება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში სრულად იგნორირებულია ის, რომ **ზოგიერთი უმცირესობა აბსოლუტურად მზად არ არის ავტონომიის არც ერთი ფორმისთვის, რაც, პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, ამჟღავნებს, რომ ეს საქმიანობა დაკვეთილი ხასიათისაა.**

**მით უფრო, რომ, რაც დრო გადის, მოთხოვნები სულ უფრო კატეგორიულ ხასიათს იძენს. მაგალითად, იმ ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემების გადაწყვეტისას, რომელთაც სახელმწიფოებრიობა არ აქვთ, ევროკავშირი უნდა დაეყრდნოს არა ინდივიდის უფლებებს, არამედ უმცირესობათა და გაერთიანებების კოლექტიურ უფლებებს.**

რადიკალური მოთხოვნებით გამოირჩევა აღნიშნულ კავშირთან მჭიდროდ დაკავშირებული ორგანიზაცია — ევროპარლამენტის დეპუტატთა პოლიტიკური ჯგუფი „მწვანეები — ევროპის თავისუფალი ალიანსი“. იგივე ჯგუფი დაკავებულია ეთნორეგიონალიზმის იდეოლოგთა საქმიანობის პოპულარიზებითა და მათი გეგმების პროპაგანდით.

ალიანსის გეგმების შესახებ ყველაზე უკეთ ლაპარაკობს მისი მონაწილეობითა და ევროპარლამენტის ფინანსური მხარდაჭერით 2004 წელს შედგენილი ევროპის ეთნიკურ წარმონაქმნთა რუკა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოუდგენიათ ამ ორგანიზაციებს ევროპის მომავალი. ამ რუკის მიხედვით, ევროპის ყველა სახელმწიფო ევრორეგიონებად არის დაყოფილი (საფრანგეთი, მაგალითად, წარმოდგენილია, როგორც ოქსიტანია, ბრეტანი, ელზასლოტარინგია) და მხოლოდ გერმანიაა ერთიანი, საზღვრებგაფართოებულიც კი, შვეიცარიისა და ავსტრიის ტერიტორიების ხარჯზე. ამასთან, გამოყოფილია არა მხოლოდ ეთნორეგიონები, არამედ „ისტორიული ოლქებიც“, როგორებიცაა სილეზია პოლონეთში და მორავია ჩეხეთში.

„მწვანეებს“ მხარში უდგას უამრავი ინსტიტუტი, რომლებიც უზრუნველყოფს შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელებას ყველა ავტონომიური მოძრაობის მიერ, მათ შორის: უმცირესობათა შთამომავლობის დაცვის, იშვიათი ენების მხარდაჭერის ევროპული ბიურო, ევროპულ უმცირესობათა ფედერალური კავშირი, ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაცია, ხალხთა ევროპული ინსტიტუტი და ა.შ.

ბოზენის აკადემიასა და სოროსის ინსტიტუტთან ერთად ევროპის კომისიამ შექმნა კიდევ ერთი სტრუქტურა, რომელიც მუშაობს ადგილობრივი სპეციფიკისა და ეთნიკური თავისებურებების წასახალისებლად — „ევროპის კულტურისა და ეთნიკური მრავალგვარობის გამდიდრების პლატფორმა“. მის საქმიანობაზე ძლიერ მოქმედებს ინგლისურ-ამერიკული გავლენა, უმცირესობათა საერთაშორისო ჯგუფი შტაბ-ბინით ლონდონში და ამერიკული „პროექტი ეთნიკურ ურთიერთობათა საკითხებზე“. ამ უკანასკნელს ზურგს უმაგრებენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და ცნობილი გლობალისტური ორგანიზაციები — **კარნეგის ფონდი, ძმები როკფელერების ფონდი, ფორდის ფონდი, მარშალის ფონდი** და სხვ.

ამ იდეაზე მუშაობს ევროპის სხვადასხვა რეგიონის უამრავი სპეციალური ცენტრი, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან ბიზნესისა და ნაციონალისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები, კვლევითი ჯგუფები. მაგალითად, შვეიცარიაში მოქმედებს ლოკარნოს ინსტიტუტი, რომელიც სტრატეგიულ პროექტებზე სამუშაოდ იწვევს მკვლევარებს, მასწავლებლებს, საწარმოების ხელმძღვანელებს, მარკეტინგის სპეციალისტებს და ევროპის უშიშროების ექსპერტებს. ევროპული საზოგადოებრიობის გასათვითცნობიერებლად, თუ რა კეთდება ეთნოსების უფლებათა დასაცავად, 1999 წელს შეიქმნა სპეციალური საიტი ევროუმცირესობებისთვის.

ამრიგად, **უმცირესობათა ავტონომიისთვის მოძრაობას აქვს დიდი „სახურავი“ და ძლიერი მხარდაჭერა, რაც უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ევროპის სახელმწიფოების ეთნორეგიონებად დანაწევრების პროცესი, რომელიც კარგად არის მართული და კოორდინირებული, გაგრძელდება და გამოიწვევს დესტაბილიზაციას, ლოკალურ კონფლიქტებს, საჭიროების შემთხვევაში — ქაოსს. მთავარი ფსონი დადებულია ახალი, ზესახელმწიფოებრივი ქსელური ტიპის თანამშრომლობაზე, რომელიც გზას უხსნის გერმანული კაპიტალის ექსპანსიას. მას ეძლევა საშუალება, ცივილიზებულად და ჩუმად, მაგრამ, ამასთანავე, დაჟინებით შეიჭრას მეზობელი სახელმწიფოების განვითარების უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ სფეროებში და სულ უფრო მეტად დაუქვემდებაროს გერმანიის ინტერესებს.**



**ამჟამად, ისევე, როგორც ნაცისტური რეჟიმის დროს, გერმანიის გეოპოლიტიკა ტრანსნაციონალური ელიტების სიღრმისეული ინტერესების გამტარებელია. გერმანიის მმართველი წრეების საშუალებით ხორციელდება გლობალური მსოფლიო ბაზრისთვის სივრცის გაწმენდა, რომელშიც ევროკავშირი მსოფლიო არქიტექტურის ერთ-ერთ ბურჯად იქნება წარმოდგენილი**

ამჟამად, ისევე, როგორც ნაცისტური რეჟიმის დროს, გერმანიის გეოპოლიტიკა ტრანსნაციონალური ელიტების სიღრმისეული ინტერესების გამტარებელია. გერმანიის მმართველი წრეების საშუალებით ხორციელდება გლობალური მსოფლიო ბაზრისთვის სივრცის გაწმენდა, რომელშიც ევროკავშირი მსოფლიო არქიტექტურის ერთ-ერთ ბურჯად იქნება წარმოდგენილი.

### 8. დემოგრაფიული რევოლუცია: მიგრანტების ერი „ევროპული ერების“ ნაცვლად

**„მომავალი ევრაზიულ-ნეგროიდული რასა, რომელიც გარეგნულად ძველეგვიპტურს ემსგავსება, ხალხების მრავალფეროვნებას პიროვნებათა მრავალფეროვნებით შეცვლის“. კუდენჰოვე-კალერგი**

გეოპოლიტიკურ რევოლუციას ევროპაში თან სდევს არცთუ უხმაურო რევოლუცია დემოგრაფიის სფეროში, რომელსაც ბევრი მკვლევარი „დემოგრაფიულ კატასტროფას“ უწოდებს.

ბოლო პერიოდში ევროპის დემოგრაფიული წონის შედარებითი შემსუბუქება მსოფლიოში აბსოლუტური გახდა. რეგიონმა შეწყვიტა თავისი მოსახლეობის კვლავწარმოება შობადობის უკიდურესად დაბალი დონის გამო. **შობადობის საშუალო მონაცემი ამჟამად შეადგენს 1,5-ს, მაშინ, როცა მოსახლეობის არსებული რაოდენობის შესანარჩუნებლად, მინიმუმ, 2,1-ია საჭირო. დემოგრაფები მიგვითითებენ, რომ ეს არა მხოლოდ მოსახლეობის ნამატის ნულოვანი მაჩვენებელია, არამედ უკვე ნულოვანი მოსახლეობაა.**

განსაკუთრებით სერიოზული ვითარებაა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ლატვიაში, უნგრეთში, პორტუგალიასა და გერმანიაში. იმ ქვეყნებში, რომლებშიც შობადობის დონე შედარებით მაღალია (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვედეთი), ზრდა მუსლიმთა ხარჯზეა უზრუნველყოფილი.

**ა. რარიმ,** რუსეთისა და დსთ-ის საგარეო პოლიტიკის გერმანული საბჭოს განყოფილების გამგემ, ამ საკითხზე გარკვევით განაცხადა: „ჩვენ გზის გასაყარზე ვდგავართ და ძნელია იმის თქმა, სად მივალთ... შეიძლება ითქვას, რომ „თეთრი რასა“ გადაშენდება... საჯაროდ ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით რთულია, რადგან არის ელექტორატი“.

**ევროპის საბჭოს დემოგრაფიის კომისიის მონაცემებით, თუ 1960 წელს ევროპული წარმოშობის ადამიანები მსოფლიო მოსახლეობის 25 პროცენტს შეადგენდნენ, 2000 წელს — 17 პროცენტს, 40 წლის შემდეგ 10 პროცენტზე ნაკლები იქნებიან.**

**2000 წელს ევროპის მოსახლეობა 728 მილიონს ითვლიდა, 2050 წლისთვის, შობადობის მიმდინარე დონის შენარჩუნების შემთხვევაში და იმიგრაციის ჩაუთვლელად, 600 მილიონი იქნება. ევროპა იმ დროისთვის დაკარგავს იმდენ მცხოვრებს, რამდენიც დღეს, ერთად აღებული, ცხოვრობს გერმანიაში, პოლონეთში, დანიაში, ნორვეგიაში, შვედეთსა და ფინეთში.** ბოლოჯერ ევროპის მოსახლეობის ასეთი დიდი შემცირება შავი ჭირის ეპიდემიის დროს, 1347-1352 წლებში, შეიმჩნეოდა. განსაკუთრებით სერიოზული ვითარებაა გერმანიაში, რომლის მოსახლეობა 2050 წლისთვის 82 მილიონიდან, შეიძლება, 59 მილიონამდე შემცირდეს.

შესაბამისად, იცვლება მოსახლეობის ასაკოვანი სტრუქტურა. **2003 წლიდან 2011 წლამდე მნიშვნელოვნად დაჩქარდა მოსახლეობის დაბერების პროცესი. 40 წლის შემდეგ 15 წლამდე ბავშვების რაოდენობა 40 პროცენტით შემცირდება (ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში ყოველი მეათე 80 წლის იქნება), მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენს 60 წლის ადამიანები. ახალგაზრდა და საშუალო ასაკის შეფარდება ხანდაზმულებთან იქნება 2:1.**

მიმდინარე ცვლილებები საეჭვოს ხდის, რომ ევროსაბჭო შეძლებს, შეინარჩუნოს არსებული სოციალური მთლიანობა. იმის გამო, რომ ბავშვების რაოდენობა უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა და გაჩნდება მუშახელის კატასტროფული დეფიციტი, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება თვით სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. სანამ ევროპაში ჯერ კიდევ მუშაობს მეორე მსოფლიო ომისშემდგომი შობადობის ბუმის პერიოდში დაბადებული მრავალრიცხოვანი თაობები, მაღალი სოციალური სტანდარტების შენარჩუნება ჯერ კიდევ იქნება შესაძლებელი, მაგრამ, როდესაც ისინი პენსიაზე გავლენ, ვითარება ძირფესვიანად შეიცვლება, რადგან შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება კატასტროფული გახდება. ამით აიხსნება ევროპელი პოლიტიკოსების თავგამოდებული მცდელობა, გაზარდონ საპენსიო ასაკი, გადახედონ ინვალიდებისა და პენსიონერების უზრუნველყოფის სქემებს, ეგებ რამენაირად მაქსიმალურად შესაძლო ვადით გადასწიონ მაღალი დონის სტანდარტებისა და მოხმარების ვარდნის პერიოდი, რომელსაც უეჭველად მოჰყვება ამ ყველაფრის ჩამოშლა. ასეთ პირობებში მოსალოდნელი კრიზისის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ყალიბდება იმიგრანტების ნაკადის მოზღვავება.

მიგრაციის საკითხების საერთაშორისო ორგანიზაციის პრესმდივნის — **ჟან-ფილიპ შოზის** განცხადებით, „ლეგალური იმიგრანტების გარეშე ევროპელებს თავიანთი სამუშაო დღის გახანგრძლივება, უფრო სოლიდურ ასაკში პენსიაზე გასვლა მოუწევთ. უთუოდ დაკარგავენ სახელმწიფო პენსიის ნაწილს და უფასო სამედიცინო მომსახურებას; ასე მოხდება იმიტომ, რომ მომუშავეთა ნაკლები რაოდენობა გადაიხდის გადასახადებს და ნაკლებადვე შეეხიდება სოციალურ სისტემას“.

საფრანგეთის მთავრობის ერთ-ერთ საიდუმლო დოკუმენტში ჯერ კიდევ 2000 წელს მითითებული იყო, რომ ევროსაბჭოს არ აქვს 75 მილიონი მიგრანტის მოწვევ- ▶

# განსაკუთრებით სერიოზული ვითარებაა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ლატვიაში, უნგრეთში, პორტუგალიასა და გერმანიაში. იმ ქვეყნებში, რომლებშიც შობადობის დონე შედარებით მაღალია (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვედეთი), ზრდა მუსლიმთა ხარჯზეა უზრუნველყოფილი.

პოლიტ-განათლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ევროპის საბჭოს დემოგრაფიის კომისიის მონაცემებით, თუ 1960 წელს ევროპული წარმოშობის ადამიანები მსოფლიო მოსახლეობის 25 პროცენტს შეადგენდნენ, 2000 წელს — 17 პროცენტს, 40 წლის შემდეგ 10 პროცენტზე ნაკლები იქნებიან**



**მიგრაციული სიტუაცია ევროპაში უკიდურესად გამწვავდა იმის გამო, რომ მას დაემატა რელიგიური ფაქტორი. შედეგად, მიგრაცია და ისლამი გაერთიანდა ერთ პრობლემად, რომელიც შეუმჩნევლად მწიფდებოდა**



◀ ის ალტერნატივა. ამასთან, ფრანგი ექსპერტები აღიარებდნენ, როგორ პრობლემებს წარმოშობდა ასეთი კარგახსნილობა რასობრივად ჰიბრიდულ საზოგადოებაში.

**მიგრაციული სიტუაცია ევროპაში უკიდურესად გამწვავდა იმის გამო, რომ მას დაემატა რელიგიური ფაქტორი. შედეგად, მიგრაცია და ისლამი გაერთიანდა ერთ პრობლემად, რომელიც შეუმჩნევლად მწიფდებოდა.**

შრომითი მიგრაციის პირველი ტალღა ევროპას მიაწყდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1960-იან წლებში, როცა დაიწყო ჩასულთა დაბალკვალიფიციურ და დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე მიგრანტთა მიღება, იმიგრაცია ეკონომიკური განვითარების მუდმივ ფაქტორად ჩამოყალიბდა. რადგან იმიგრანტები მაშინ ინდივიდუალურად ჩადიოდნენ და არ აპირებდნენ იქ სამუდამოდ დასახლებას, ეს პროცესი შეშფოთებას არ იწვევდა, მაგრამ 1973-1974 წლების კრიზისის პირობებში ვითარება თანდათან შეცვალა და მიგრაცია სერიოზულ პრობლემად ჩამოყალიბდა, რომელსაც სპეციალური რეგულირება სჭირდებოდა.

**მიგრანტებისთვის გარკვეული შეზღუდვებისა და აკრძალვების დაწესებამ უბიძგა მათ, სამუშაო რომ არ დაეკარგათ, ადგილობრივ დამკვიდრებულიყვნენ, ჩამოეყვანათ ოჯახები და ახალ სამშობლოში დასახლებულიყვნენ. შედეგად, მიგრაციის შეზღუდვის პოლიტიკა ევროპაში მუსლიმანთა დაფუძნების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ჩამოყალიბდა.**

1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანების დასაწყისში ევროპაში მიგრანტების ახალი ნაკადი შემოვიდა, რომელიც განპირობებული იყო საერთაშორისო გეოპოლიტიკური ცვლილებებით, შრომის მსოფლიო ბაზრის დესტაბილიზაციითა და ბიზნესის ნეოლიბერალურ სტრატეგიაზე გადასვლით. მიგრაციული ნაკადები სტიქიური ხასიათის გახდა, **ამჟამად ევროპის კონტინენტზე ყოველწლიურად თავშესაფარს ოფიციალურად 400 ათასამდე ადამიანი ეძებს, ხოლო სხვადასხვა არალეგალური არხებით იქ ჩადის 500 ათასზე მეტი მიგრანტი. ევროპაში არალეგალური მიგრანტების საერთო რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემით, 5-დან 7 მილიონია.** არალეგალების ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. ყველაზე მეტი უკანონო მიგრანტი თავმოყრილია საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში, თითოეულ მათგანში 1-1,15 მილიონია და ყოველწლიურად 100 ათასით იზრდება.

მათი ძირითადი ნაკადი ჩადიოდა და ჩადის ჩრდილოეთ აფრიკიდან. მაროკოსა და გიბრალტარის გავლით ჩადიან ესპანეთში, იქიდან კი — სხვა ქვეყნებში ნიდერლანდების ჩათვლით. მეორე ნაკადი თურქეთსა და ქურთისტანში ჩადის, იქიდან საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით — იტალიაში. ამ კუთხით რეკორდული იყო 2011 წელი — **„არაბეთის რევოლუციების" წელიწადი, როცა პირველ ცხრა თვეში ევროკავშირის საზღვრების უკანონოდ გადაკვეთის თითქმის 113 ათასი შემთხვევა გამოვლინდა.**

საერთო ჯამში, მუსლიმი მიგრანტების რაოდენობა ევროპაში 2000 წლისთვის მკვეთრად გაიზარდა და, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად აღრიცხვა შეუძლებელია, სხვადასხვა ორგანიზაციის მონაცემებით, 15 მილიონიდან 25 მილიონამდე გაიზარდა. მათგან ყველაზე მეტი საფრანგეთში დარჩა (8 მილიონი ადამიანი — მოსახლეობის 9 პროცენტი), ასევე, გერმანიაში (3-3,5 მილიონი — 4 პროცენტი), დიდ ბრიტანეთში (3,3 მილიონი — 4 პროცენტი), ნიდერლანდებში (1 მილიონი — 5 პროცენტი).

რაგინდ განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან მონაცემები, აშკარად არის გამოკვეთილი მიგრანტი მუსლიმების ევროპული საზოგადოების მნიშვნელოვან ელემენტად გადაქცევის ინტენსიური პროცესი, რომელმაც გამოიწვია სერიოზული სოციალური პრობლემები და დაიწყო მუშაობა საზოგადოების დეზინტეგრაციაზე.

**იმის გამო, რომ მუსლიმების შობადობა 2-3-ჯერ აჭარბებს ევროპელების შობადობას, 20-30 წლის შემდეგ მათი რაოდენობა გაორმაგდება, რაც უკიდურესად გაამწვავებს დემოგრაფიულ პრობლემებს.**

ამ თვალსაზრისით ფრიად დამახასიათებელი ვითარებაა შექმნილი დიდ ბრიტანეთში. პაკისტანიდან, ინდოეთიდან და ბანგლადეშიდან ჩასულთა რაოდენობა იქ 2 მილიონს აღწევს, მათ შორის ინგლისში დაბადებულთა რაოდენობა 50 პროცენტია. დემოგრაფების მონაცემებით, ინდოელთა ერთი ოჯახი ხუთი წევრისგან შედგება, დიდი ბრიტანელებისა 2,4-ია, ხოლო აზიელი მოსახლეობის 16 წლის ასაკამდე მოსახლეობის რაოდენობა „თეთრ მოსახლეობაზე" მეტია, ე.ი. ახლო მომავალში იგი გაორმაგდება.

თვალსაჩინოა ბელგიაში არსებული ვითარება, სადაც მუსლიმთა რაოდენობა 450 ათას ადამიანს შეადგენს (ადგილობრივი მოსახლეობა 10 მილიონია). **სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ მალე მაჰმადიანობის ადეპტები უმეტესობით იქნებიან წარმოდგენილი ბრიუსელის მოსახლეობაში.**

ნებისმიერი დემოგრაფისთვის აქსიომაა, რომ, თუ მიგრაცია დიდი მასშტაბით ხორციელდება იმ ქვეყანაში, რომელშიც ძირძველი მოსახლეობის რაოდენობა არ იზრდება, იწყება ეთნიკური სტრუქტურის ღრმა მოდიფიკაცია, რომელმაც შეიძლება საეჭვო გახადოს ქვეყნის ეროვნული იდენტიფიკაცია. **ევროპაში უკვე მიმდინარეობს ღრმა ეთნოკულტურული გარდაქმნა, რომელსაც მივყავართ სოციალური დაპირისპირებისა და ეროვნებათაშორისი პრობლემების უკიდურესი გამწვავებისკენ, რაც საზოგადოებრივი აზრის პოლარიზაციის საწინდარია.**

სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ის თვისებრივი ცვლილებები, რომლებიც ევროპაში დაფუძნებული მუსლიმთა დიასპორაში მჟღავნდება. 30 წლის განმავლობაში მუსლიმი მიგრანტების მეორე და მესამე თაობებმა ევროპულ სამყაროში თავიანთი მამებისგან განსხვავებულ მდგომარეობაში იგრძნეს თავი. ისინი აღარ მალავენ თავიანთ რელიგიურ და ეროვნულ კუთვნილებას და განათლების საკითხის გააქტიურებით ხელი შეუწყვეს შიდა, ლოკალური ისლამის ფორმირებას. ამ ე.წ. უმცირესობათა ისლამმა, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა თავისი პრობლემების შესახებ, სავსებით გარკვეულად დააყენა ახალ საცხოვრებელ სივრცეში თვითიდენტიფიკაციის სპეციფიკის დაცვის საკითხი. ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1970-იანი წლების ბოლოს ისლამის „გამოღვიძებამ" და მისმა აღორძინებამ სოციალიზმის ნგრევის პერიოდში. ახალმა თაობამ გარკვეულად იმოქმედა ევროპის მუსლიმთა თემების ქცევის შეცვლაზე. მისი თვითშეგნების დამახასიათებელ თავისებურებად ჩამოყალიბდა გაორება. ერთი მხრივ, ახალგაზრდა მუსლიმები უფრო მეტად არიან მოცული ევროპული კულტურით; მეორე მხრივ კი, მათი რელიგიურობა უფრო მკაცრი ფორმით მჟღავნდება, რომელსაც პირველადი ისლამისკენ მიბრუნებად სახავენ და რომელიც ზოგჯერ ფანატიკური რწმენის ფორმას იღებს.

**ევროპას ისინი საკუთარ სახლად მიიჩნევენ და დაუფარავად ცდილობენ, ხელთ იგდონ ევროპული ინტელექტუალური სივრცე. ასე იმიტომ იქცევიან, რომ მათ ანგარიში გაუწიონ მაინცდამაინც, როგორც მაჰმადიანებს, რათა საშუალება ჰქონდეთ, უერთგულონ ისლამურ ღირებულებებს.** ამ პროცესის შედეგად სულ უფრო მყარად იკიდებენ ფეხს, როგორც განსხვავებული რელიგიური და კულტურული ფასეულობების მატარებელნი. ერთმა განათლებულმა მუსლიმმა-აქტივისტმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „დღეს მე განვამტკიცებ ჩემს განსხვავებულობას, რომელიც არის ჩემი იდენტურობა აქ, საფრანგეთში, და მე მსურს, პატივი მცენ, სწორედ როგორც მუსლიმს".

მუსლიმთა თემში დაწყებულმა დისკუსიამ აიძულა ისლამური მოძრაობის ძველი თაობა, გადაესინჯა კონტინენტისადმი თავისი დამოკიდებულება და გამოემუშავებინა ახალი იურიდიული შეფასებები. ამ მხრივ 1990-იანი წლები გახდა გარდამტეხი, რადგან სწორედ მაშინ ე.წ. ანგაჟირებული ისლამის პრინციპები, რომელთა თანახმად, ნებისმიერი მაჰმადიანი ევროპაში (არის თუ არა იქაური მოქალაქე) საკუთარ თავს უნდა განიხილავდეს იმ ქვეყანასთან, სადაც ცხოვრობს, მორალური და სოციალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შემსრულებელ მხარედ და პატივს სცემდეს მის კანონებს.

მაგრამ ამ პრინციპების მიღებამ კიდევ უფრო გაამწვავა მუსლიმთა აზროვნების გაორება, რადგან ამ პრინციპებმა მხოლოდ ჩარჩოები შემოხაზა, რომელთა შიგნითაც გრძელდება ისლამურ ფასეულობათა დამკვიდრება. ახალგაზრდა მუსლიმთათვის მნიშვნელოვანია არა იმდენად რელიგიური კულტის აღსრულება, არამედ რელიგიური განათლებისა და ცხოვრების ყაიდის გარკვეულ სისტემაში არსებობა. იმის გამო, რომ რელიგიური მომზადების ცენტრები ევროპაში საკმარისი რაოდენობით არ არის, ამ ცოდნას მას აზიარებენ, ძირითადად, ისლამის კონსერვატიული და ფუნდამენტური მიმართულებები. სწორედ ამ უკანასკნელს ხელეწიფება საბაზო განათლებით სწრაფი აღჭურვა. ამას კი მივყავართ იმ სიტუაციამდე, როცა მუსლიმი ახალგაზრდობა, რომელიც სულ უფრო აქტიურად ერთვება დასავლურ საზოგადოებაში, ამასთანავე, მასში (ამ საზოგადოებაში) სულ უფრო მეტად შეაქვს თავისი ხედვა. ასე რომ, **ევროპულ კულტურაში ისლამის მშვიდობიანი შეჭრის პარალელურად ხდება მისი რადიკალიზაცია, რომელიც ახალგაზრდობას ამ კულტურის წინააღმდეგ განაწყობს.**

„ლოკალური ისლამის" ევროპაში დამკვიდრების ძლიერ ფაქტორად წარმოგვიდგა ამ წლების განმავლობაში ევროპის მმართველი კლასის მიერ განხორციელებული „მულტიკულტურიზმის" პოლიტიკა, რომელიც მიჩნეული იყო, როგორც საზოგადოების დაშლის თავიდან აცილების ერთადერთი ეფექტიანი საშუალება. მას საფუძვლად უდევს „კულტურების ურთიერთგამდიდრებისა და განაყოფიერების", ანუ „ხალხთა შეჯვარების" კონცეფცია, რომელიც კულტურული პრინციპიდან არის აღმოცენებული.

**(ამ თემით გაგრძელდება მომდევნო ნომრის პუბლიკაცია)**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოსახლეობის პრობლემებისადმი უზურპატორი სააკაშვილის ხელისუფლების უგუნურმა პოლიტიკამ ხალხი გააღატაკა — კატასტროფულად მოიმატა უმუშევრობამ, რამაც აიძულა მილიონ-ნახევარზე მეტი თანამემამულე, გაქცეულიყო საქართველოდან უმძიმესი სამუშაოების შესასრულებლად — ლუკმაპურის შოვნისა და საკუთარი ოჯახების ფიზიკურად გადარჩენის მიზნით. კატასტროფულად იკლო შობადობამ, გაიზარდა სუიციდის შემთხვევები, იმატა ელიტურმა კორუფციამ, ნარკომანიამ, კრიმინალმა და პროსტიტუციამ.**

# ღია წერილი «ქართული ოცნების» მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, ბატონ შალვა კერესელიძეს

**ბატონო შალვა, ა.წ. ივლისში საგურამოელების სახელით მოგმართეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან. გწერდით, რომ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი, მადლიანი, მდიდარი ისტორიისა და ტრადიციების მქონე საგურამო, რომელიც ჩვენმა სათაყვანებელმა წმინდანმა, დიდმა ილიამ თავის მშობლიურ ყვარელს ამჯობინა და იქ თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა, დღეს ყურადღებას ითხოვს.**

სამწუხაროდ, საგურამოში მომრავლდა ნაგვით გადავსებული ბუნკერები. ნაგავი კვირაობით არ გააქვთ და ბუნკერები მაწანწალა ძაღლებისა და კატების ნავსაყუდელი გახდა. დიახ, ბუნკერების ირგვლივ გაუსაძლისი სუნი ტრიალებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ენით აუწერელი ანტისანიტარიაა.

ყოფილხართ, ალბათ, საგურამოში და საკუთარი თვალით გინახავთ ეს ყველაფერი. ნახავდით იმასაც, თუ როგორ მომრავლდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გამხმარი და დაავადებული ხეები.

**ნუთუ არ შეიძლება დაავადებული ნარგავების მკურნალობა და გამხმარი ხეების მოჭრა?! თუ ადგილობრივ ხელისუფლებას ამის თავი არ აქვს, მოსახლეობას მაინც მიეცით უფლება, მოჭრას და შეშად გამოიყენოს. ეს ღონისძიება ხომ ხალხზე ზრუნვაში ჩაგეთვლებათ (რაღაცით ხომ უნდა გაახაროთ ხალხი?!).**

**ნაგვითა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით სავსეა საავტომობილო გზების, მტკვრისა და არაგვის, ტყეებისა და სოფლების განაპირა ადგილები, ხევები და ფერდობები.**

არ იფიქროთ, რომ ეს პირველი საგანგაშო შეტყობინებაა ჩვენი მხრიდან. მრავალგზის მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ უშედეგოდ. მათგან სრული გულგრილობა და უპასუხისმგებლობაა.

სამწუხაროდ, რეაგირება არც გაზეთში გამოქვეყნებულ რეპლიკას მოჰყოლია. არადა, თქვენ იმხანად მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორი იყავით და გევალებოდათ, დაინტერესებულიყავით საგურამოში, მის შემოგარენსა და მთელ რეგიონში არსებული მწვავე ეკოლოგიური მდგომარეობით...

საგურამოს ცენტრში დგას საქართველოს ყოფილი სამოქალაქო თავდაცვის ორსართულიანი შენობა, რომელშიც, თითქმის 30 წელიწადია, ცხოვრობს 20 ოჯახი. მათ ყოველი არჩევნების წინ ჰპირდებიან: თუ ხმას მოგვცემთ, გაგიფორმებთ და დაგიკანონებთ საცხოვრებელ ფართობებსო, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველთვის ატყუებენ.

**ნახეთ, რას დაამსგავსეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისკენ ასასვლელი ორმხრივი გზა — გზა, რომელიც კომუნისტების დროს მშვენივრად იყო კეთილმოწყობილი, ავტომანქანებისა და მექანიზმების სადგომად გახადეს. გზის გასწვრივ მცხოვრებნი კი ნაგვის დასაწვავად იყენებენ ამ სკვერს. განმკითხავი კი არავინაა.**

საგურამოში ყოველ საღამოს (გვიან) არის „ფეიერვერკების“ საშინელი „აღლუმი“. პატრულსაც და 112-საც ვთხოვეთ ამ საკითხის მოგვარება, მაგრამ უშედეგოდ. გრძელდება ჩაძინებული ბავშვების, ხანდაზმული და ავადმყოფი ადამიანების დაფეთება. ნუთუ არ შეიძლება ამ საკითხის მოგვარება?!

მე, როგორც უფროსი თაობის წარმომადგენელს, კარგად მახსოვს „ავადსახსენებელ“ კომუნისტურ ეპოქაში გაზეთში გამოქვეყნებული თუ ტელეეთერში ნათქვამი საქმიანი კრიტიკა როგორ ხდებოდა შესაბამისი ორგანოების მკაცრი მსჯელობის საგანი და რეაგირებაც როგორი ოპერატიული და ადეკვატური იყო.

დღეს კი... **ღრმად გაიდგა ფესვები ხალხის პრობლემებისადმი წაყრუების პოლიტიკამ, როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებაში.**

მიუხედავად იმისა, რომ ფასეულობათა გადაფასების ეპოქაში ვცხოვრობთ, დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო: იმ პერიოდში ხელისუფლების ყველა შტო სრული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მოქალაქეთა პრობლემებს.

საქართველო უფალმა დააჯილდოვა ულამაზესი ფლორითა და ფაუნით, ჩვენ ვამაყობთ მოლივლივე შავი ზღვით, დათოვლილი კავკასიონით, მოშრიალე ტყეებით, წყალუხვი მდინარეებითა და ტბებით, მღვიმეებითა და კანიონებით, ჩანჩქერებითა და ყვავილებით მოჩითული მინდორ-ველებით, მაგრამ გვახსოვს, როგორ დაგვაკარგვინა **სააკაშვილმა** უმშვენიერესი სამშობლოს 20%.

ყურადღების მიღმა დავტოვეთ ხალხი, არ დავინტერესდით მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემებით. არადა, **მოსახლეობის პრობლემებისადმი უზურპატორი სააკაშვილის ხელისუფლების უგუნურმა პოლიტიკამ ხალხი გააღატაკა — კატასტროფულად მოიმატა უმუშევრობამ, რამაც აიძულა მილიონ-ნახევარზე მეტი თანამემამულე, გაქცეულიყო საქართველოდან უმძიმესი სამუშაოების შესასრულებლად ლუკმაპურის შოვნისა და საკუთარი ოჯახების ფიზიკურად გადარჩენის მიზნით. კატასტროფულად იკლო შობადობამ, გაიზარდა სუიციდის შემთხვევები, იმატა ელიტურმა კორუფციამ, ნარკომანიამ, კრიმინალმა და პროსტიტუციამ...**


შალვა კერესელიძე

სამწუხაროდ, არც დღევანდელი ხელისუფლებისგან იგრძნობა საზოგადოების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემებით დაინტერესება.

**ბატონო შალვა!**

ორიოდე თვეში საქართველოში ჩატარდება მორიგი საპარლამენტო არჩევნები. თქვენ „ქართული ოცნებიდან“ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დასახელებული ხართ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად, რაც გავალდებულებთ, შეხვდეთ ამომრჩევლებს თქვენს სამოქმედო უბნებზე, მოისმინოთ მათგან პრობლემები და შემდგომ იზრუნოთ ამ პრობლემების გადაწყვეტაზე. აქედან გამომდინარე, იმედია, შეხვდებით საგურამოს ამომრჩევლებსაც.

**მიუხედავად იმისა, რომ თქვენი გუბერნატორობის პერიოდში საგურამოში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, დარწმუნებული ვარ, საგურამოელთა უპირველესი თხოვნა თუ მოთხოვნა სწორედ იმ პრობლემების მოგვარება იქნება, რომლებზეც ამ წერილში გავამახვილე ყურადღება.**

ძნელი შესასრულებელია?
— რა თქმა უნდა, არა.

ხსენებული პრობლემების მოგვარებას მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებები არ სჭირდება — უბრალოდ, ელემენტარული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ნებაა საჭირო, რომელიც, სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებას არ ჰქონდა. ამ ღონისძიებების გატარებით თქვენ, ბატონო შალვა, ხალხის პატივისცემასა და სიყვარულს დაიმსახურებთ, რაც ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ძნელად მოსაპოვებელი.

შეიძლება ზოგს ჩემ მიერ წამოჭრილი პრობლემები უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ გარწმუნებთ, ეს სულაც არ არის უმნიშვნელო, რადგან **უკვე ტრადიციად იქცა ეკოლოგიური მდგომარეობისადმი სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს გულგრილი, ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელიც უახლოეს წლებში ბუმერანგივით მოგვიბრუნდება. არაერთი პრობლემაა განა მხოლოდ მცხეთა-მთიანეთში, არამედ სრულიად საქართველოში. ათასობით ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა წლობით დაუმუშავებელია, ნუთუ დავითაშვილის უწყებას არ ეხება ამ საჭირბოროტო საკითხის მოგვარება?!**

მე საკმაოდ მდიდარი გამოცდილება დამიგროვდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში. მზად ვარ, გვერდით დაგიდგეთ, უანგაროდ გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება და დაგეხმაროთ კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში. საარჩევნო ხმებსაც მე და ჩემი გარემოცვა არ დაგამადლით მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. სასურველია, თქვენგანაც ვიგრძნოთ მხარდაჭერის მზაობა.

იმედია, გამოგვეხმაურებით.

უღრმესი პატივისცემით,
**ომარ მარგველაშვილი**,
საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოსა და რუსეთის საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.
ტელ: 599 15 83 32

**საგურამოში მომრავლდა ნაგვით გადავსებული ბუნკერები. ნაგავი კვირაობით არ გააქვთ და ბუნკერები მაწანწალა ძაღლებისა და კატების ნავსაყუდელი გახდა. დიახ, ბუნკერების ირგვლივ გაუსაძლისი სუნი ტრიალებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ენით აუწერელი ანტისანიტარიაა**


საგურამო

**ნუთუ არ შეიძლება დაავადებული ნარგავების მკურნალობა და გამხმარი ხეების მოჭრა?! თუ ადგილობრივ ხელისუფლებას ამის თავი არ აქვს, მოსახლეობას მაინც მიეცით უფლება, მოჭრას და შეშად გამოიყენოს. ეს ღონისძიება ხომ ხალხზე ზრუნვაში ჩაგეთვლებათ (რაღაცით ხომ უნდა გაახაროთ ხალხი?!). ნაგვითა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით არის სავსე საავტომობილო გზების, მტკვრისა და არაგვის, ტყეებისა და სოფლების განაპირა ადგილები, ხევები და ფერდობები**

**„მოგების შემთხვევაში დამიძახებდნენ ამერიკელს და არა აფროამერიკელს, მაგრამ, რაღაც ცუდი რომ ჩავიდინო, ნიგერად მომიხსენიებენ. ჩვენ შავები ვართ და ამით ვამაყობთ. შავკანიანი ამერიკა მიხვდა, რაც ჩავიდინეთ ცერემონიაზე. ჩვენ არ მოგვწონს, რომ მწვრთნელთა შორის ძალიან ცოტაა შავკანიანი; არ მოგვწონს, რომ მოჰამედ ალის ტიტული ჩამოართვეს; არ მოგვწონს, რომ შავკანიანები არ ცხოვრობენ კარგ სახლებში, ხოლო ჩვენი შვილები ვერ სწავლობენ კარგ კოლეჯებში“.**

სპორტი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «შავი სალუტი» ოლიმპიადაზე

## შავკანიანი სპორტსმენების საპროტესტო აქციამ ყველა გააცოფა აშშ-ში

**გამოჩენილი სპორტსმენები 62 წლის წინათაც გამოდიოდნენ რასიზმის წინააღმდეგ, თუმცა მსოფლიოს მათ პროტესტზე დღევანდელთან შედარებით განსხვავებული რეაქცია ჰქონდა. მეხიკოს ოლიმპიადაზე შავკანიანმა სპრინტერებმა — ტომი სმიტმა და ჯონ კარლოსმა მოაწყვეს მშვიდობიანი საპროტესტო აქცია — black Power Salute, მაგრამ მხარდაჭერის ნაცვლად რისხვა მიიღეს — ისინი გააძევეს ტურნირიდან, შემდეგ კი სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ.**



1968 წლის 16 ოქტომბერს ამერიკელმა **ტომი სმიტმა** ოლიმპიადაზე 200 მ-ზე სირბილში ოქროს მედალი მოიპოვა, ფინიშზე მეორე იყო ავსტრალიელი **პიტერ ნორმანი,** ბრინჯაოს მედალი კი კიდევ ერთ ამერიკელს ერგო — **ჯონ კარლოსს.**

დაჯილდოების ცერემონიაზე კვარცხლბეკზე ასვლისას ამერიკელებმა გაიხადეს ფეხსაცმელი, სმიტმა ყელზე შემოიხვია შავი შარფი — „შავების სიამაყის“ სიმბოლო. კარლოსმა ქურთუკის საყელო შეიხსნა და ყველას დაანახვა ყელზე გაკეთებული თეთრი მძივი, როგორც მან მოგვიანებით ახსნა, „პატივისცემის ნიშნად იმ ადამიანებისა, რომლებიც მოკლეს ლინჩის წესით, ჩამოახრჩვეს და სახეზე შავი კუპრი წაუსვეს და რომელთა სულებისთვისაც არავის ულოცია“.

**როდესაც აჟღერდა აშშ-ის ჰიმნი, სმიტმა და კარლოსმა თავი დახარეს და შავხელთათმანიანი ხელები აღმართეს. ეს იყო ამერიკელი სპორტსმენების „შავი სალუტი“ — საპროტესტო აქცია რასიზმის წინააღმდეგ მსოფლიოში.**

სმიტი და კარლოსი თავიანთ პროტესტს თავდაპირველად სხვანაირად გეგმავდნენ — სურდათ, ოლიმპიური თამაშებისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. ორივე მხარს უჭერდა შავკანიანი სოციოლოგის, **ჰარი ედვარდსის,** მიერ 1967 წელს შექმნილ ადამიანის უფლებების დაცვის ოლიმპიურ პროექტს.

ედვარდსმა ყველა შავკანიან სპორტსმენს მოუწოდა ოლიმპიური თამაშების ბოიკოტისკენ, თუ მსოფლიო არ დააკმაყოფილებდა შემდეგ მოთხოვნებს:

**1. ოლიმპიადაზე არ დაეშვათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის წარმომადგენლები, რადგან ამ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში იყვნენ თეთრკანიანი უმცირესობები;**

**2. მოკრივე მოჰამედ ალისთვის დაებრუნებინათ ჩემპიონის ტიტული, რომელიც მას სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო ჩამოართვეს;**

**3. შეცვლილიყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ევერი ბრენდეჯი** (ის კომიტეტს 1952-დან 1972 წლამდე ხელმძღვანელობდა);

**4. აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანონ მეტი შავკანიანი მწვრთნელი.**

ამ მოთხოვნებიდან მხოლოდ პირველი დააკმაყოფილეს და შავკანიან სპორტსმენებს ბოიკოტი უნდა გამოეცხადებინათ, მაგრამ სმიტსა და კარლოსს ოლიმპიადაზე გამგზავრება სურდათ, ამიტომ მათ სხვა მეთოდი აირჩიეს — არა ბოიკოტი, არამედ პოლიტიკური ჟესტი. „თავდაპირველად გვინდოდა თამაშებისთვის ბოიკოტის გამოცხადება, მაგრამ ამ გეგმას ყველა არ დაეთანხმა. ბევრი სპორტსმენი ფიქრობდა, რომ მედალი მათ რასიზმისგან დაიცავდა, მაგრამ მედლის მოგებაც კი ვერ იხსნიდა სპორტსმენის დედას, დას, შვილებს. ეს იქნებოდა 15-წუთიანი დიდება, მაგრამ რა მოხდება ცხოვრების დანარჩენ წლებში? ჩემთვის მედალი იგივე იყო, რაც ჯოხზე ჩამოკიდებული სტაფილო, რომელსაც მისდევს ვირი“, — იგონებს კარლოსი.

ტომი სმიტსა და ჯონ კარლოსს დაგეგმილი ჰქონდათ დაჯილდოებაზე შავი ხელთათმნებით მისვლა, მაგრამ სმიტს თავისი ხელთათმანები ოლიმპიურ სოფელში დარჩა, ამიტომ მათ ცალ-ცალი გაიკეთეს: სმიტმა მარჯვენა ხელზე, კარლოსმა — მარცხენაზე.

სმიტმა ჟურნალისტებს უამბო, რატომ გადაწყვიტა, საპროტესტო აქციის მოწყობა: **„მოგების შემთხვევაში დამიძახებდნენ ამერიკელს და არა აფროამერიკელს. მაგრამ, რაღაც ცუდი რომ ჩავიდინო, ნიგერად მომიხსენიებენ. ჩვენ შავები ვართ და ამით ვამაყობთ. შავკანიანი ამერიკა მიხვდა, რაც ჩავიდინეთ ცერემონიაზე. ჩვენ არ მოგვწონს, რომ მწვრთნელთა შორის ძალიან ცოტაა შავკანიანი; არ მოგვწონს, რომ მოჰამედ ალის ტიტული ჩამოართვეს; არ მოგვწონს, რომ შავკანიანები არ ცხოვრობენ კარგ სახლებში, ხოლო ჩვენი შვილები ვერ სწავლობენ კარგ კოლეჯებში“.**

როცა ჰიმნი დასრულდა, სმიტი, კარლოსი და ნორმანი კვარცხლბეკიდან ჩამოვიდნენ — და სტადიონზე იფეთქა მრისხანე შეძახილებმა და სტვენამ, მაგრამ ამერიკელ სპორტსმენებს თითქოს არაფერი ესმოდათ. ისინი ამაყობდნენ იმით, რაც გააკეთეს.

„მთელმა ცხოვრებამ თვალწინ გაიელვა. ო, ღმერთო! არასოდეს განმიცდია ასეთი სიამაყე. ამბობენ, რომ ჩვენ შევურაცხვყავით დროშა, არა! ეს ჩემი დროშაა!.. ეს ამერიკის დროშაა, მე კი ამერიკელი ვარ. მე არ შემეძლო მივსალმებოდი მას დაწესებული მანერით, იმიტომ, რომ ის არ წარმომადგენდა მე სრულად. ჩემგან მოითხოვდნენ, კარგად მერბინა, შემდეგ დავბრუნებულიყავი შინ და ვყოფილიყავი ერთი ჩვეულებრივი ზანგი“, — ამბობს სმიტი.




ნოა ლაილსი

სმიტისა და კარლოსის პროტესტს დიდი რეზონანსი მოჰყვა მსოფლიოში.

Associated Press-მა სპორტსმენების მიერ ხელის აწევა ნაცისტურ მისალმებას შეადარა. სხვა მედიასაშუალებებმა სპორტსმენებს „შავკანიანი მოიერიშეები“ უწოდეს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ევერი ბრენდეჯმა განაცხადა, რომ ასეთი აქციების ადგილი არ არის ოლიმპიური თამაშები, თანაც ეს აკრძალულია ქარტიით. მან მოუწოდა, სმიტი და კარლოსი გაერიცხათ აშშ-ის ნაკრებიდან და გაესახლებინათ ოლიმპიური სოფლიდან.

აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა თავდაპირველად უარი თქვა სპორტსმენების დასჯაზე, მაგრამ ბრენდეჯი დაემუქრა, რომ აშშ-ის მძლეოსანთა ნაკრებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას აუკრძალავდა. სმიტმა და კარლოსმა სასწრაფოდ დატოვეს ოლიმპიური სოფელი.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამერიკელი სპორტსმენების აქციას „ოლიმპიური სულისკვეთების პრინციპების წინასწარგანზრახული და უხეში დარღვევა უწოდა“. როცა ბრენდეჯს ჰკითხეს, რატომ არ გააპროტესტა მან 1936 წელს ბერლინის ოლიმპიადაზე (იმხანად ბრენდეჯი აშშ-ის ოლიმპიურ დელეგაციას ხელმძღვანელობდა) ნაცისტური მისალმება, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ იმხანად ეს იყო გერმანული ეროვნული მისალმება და პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა(?!).

სმიტი და კარლოსი სამშობლოშიც არ დაინდეს. ჟურნალმა „თაიმსმა“ მათ აქციას „ბოროტი და მახინჯი“ უწოდა. სპორტსმენების ოჯახის წევრები განიცდიდნენ დევნას, მათ ყოველდღე მისდიოდათ მუქარის უამრავი წერილი. ამერიკელი მორბენალებისადმი სოლიდარობის გამო ავსტრალიელი პიტერ ნორმანიც სასტიკად გააკრიტიკეს სამშობლოში; მიუხედავად იმისა, რომ თავის სახეობაში საუკეთესო იყო, შემდეგ ოლიმპიადაზე არ წაიყვანეს.

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე სკანდალური აქციის მოწყობის შემდეგ სმიტი განაგრძობდა შეჯიბრებებში მონაწილეობას, მოგვიანებით ის ამერიკის ნაკრებსაც კი ავარჯიშებდა.

ჯონ კარლოსიც კარგა ხანს გამოდიოდა მძლეოსნობის შეჯიბრებებში. 1980-იანი წლების შუაში კი მწვრთნელობა დაიწყო.

**დროთა განმავლობაში სმიტისა და კარლოსის აქციისადმი საზოგადოებრიობის მიდგომა (ყოველ შემთხვევაში აშშ-ში) რადიკალურად შეიცვალა, 2008 წელს სპორტსმენებს გამოჩენილი მამაცობისთთვის არტურ ეშის სახელობის ჯილდო გადასცეს. მათზე გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, მიუძღვნეს უამრავი სიმღერა, ხოლო სანხოსეს უნივერსიტეტის წინ, სადაც ოდესღაც სწავლობდნენ სმიტი და კარლოსი, 2005 წელს დადგეს „შავი სალუტის“ ცნობილი სტატუა.**





2020 წლის 15 აგვისტოს ამერიკელმა სპრინტერმა **ნოა ლაილსმა** მონაკოში „ბრილიანტის ლიგის“ დაჯილდოების ცერემონიაზე გაიმეორა კარლოსისა და სმიტის ცნობილი ჟესტი კვარცხლბეკზე მდგომმა ხელთათმანიანი ხელი მაღლა ასწია.

52 წლის შემდეგ სმიტისა და კარლოსის აქციას აქტუალობა არ დაუკარგავს, პირიქით — დღევანდელი ამერიკისთვის ის ისე აქტუალურია, როგორც არასდროს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კი ფიქრობს, დაუშვას ნებისმიერი სახის საპროტესტო აქცია ოლიმპიურ თამაშებზე, მაშინ კი ჩვენ სმიტისა და კარლოსის ბევრ მიმდევარს ვნახავთ.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# ჰენრი კისინჯერი: საბჭოთა ადამიანი ჩვენზე ერთი საფეხურით მაღლა იდგა

**დასავლელი იმპერიალისტების (ძირითადად, ამერიკელების) დიდი მეცადინეობისა და მათ მიერ მოსყიდული საბჭოთა ფუნქციონერების ღალატის შედეგად უძლიერესი სახელმწიფოს დაშლიდან 29 წელი გავიდა.**



ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა ფორმალურად მოიპოვეს დამოუკიდებლობა და საბჭოელები ე.წ. დასავლურ ფასეულობებს ეზიარნენ, მაგრამ გავიდა წლები და ბევრი, ვინც საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდა, დღემდე მისტირის იმ სიკეთეებს, რომლებიც თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს ჰქონდა. ეს იყო უფასო სწავლა-განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, ძალიან დაბალი კომუნალური გადასახადები, ჯანსაღი და იაფი საკვები, სამუშაო ადგილები, რაც მთავარია, მომავლის რწმენა, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნებოდა...

აი რა განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა სახელმწიფო მოღვაწემ, დიპლომატმა და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტმა, აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა **ჰენრი კისინჯერმა:**

**„ჩვენ გვქონდა მხოლოდ სექსი, მათ კი (საბჭოთა ადამიანებს) ჰქონდათ სიყვარული. ჩვენ გვქონდა მხოლოდ ფული, მათ ჰქონდათ გულწრფელი ადამიანური მადლიერება და ასე იყო ყველაფერში. მე ვერავინ მიწოდებს სოციალიზმის თაყვანისმცემელს, მე დასავლელი ადამიანი ვარ დასავლური აზროვნებით, მაგრამ მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირში მართლაც იბადებოდა ახალი ადამიანი, შეიძლება ითქვას, — Homo Soveticus-ი. ეს ადამიანი ჩვენზე ერთი საფეხურით მაღლა იდგა და ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ დავანგრიეთ ეს ნაკრძალი. შესაძლოა, ეს ჩვენი უდიდესი დანაშაულია“.**

ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

# შალვა ნათელაშვილი რუსეთს იარაღის ქღარუნით ემუქრება



**არა საკუთარი ხმალ-ხანჯლის ან სხვა იარაღის, არა საქართველოს შეიარაღებული ძალების იარაღის აჟღარუნებით, არამედ...**

საეჭვოა, ბატონი შალვა ნათელაშვილი ინარჩუნებდეს წონასწორობას, საღ აზროვნებას, დაბრძენებული პოლიტიკოსის პოზიციებს; ასეთ დასკვნამდე მე, პოლიტოლოგი, მისი ბოლო დღეების უცნაური გამოხდომების შემდეგ მივედი.

ბატონმა შალვამ ახლახან — 3, 4 და 5 სექტემბერს, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და, საერთოდ, რუსეთის მისამართით ჭეშმარიტად ავანტიურისტული, საქართველოსთვის დიდი ზიანის მომტანი განცხადებები გააკეთა.

**„პუტინი და რუსეთი უნდა დავასრულოთ; საქართველოში ამერიკის სამხედრო ბაზები უნდა განვალაგოთ ბირთვული იარაღის აღჭურვილობით“**, — დიდი რიხით გვამცნო შალვა ნათელაშვილმა.

ვეკითხები ბატონ შალვას — **ასეთი გზით მიაღწევთ საქართველოს გადარჩენას, მის ტერიტორიულ გამთლიანებას?**

საღი აზროვნების უნარი უნდა დაკარგოთ და ვერ მიხვდეთ, რა კატასტროფულია ქვეყნისთვის თქვენი „აღმოჩენები“, ბატონო შალვა! დასანანია, თქვენი ესოდენ რადიკალური მეტამორფოზი; ამას გეუბნებით მე, ვინც ადრე თქვენით ვამაყობდი და პატივს გცემდით.

საქართველოს გადარჩენის, ტერიტორიული გამთლიანების ერთადერთი გზა რუსეთთან კეთილმეზობლობა და პარტნიორობაა! — იწამეთ ეს აქსიომური ჭეშმარიტება, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება.

ბატონო შალვა, დააღწიეთ თავი გეოპოლიტიკურ სიბრმავეს, რომლითაც აშშ-მა დაგვასნეულა.

**თქვენი ჯანმრთელობისა და გონების მოხმობის სურვილებით,**

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,**
**პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

# ნორვეგიელი ჟურნალისტი: კვლავ «ნოვიჩოკი»? ეს უკვე ცირკს ჰგავს!





**გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლება შეეცადა, მოეწამლა ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი, რომლის წინააღმდეგაც გამოიყენეს „საომარი სახეობის“ შხამი.**

ამ ვერსიას უკიდურესად დაუჯერებელი უწოდა ნორვეგიელმა ჟურნალისტმა **პოლ სტეიგანმა,** რომლის სტატიებიც ინტერესს იწვევს არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ეს უკვე ჰგავს ცირკს.

„კვლავ „ნოვიჩოკი“?..

ალექსეი ნავალნი, რომელიც ბერლინის ერთ-ერთ კლინიკაში იმყოფება, გამოიკვლიეს სპეციალური სამხედრო ლაბორატორიის სპეციალისტებმა და დაასკვნეს, რომ მის ორგანიზმში არის „ნოვიჩოკის“ ტიპის საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერება. სხვა დასავლურმა ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს გერმანიის პოზიციას. კერძოდ, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ინე ერიქსენ სიორეიდემ** განაცხადა, რომ სრულიად ენდობა გერმანელი ექსპერტების დასკვნას და გმობს „ნავალნიზე თავდასხმას“. მან მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას, გულდასმით გამოიკვლიოს ინციდენტი. ნატოს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგიც** ლაპარაკობს ნავალნის წინააღმდეგ მომწამვლელი ნივთიერება „ნოვიჩოკის“ გამოყენებაზე და რუსეთისგან გამოძიების დაწყებას ითხოვს, რათა დაამტკიცოს, რომ ამ ინციდენტში გარეული არ იყო. „და როგორ დაამტკიცოს ახლა რუსეთმა, რომ ნავალნი არ მოუწამლავს? თვითონ სტოლტენბერგი შეძლებდა, ყველასთვის სარწმუნოდ დაემტკიცებინა, რომ ეს მას არ გაუკეთებია?“ — სვამს კითხვას ნორვეგიელი ჟურნალისტი.

პოლ სტეიგანის აზრით, მომხდარი არის პროვოკაცია მიმართული რუსეთისა და გერმანიის ურთიერთობისთვის ძირის გამოსათხრელად და გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობის შესაჩერებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დასკვნა პირდაპირი მტკიცებულებებით არ არის გამყარებული, ნორვეგიელ ჟურნალისტს მიაჩნია, რომ ის უფრო ლოგიკურია და სიმართლესთან ახლოს, ვიდრე მერკელისა და სტოლტენბერგის მტკიცებულებები.

topwar.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# რუსეთის პრემიერმინისტრი: სამოკავშირეო სახელმწიფო დაფუძნებული იქნება რუსეთისა და ბელარუსის თავისუფლებაზე

**რუსეთის პრემიერმინისტრმა მიხეილ მიშუსტინმა 3 სექტემბერს მინსკში ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოსთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მოსკოვმა და მინსკმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს მომავალი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის გზაზე.**

„ბევრ საკითხში გვაქვს პროგრესი, მათ შორის, სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის საკითხში, რომელიც დაფუძნებული იქნება ჩვენი სახელმწიფოების აბსოლუტურად დამოუკიდებელ პოზიციებზე“, — განაცხადა მიშუსტინმა. მისი თქმით, მხარეებს განზრახული აქვთ, შეთანხმდნენ სამოკავშირეო სახელმწიფოს მინისტრთა საბჭოს შექმნაზე. ამჟამად კი განიხილავენ შეზღუდვების მოხსნას ვაჭრობაში, თანამშრომლობის გაფართოებას მრეწველობის, კულტურისა და სპორტის სფეროებში.

2 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა რუსეთისა და ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრების — **სერგეი ლავროვისა** და **ვლადიმერ მაკეის** შეხვედრა, რომელზეც იმსჯელეს პოლიტიკური დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტების შეხვედრის წინ, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა გაიმართოს.

**P.S. გავრცელებული ინფორმაციით, ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს 14 სექტემბერს მოსკოვში შეხვდება.**

Vesti.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**



# ბელარუსის პრემიერი კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინით აცრეს

**„ბელარუსის პრემიერმინისტრი რომან გოლოვჩენკო კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინით აცრეს“, — განაცხადა მისმა პრესსპიკერმა ალექსანდრა ისაევამ.**

ისაევას თქმით, პრემიერმინისტრი თავს კარგად გრძნობს.

„პრემიერმინისტრმა ვაქცინა 4 სექტემბერს რუსეთის პრემიერ მიშუსტინთან საუბრის შემდეგ გააკეთა. ის თავს არაჩვეულებრივად გრძნობს“, — აღნიშნა ალექსანდრა ისაევამ.

შეგახსენებთ: რუსეთმა გამალეიას ინსტიტუტის მიერ წარმოებული კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა Sputnik V 11 აგვისტოს დაარეგისტრირა ოფიციალურად.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009